“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№1 (229)
იანვარი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

რას ამბობენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის შესახებ უცხოელი მართლმადიდებელი მამები?!

მამა ბესარიონი,
ათონის მთის ზოგრაფის მონასტრის წინამძღვარი

უწმინდესმა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, ათონზე სტუმრობისას მე იგი არ მინახავს. მსმენოდა, რომ ქართველებს განსაკუთრებული პატრიარქი ყავთ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; ეს საოცარი სულიერების მქონე ბერია, სწორედ ისეთი, როგორებიც ძველ ათონზე მოღვაწეობდნენ; მის შესახებ ბევრი წავიკითხე წიგნში, რომელიც სქემარქიმანდრიტ ვიტალის ცხოვრებაზე მოგვითხრობს... წავიკითხეთ აგრეთვე 2004 წლის სააღდგომო ეპისტოლე და დავინახეთ, რომ ეს მართლაც წმიდა ადამიანია; ასეთ ადამიანებს პატივი უნდა მივაგოთ და თაყვანი ვცეთ, რადგან მათზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, ისინი გვიჩვენებენ სწორ მართლმადიდებლურ გზას.

მამა ამბროსი,
ათონის მთის ზოგრაფის მონასტრის წინამძღვარი

ვფიქრობ, რომ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სახით ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მამასთან გვაქვს საქმე; მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ; როდესაც იგი ათონის მთაზე ჩამობრძანდა, თვით უდიდესი მამებიც კი გაოცებულნი იყვნენ მისი სიბრძნითა და სულიერებით. ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი მწყემსმთავარი ჰყავს. მე მჯერა, რომ ყველა გაბრწყინდება.

მამა კალინიკე,
ივერონის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი, მღვდელმონაზონი

საქართველოს ეკლესიას გამორჩეული მწყემსმთავარი ჰყავს და თავმდაბალი და მოღვაწე მღვდელმთავრები. მე საქართველოს პატრიარქი გავიცანი ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ეპისკოპოსი იყო, კუნძულ როდოსზე. იგი გამორჩეულად თავმდაბალი ადამიანია, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით აღსავსე. მთელი გულით უყვარს თავისი სამწყსო და ეწირება მას. ჩვენი დელეგაციის ყველა წევრმა დაინახა, რომ ქართველ ხალხს გულწრფელად უყვარს თავისი პატრიარქი.

დიმიტრი კუვერტალოვი,
სოფელ ლეტოვოს მთავარანგელოზ მიქაელის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი (რუსეთი):

უწმინდესი ილია საოცრებაა... მის მხრებზე დგას მთელი საქართველოს ეკლესია.... მარტო რად ღირს, რომ მან ეს თუნდაც მცირე 15-20 წუთი ჩვენთვის გამოძებნა, თანაც მაშინ, როდესაც შორ გზაზე მიდიოდა და ძალიან ეჩქარებოდა... ეს ჩვენთვის ღვთის წყალობა იყო, ოღონდ, რით დავიმსახურეთ, არ ვიცი... მასში იგრძნობა უნიკალური გონიერება, ისიც, თუ როგორ იცავს და ცვლის ადამიანს მადლი ღვთისა, მასში საერთოდ არ არსებობს ადამიანის სისუსტეები, იმდენად ნათელი და მოქნილი გონება აქვს, ყურადღებიანი მზერა, თითოეულისთვის მოახერხა ყურადღების დათმობა, მოსიყვარულე სიტყვის თქმა... ჯგუფის თითოეულ წევრს მოეფერა უწმინდესი, ეს წარმოუდგენელია... შთაბეჭდილება ენით აუწერელია... ეს განსაკუთრებული უნარი და ნიჭია, რომ ყველასათვის შეძლო ყურადღების მიქცევა... ეს არის ბრძენი და კეთილი მწყემსი... სხვა სიტყვები არ მაქვს, სახარებისეულად კეთილი და ბრძენია... ძალიან სულიერი ადმიანია, წარმოუდგენლად!

ნიკოლოზ კასიანოვი
(რუსეთი):

მე თქვენს უწმიდესს ადრეც შევხვედრივარ ზაგორსკში, როდესაც იგი ჯერ კიდევ აფხაზეთის მიტროპოლიტი იყო; ჩვენ ვგალობდით, როდესაც იგი შემოვიდა, ჩუმად, უხმაუროდ მოვიდა გუნდთან, სწორედ ჩემს გვერდით დადგა და რიგითი მგალობელივით იგალობა... თავზარდაცემული ვიყავი... საოცარი მუსიკალურობის გარდა მისგან მაშინვე ისეთი საოცარი სულიერი სითბო მოდიოდა, რომ ტირილი მომინდა... გალობის დასრულების შემდეგ მე მისგან კურთხევა ვითხოვე და მთელი ამ წლების მანძილზე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მან ჩემი შინაგანი გაწყობა იგრძნო... სულ მალე იგი პატრიარქი გახდა...

ჰენრიკ პაპროცკი,
დეკანოზი (პოლონეთი):

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს პირველად 1995 წელს შევხვდი, როდესაც საქართველოში წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის შესახებ ფილმის გადასაღებად ჩამოვედი;

უწმიდესი ილია საოცარი ადამიანია; ხშირად მასთან ურთიერთობისა თუ საუბრისას მიგრძვნია, რომ ეს არ არის უბრალოდ, ადამიანი, იგი ზეციური სტუმარია დედამიწაზე... ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი მწყემსმთავარი ჰყავს, რამეთუ მას გადაშენება არ უწერია...

მღვდელამთავარი ნიკანორი,
ათონის მთის ქილანდარის (სერბული) მონასტრის ანტიპროსოპი:

საქართველოში პირველად ვარ და მან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ უწმიდესი ილიას სახით მე ძველი დროის ბერი ვიხილე... იგი ძალზე უყვართ საქართველოში და განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ქართველებმა კიდევ არ იციან, რა არამიწიერი ღვთიური წყალობა მოუმადლებია მათთვის უფალს... ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თქვენ რჩეული ერი ხართ...

დეკანოზი ანდრია კოტრუცა

ადრე მხოლოდ გაგონილი მქონდა, რომ საქართველოს ჰყავს პატრიარქი. ახლა წილად მერგო ბედნიერება, შევხვედროდი უნეტარეს პატრიარქ ილიას. მისგან ისეთი გასაოცარი სითბო ვიგრძენი, რაც აქამდე არასდროს მინახავს. ამ შეხვედრის შემდეგ უკვე აღარ მიკვირს, რომ ქართველები ასეთი განსაკუთრებული ხალხი ხართ; უწმიდესი ილია თავისი სიყვარულით, რწმენით, ლოცვით ამას აფრქვევს თავის ხალხზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩქარობდა, შორ გზაზე მიდიოდა, არ გვაგრძნობინა დროის სიმცირე, შეყოვნდა ჩვენს გამო, ყველას მოგვეფერა, განსაკუთრებული სითბო და სიყვარული გვიწილადა; ეს განსაკუთრებული ადამიანია, არავის არ ჰგავს; ვისურვებდი, რომ მისი ხალხი ღრმადმორწმუნე იყოს, რომ ისინი შეგროვდნენ პატრიარქის გარშემო.

ქრისტოს კანავასი,
ბერძენი ლიტურგისტი

საქართველოში პირველად ჩამოვედი, ძალზე ბედნიერი და მადლობელი ვარ, რომ მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით შესაძლებლობა მომეცა, საკურთხეველში დავსწრებოდი წირვა-ლოცვას. მინდა გითხრათ, რომ ლიტურგიის ის უძველესი ტრადიციები, რაც საუკუნეების წინ არსებობდა, მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშია შემორჩენილი; ეს მხოლოდ უწმიდესი ილიას დამსახურებაა... ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი პატრიარქი ჰყავს; თქვენ ბედნიერი თაობა ხართ, რომ მის დროს ცხოვრობთ და იცნობთ მას, კურთხევას იღებთ მისგან. ეს უდიდესი მადლია...

ილია მეორე 85 წლისაა



უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორისადმი

თამარ ფარჩუკიძე

ერთი სოფლის მღვდლობის მნატვრელს, შეგაგება ღმერთმა ხელი,
რადგან სწყალობს თავმდაბალთა, ამპარტავანთ შემმუსვრელი...
დაგიფარა ღვთისმშობელმა, სიმართლის მზე გამობრწყინდა,
აღსდგა დედაეკლესია, ივერიის დედაწმინდა.
პატრიარქის დიდი ხანა აღმაშენდა ნება-ნებით,
ალილუია, დღეს ჩვენს შორის ზეცის კაცი დაბრძანდებით!
ქართველთა და აფხაზების, რანთა, კახთა, ალბალენთა
დიდო მამავ, სათნოება, ამრავლე და არ განელდა.
სულიწმიდის ცხრა ნაყოფით, ქრისტეს ნათლით შეიმოსე,
საღვთო ღვაწლით – მონაგებით, იდავითე და იმოსე.
თავი თვისი ერისათვის დასდევ რწმენის არსაკიძევ,
იმ ზამთრიდან ამ ზამთრამდე ხომ უდაბნოს ასაკი ძევს!
აქამომდე ჩვენი ყოფნა, მხოლოდ ღვთის სასწაულია,
ციცაბო და ცრემლიან გზებს სულ მაგ გულზე გაუვლია.
უძღებ შვილთა ნაიარევს ანგელოზნი გბანენ ფრთებით,
გავორდით და გავცალკევდით, მაგ ლოცვით თუ გავერთდებით.
მასწავლელო, განმწმენდელო, უხნავისა აღმამხვნელო,
მახვილისგან მტკიცე მცველო, უმარხავთა დამმარხველო.
ხატმწერო და მგალობელო, ქვითხუროო – საჭრეთელით,
მღვიძარებით დააბლაგვე ბოროტისა საწრეტელი.
ნათლიავ და განმბანელო, მმარხველო და მოწყალეო,
ძმათა შორის, გულთა შორის, ხალხთა შორის მოწამეო,
ჩვენთა ცოდვათ მტვირთველი ხარ, წყალობით და არა მსხვერპლით,
არგანით და მხარზე მტრედით, გულზე ტყვია-ანასხლეტით...
უწმინდესო მამავ ჩვენო, მაღალთა თუ მცირეთაო,
რა მოგაგეთ ყოველთათვის, ანდა შემოგწირეთ რაო?..
დედაქალაქს სიო მოჰქრის სნოს და თრუსოს ხეობისა,
გიხაროდენ, ზეიმია ჟამმრავალი ზეობისა!
წინ ახალი მწვერვალები აღმართებით სავალია,
გზაწვრილები და სამკალი, კვალად, ფრიად მრავალია...
აწ, მდიდარი წყალობანი, ვით აღვწერო ან ვით ვაქო,
მოციქულად წოდებულო, კურთხეულ ხარ, პატრიარქო!

WWW.geoelite.ge

ზოთა – რუსთაველის ჯაყელთან 1000 წელი

ქახაბერ ჯაყელი

თავი 1

1161 წელს, თბილისელები, ერთ დროს ამირას, ეხლა კი მეფის მეიდანზე შეკრებილიყვნენ და სამეფო მანდატურს უსმენდნენ, რომელიც მათ გიორგი III-ის ახალ განკარგულებას უკითხავდა.

ტანმაღალი მანდატური მწვანე ჩოხაში იყო გამოწყობილი, თავმომწონედ იდგა და ხელში გაშლილი გრაგნილი ეკავა. დედაციხიდან მეციხოვნენი გადმოჰყურებდნენ ქალაქს და სამეფო მანდატურს. ლეღვის ხევიდან ხალხი გამორბოდა ახალი ამბის გასაგებად. მტკვრის ტალღები საამურად ელამუნებოდა არაბების დატოვებულ ვეებერთელა, შავ, გათლილ ქვებს, რომლებზეც ერთ დროს, როგორც ჭარმაგი კაცნი იხსენებდნენ, უხვად მორთული და საარაკო ხელოვანებით შექმნილი, ამირას სამდინარო ხომალდი იყო მიბმული. დღეს, მოედანზე, ბაგრატიონთა ქვის ხელი იდგა, რომელიც გიორგი მეფის ძალაუფლებას განასახიერებდა. მანდატურიც მეფის ხელთან აღმართულიყო, ხალხს ათვალიერებდა და გამოთქმით, მკაფიოდ ამბობდა:

– უზენაესი მეფე გიორგი, ღვთის ნებით, მეფეთ-მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა და მბრძანებელი ყოვლისა, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, აწ და მოიხსენიების „მახვილად მესიისა“. ყოველნი სულთანნი და მბრძანებელნი აღმოსავლეთისა და მაშრიყ-მაღრიბისა, უკეთუ არ აღიარებს გიორგი მეფის ხელმწიფებას, ამ მახვილითვე განიგმირება და გაცამტვერდება.

თქვენ კი, ერო, სამეფოისა ამისა, გევალებათ, ლაშქარს მეფისასა დადგეთ. ყველას არ უხმობს სამსახური მეფისა, მხოლოდ მკლავით ძალიერთა და მუხლით მგლურთა, ვისაც სურს გაიწვრთნეს მშვილდოსნად და შუბოსნად მეფისად, საბრძოლო მანქანების ამწყობად და კედელთა დანგრევის ოსტატად, ფაროსნად და ტაიჭოსნად მეფისა – გამოდით, დღესა შაბათისსა, ქალაქის ათასეულის დასაარსებლად...

მანდატურმა თითქმის თავისი სათქმელი მოათავა რომ, ხალხი აირდაირია, ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა იმის შესახებ, თუ რა იგულისხმა მანდატურმა თავის სიტყვაში და რას ნიშნავდა მესიის მახვილობა მეფისა.

– მეფე ჯარს კრებს, როგორც ჩანს, მაგრამ რა მიზნით და საით მიდის ეს ჯარი – შეეკითხა თავის ამხანაგებს მაღალი, ბრგე, წვეროსანი და უკვე გამელოტებული, ოცდაათიოდე წლის კალატოზი სოლომონა.

– შენი ომი დამთავრდა, სოლომონა, თავზე თმა აღარ შეგრჩა მუზარადის ტარებით, ეხლა კალატოზი ხარ და მორჩა! – უთხრა შავგვრემანმა გუჯამ და მოწყენილად ახედა მანდატურს, რომელიც მოქალაქეებს ზემოდან დაჰყურებდა და, ხანაც, ნარიყალას ციხისკენ გაურბოდა თვალი.

– რატომ, რა? ჯანი კი მაქვს და ეს კალატოზობაც მომბეზრდა. ლაშქრობა და ალაფი კი ჩვენი საქმეა, ბიჭო, გუჯა!

– რას ამბობ, ძმაო, არ იცი, ეტყობა, შენ მხედრობის სიამენი, – იცინოდა სოლომონა და ფართო, თეთრი კბილები, მისი სულისა და სხეულის სიმთელეზე მიუთითებდნენ.

– კი მაგრამ, ამ მეფე გიორგის აღარ უნდა, რომ გადააბაროს მმართველობა თავის ძმისშვილს – დემნას, რომელიც უკვე სრულწლოვანია? – იკითხა გასპარამ.

– არა, ჯერ არ არის დემეტრე სრულწლოვანი! – თქვა სოლომონამ და გასპარას გაკვირვებით შეხედა.

– რას ამბობ? – გაიცინა გასპარამ.

– როცა იქნება დემნა სამეფო ასაკის, გადასცემს ტახტს გიორგი თავის საყვარელ ძმისწულს, აბა, რას იზამს! – ბრძანა დაფიქრებით გუჯამ.

– მართლა? – თქვა სოლომონამ.

– რა ვიცი. მე ერთი სომეხი ხელოსანი ვარ, ქართველებმა უკეთ იცით, მაგრამ უკვე უნდა გადაეცა, ჩემი აზრით, – გასპარა თითებზე ითვლიდა დემნას ასაკს.

– კარგი, დაანებე თავი თვლას, წამო, დავლიოთ! – ცხენივით ახვიხვინდა სოლომონა.

– გუშინ დავლიეთ და გვეყოფა, – კინაღამ ატირდა გასპარა.

– აჰა, აგერ გამოჩნდა მეფის მასხარა, ებოთია, მოდი, გავაჩეროთ და რაღაც-რაღაცები ვკითხოთ, მას უკეთ ეცოდინება, თუ რას აპირებს მეფე, – აცუნდრუკდა სოლომონა და გასპარას ხელი გადახვია.

– აღარ არის მეფის მასხარა, გამოაგდეს სასახლიდან ეგ ბედოვლათი, მორჩა! – სახე მოექუფრა გასპარას, რომელიც ებოთიას მაინცდამაინც არ სწყალობდა.

– ეგ კუზიანი და ბოროტი კაცი აღარ დამანახოთო, – უთქვამს ვირშელ ნაყიფჩაღარს და მაგიტომ გამოუგდიათ სიმართლის მქადაგებელი მასხარა სასახლიდან, – ჩაილაპარაკა კირითხურო თევდორემ.

– არ ვიცი თქვენი და, მე, ებოთია ძალიან მიყვარს, ჩემი ძმაა! – ხშირად იმეორებდა სოლომონა და ებოთიას სანახავად წავიდა, ბრბოში ებოთიას პატარა, უცნაურად მოსიარულე ფიგურას დაუწყო ძებნა და, ბოლოს, ხმამაღლა აყვირდა:

– ებოთია, მასხარავ, სად ხარ, კაცო, ვეღარ დაგინახე!

– რა გინდა, შე ბელტიყლაპია, სოლომონა? – ღვინის სარდაფის კიბიდან უეცრად თავი ამოყო ებოთიამ და ყველამ შეხედა მის გაყვითლებულ, დანაოჭებულ სახეს, ფართოდ გადიდებულ თვალებს და მოწითალო, ჩამოშლილ ქოჩორს.

– შიმშილობს ეს საწყალი, ეტყობა, – ჩაილაპარაკა სოლომონამ და ხმამაღლა წამოიძახა:

– ჩემს ძმას, ებოთიას, ჩემი ვალები და მე – მისი სამეფო ჯამაგირი. – რაო, ებოთია, რას მემტერები, მონატრება არ გაგიგია, შე კაცო, მოდი აქ და მოგვიყევი თუ რა აზრი სუფევს მეფეთა ტვინში. გვითხარი, რა თქვა მეფემ ჩვენზე და ჩვენს ცხოვრებაზე, რატომ ამოდის მზე და ჩადის მთვარე, გვითხარი, კაცო!

– მე წავედი სახლში! – უეცრად გამოსცრა კბილებში გასპარამ და წასვლა დააპირა, რომ, თვალებანთებული ებოთია მასხარა მას წინ გადაუდგა, მდუმარედ უყურა გასპარას და შემდეგ სოლომონაზე გადაიტანა მზერა.

– რაო, რას გვაკვირდები, ჩვენც ადამიანები ვართ! – თქვა სოლომონამ და ხელი გადახვია გასპარას.

– თქვენ, ბიჭებო, თვალში ხომ არ გეპატარავებით? – ავად იკითხა ებოთიამ და ეხლა გუჯა აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– გაუშვით, წავიდეს, რაღაც აღრენილია, – ჩაიჩურჩულა ამხანაგების უკან მდგომმა თევდორემ.

– სად უნდა წავიდეს, სახლი აქვს თუ, რა? ერთ ფაშფაშა, მულღაზანზარელ ქალთან არის შეკედლებული ეს პატარა კაცი, – მოიცა, ცოტა გაგვართოს და მერე წავიდეს, – გადაულაპარაკა მეგობრებს სოლომონამ და ებოთიას მიმართა:

– მრავალი რამ არის გაუგებარი დღეს ჩემთვის. არ ვიცი, ვინ ვარ და სად ვარ. მეფის სიტყვა მაინც განმიმარტე, მასხარათა შორის უმასხრეესო. გვითხარი, ბოლო ნადიმზე მეფე როგორ გაართე და, ისიც გვითხარი, რა ბრძანა ჩვენმა მაღალმა და უხვმა, მდაბალმა და ლაშქარმრავალმა ხელმწიფემ.

– უზენაესი მეფე გიორგი, ღვთის ნებით, მეფეთ-მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, უკიდურესად განარისხეს თავისმა ქვეშემრდომებმა იმ დიდ ლხინზე, რომელზეც მე მეფის მარცხნივ ვიჯექი, რათა ყველაფერი კარგად დამემახსოვრებინა და შემეცნო.

– რაო, მეფე გიორგიმ, რატომ გამოგაგდო, თუ მის ფერხთით იჯექი გატრუნული? – იკითხა ერთმა კალატოზმა და მასხარას გარშემო შემოკრებილ ხალხს თვალი ჩაუკრა.

– არაფერიც არ გამოვუგდივარ, პანღური არ უთავაზებია მეფეთ-მეფეს, ჩემთვის, მე ამაყი კაცი ვარ და როდესაც ჯამაგირი დამიგვიანეს, თავად წამოვედი, – თვალები დახუჭა და მხრებში გაიჭიმა ქონდრისკაცი ებოთია, ერთი ცრემლი კი დაუგორდა თვალზე, მაგრამ იმ წამსვე მოიწმინდა, დაახველა, ხალხს მკაცრად მიმოავლო თვალი და უთხრა:

– თუ ათ მარჩილს მომცემთ, ყველაფერს მოგიყვებით, თუ რა ხდება სამეფო კარზე და საით მიდის ქვეყანა, თუ არა და, თქვენ თქვენთვის და მე ჩემთვის.

– მივცეთ, მივცეთ, 2 მარჩილს მე დავდებ, – თქვა კალატოზმა და ამცირებდა ჩემს ერს, მტრისაგან გიცავო, ეხუმრებოდა მას, წამდაუწუმ, ჩემი ერიც იჯერებდა ამ ხუმრობას და ყოველ წუთს კონსტანტინოპოლში გარბოდა, იმისათვის, რომ თავისი მეფე, რამენაირად დაესმინა და დაემდაბლებინა ბერძენთა თვალში. სინამდვილე კი მე უნდა გითხრა და გაუწყოთ, არავინ არის იმგვარად დამცირებული, როგორიც საკუთარი ხელმწიფის უცხო კარზე დამსმენი და დამჩაგვრელი. ბერძნები არაერთგზის მოვიდნენ ჩვენთან სამტროდ, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს ელინები მოცურავდნენ ევქსინოს პონტოზე ერთი მიზნით – რათა ოქროს საწმისი გაეტაცათ. შემდეგ გამოჩდნენ არაბები, მათ ჩვენი დანარჩუნება მოკაკვული ხმლებითა და ალაჰის მრწამსით გადაწყვიტეს. მათაც ვებრძოდით და გავიმარჯვეთ, შემდეგ კი არაბთაგან განთავისუფლებულებს მოგვადგნენ ველური სელჯუკ-თურქები, მოგვადგნენ და ზღვა სისხლი დავღვარეთ მათთან ბრძოლაში, წავიშალეთ, წავილეკეთ, მაგრამ გამოგვიჩნდა კაცი, ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო იყო, როცა ის გამოჩნდა, ჩემს პაპაზე ვამბობ, ხალხო – დავითზე. სწორედ მან დაატაკა იაფეტური მჯიღი სელჯუკ-თურქებს და მიანგრია მათი სამხედრო ძლიერება.

– იაფეტური მჯიღი რა არის, ებოთია მასხარავ, გაგვაგებინე ერთი – წამოიძახა კალატოზმა სოლომონამ და გასპარას თვალი ჩაუკრა, ჩასუქებული გასპარა კი შემოტრიალდა სოლომონამ და თავის მოძმეებს გადახედა.

– გასპარა იპარება, ბიჭო, არ უნდა ნახევარი მარჩილის დადება, ჰა, გასპარ? – მიედევნა თბილისელი ვაჭარი, ერთ-ერთ კაცს, რომელიც სახლისაკენ წასვლას აპირებდა და ხელიც ჩაქნეული ჰქონდა ახალ ამბებზე.

– მოგვატყუებს, – ჩაილაპარაკა გასპარამ.

– შენ, აბა, აბა, წესიერად იყავი, რას კადრულობ კალატოზო, ეხლა არ გამაცეცხლო! – თქვა ქონდრის კაცმა ებოთიამ და სულ მთლად გაწითლდა.

– ჰო, კარგი, კარგი, დავდებთ 10 მარჩილს და დაიწყე შენი სათქმელი, მაინც კვირა დღეა, სხვა საქმე არ გვაქვს, სახლში ცოლები გველოდებიან, ცოტა აზროვნებით სავსენი მივალთ შინ, ქალებს რაღაცას მოვუყვებით, შვილებს ჭკუას ვასწავლით, მიდი, ებოთია მასხარავ, მიდი, დაიწყე.

ებოთიამ გადახედა კალატოზებს, გასპარას მიმართულებით სახე მოელუშა, თვალები დაახამხამა, მხრები აიჩეჩა, კისერი წაიგრძელა, ერთი მაგრად ჩაახველა, – „ჯანდაბა თქვენიო“, – დააყოლა და მეფის ხმის მიბაძვით დაიწყო:

– ბიზანტია უაღრესად ბოლო შოთის პურისა და 10 მარჩილის დანახვისთანავე ღვთაებრივი ცეცხლით აღივსო და მეტად მრისხანე სახე მიიღო:

– მე, მეფეთ მეფე გიორგი, ამირანის ქვეყნიდან, იაპეთოსი, სულიერი სამყაროს წარმომადგენელი, ბრძოლას ვუცხადებ ბნელეთის მოციქულებს, წყეულ სელჯუკებს, დიონისეს ქვეყნის დასაცავად, ვაზის გუშაგი, ვებრძვი შემოჭრილებს ისევე, როგორც, ტროას უფლისწული, ვეფხვისტყაოსანი პარისი, აღვიჭურვები მშვილდითა და მახვილით და გავალ საბრძოლველად, გავალ ისევე, როგორც ტროელი პარისი გავიდა აქილევსის მოსაკლავად.

– რაო, მასხარავ? რა იგულისხმა მეფემ ამით? – იკითხა გაოცებულმა სოლომონამ, რადგანაც იმ სახელებიდან, რომლებიც, საოცარი მახსოვრობის უნარის მქონე ებოთიამ ჩამოთვალა, ვერც ერთი ვერ შეიმეცნა და ვერ გაიგო.

– სუ, სუ, მერე აგიხსნით, აღარ შემაწყვეტინოთ, – კბილებში გამოსცრა ებოთიამ და განაგრძო:

– სიტყვა-სიტყვით გეუბნებით თქვენ, ერისთავნო, განთავისუფლდით მტრის შიშისაგან, განა იაფეტური მოდგმისა არა ვართ. თუნდაც, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, არ გვაუწყა ანი და ჰოი რომ ჩვენ ვართ, წარღვნის შემდგომი კაცობრიობისა?

ებოთია, შეჩერდა, ხმის ტემბრის შეცვლას შეეცადა და როდესაც გადაანყო თავისი ხორხისეული სიმები, ერისთავ ვირშელს მიჰბაძა და სადაც ადრე იდგა იმის მოპირდაპირე მხარეს გადახტა და წამოიძახა განგებ, ვითომ და შეზარხოშებული ხმით, რომელიც ვირშელს ახასიათებდა:

– მეფევ ბატონო, ნება მიბოძეთ, გითხრათ, არაფერი ვიცი იმის შესახებ, რომელიც ეხლა ახსენეთ, როგორ ვარ, ბოლო თუ პირველი ვარ და პირიქით – ქალაქელებისათვის საძულველ ვირშელს მართლაც კარგად მიჰბაძა ებოთიამ და უშობელს დაემსგავსა.

– ვირშელ, ყოველივე ეხლა მომისმინეთ, – ხომ მოგვივლინა უფალმა ანდრია პირველწოდებული და შემოიყვანა იგი სამცხით, სადაც არის სამშობლო ქართველებისა, ხომ ასეა?

– ასეა, ვირშელ, – რიხით წარმოსთქვა ებოთია მასხარამ და, თითქოსდა ყანწი გამოცალაო, მაწვნის ქილა მიიტანა ტუჩებთან.

– მაშინ ეხლა ესეც ისწავლე ჩემგან, ვირშელ, სვიმონ კანანელი ხომ შემოვიდა აფხაზეთით საქართველოში, აი საიდუმლოება ანისა და ჰოესი, ღირსი მამა

პატრონი

ანდრია იყო პირველი ქრისტეს მოციქულთა შორის, ხოლი სვიმონი გახლდათ ბოლო მოციქული, ანუასიო - „ჰოი“, ჩაწვდი, გირშელ ბატონო, მეფეთა დარ საიდუმლოს ჩვენსას?

– ჰო, – დაიძახა თანხმობის ნიშნად მასხარა ებოთიამ და ისე შებარბაცდა, თითქოს გული ერეოდა და თავი დამძიმებოდა, ლხინისმოყვარულ, მაგრამ სმას მიუჩვეველ ვირშელ ნაყიფჩაღარის მსგავსად.

– ამ კაცს აღარ დაალევინოთ, ხალხო, სამეფო თათბირის წინ – მეფის მსგავსი ღიმილითა და ჩაშტერებით მიმართა ებოთია მასხარამ სოლომონას და გასპარაზე მიუთითა, ვითომ ის იყო ნაყიფჩაღარი ვირშელი.

– რა გინდა ებოთია ნამასხრალო, თიფლისელი სომეხი კაცი ვარ, ეს ქალაქი როგორიც შენია, ისევე ჩემია – აილეწა გასპარა და ბრბოს მიტოვება დააპირა რომ, სოლომონ კალატოზმა მკლავში მკლავი მეგობრულად გაუყარა და შეაჩერა, რადგანაც ებოთია სამეფო მონოლოგს აგრძელებდა და სიტყვებს ჰკაზმავდა.

– ვირშელს თაფლი მიართვით და მომისმინეთ ეხლა, მთავარს გაუწყებთ:

– მამამ ჩემმან შეარბილა ლაშქრობები სელჯუკ-თურქთა მიერ დაკავებულ მხარეებში. ამასობაში კი თურქ-სეჯუკები გამამაცდნენ, ფეხი მოიდგეს, კვლავაც ჩვენს მხარეში შემოსაჭრელად ემზადებიან. ჩვენი ძმები – ანისელი სომხები, უკიდურესად გაავერანეს. დაზვერვამ მომიტანა ცნობა, ხალიფას თავისი ხმალი გამოუგზავნია სელჯუკთათვის, ეს კი რას ნიშნავს – ქრისტიანების გატეხვას და საბოლოო დაპყრობას ქრისტეს ქვეყნისას. ვინ არის ქრისტეს ქვეყანა და რჯულის მახვილი?

– შენ ხარ მეფეო, შენ ხარ მეფეო – ვირშელის ხმით წამოიყვირა მასხარა ებოთიამ მეფის პასუხად და

სოლომონას ხელი აუქნია, თქვენც ამყევითო. ისინიც აყვნენ ვირშელის ხმით მოყვირალ მასხარას:

– შენ ხარ მეფეო, შენ ხარ მეფეო! – ცოტა ხანს აგრე ყვიროდნენ ისინი და შემდეგ დადუმდნენ.

– მართლაც, მე ვარ, მესიის მახვილი, ჩემო ერთგულო მეგობრებო, – განაგრძო მეფე გიორგი მესამედ გარდაქმნილმა მასხარა ებოთიამ და, უეცრად, წარბების აწევით, რაც ასევე კარგად ახასიათებდა ქვეყნის მბრძანებელს, წარმოთქვა:

– ჩვენ გვიცავს მიქაელ მთავარანგელოზი ჩემო რაინდებო, მიქაელ მთავარანგელოზს მუდამ ეთაყვანებოდა ქართველი ხალხი, ქრისტემდეც კი, როგორც მაუწყებდნენ ჩემი მასწავლებლები – ათონელი ქართველი მამები, რომლებმაც მე ათონის მთაზე წამიყვანეს და საიდუმლოდ, იქ ორი წელი მზარდეს, მე, მეფემ თქვენმა, შევითვისე ის სიბრძნე,რომელიც არც ერთმა არ იცით და არც გაგეგებათ, ამ სიბრძნის დასაწყისი საით იპოვოთ. სიბრძნე ძაფს წააგავს, გორდიას კვანძი ხომ გაგიგიათ, ალექსანდრე დიდმა რომ გაკვეთა. სიბრძნის გაკვეთა არ შეიძლება, მას საწყისი უნდა აღმოუჩინო და ნელ-ნელა განათლებით მიჰყვე, სწორედ ამას გეუბნებით, ეხლა – ათონელ მამამებმა, 12 წლისა ვიყავი, როცა მაუწყეს, რომ მე ვარ მესიის მახვილი და ეს ხალხი, თქვენ და თქვენი ერი, ერისთავებო, გახლავთ მიქაელ მთავარანგელოზის ერი, რომელიც კაცობრიობას სელჯუკ-თურქთაგან გადაარჩენს და დაიფარავს. აი, შემომხედეთ მე, მეფეს თქვენსას.

ებოთია გაიბერა, უსუსური მკერდი წინ იმგვარად გამოაგდო, თითქოს ჯანმაგარი მეფე იყო და ამეტყველდა – მათი, ათონელების სიტყვით გასწავლით, მიქაელ მთავარანგელოზს, კავკასიელები და იბერიელები, ანუ ჩვენ, უფლის ჩვენის დაბადებამდეც, კარგად ვიცნობდით – ეს გახლდათ ღმერთი მარდუკი, რომელიც მესოპოტამიიდან მოყოლებული, ამ მხარეში მცხოვრებ ხალხს განაგებდა, კავკასიელი მთიელები და ჩვენ ქართველები, მიქაელ მთავარანგელოზს ვუწოდებდით განსაკუთრებულ სახელს – ტარჰუს, რომელიც ჭექა-ქუხილისაგან გვიცავდა და ბორეასის მიერ შიშ-ატანებულს სახლის ბილიკს გვაჩვენებდა. სწორედ „ტარჰუ“, ანუ ტარიელ არის მარდუკის ქართული სახელი და წინა სახელი მიქაელი მთავარანგელოზისა. მარდუკსა და ტარჰუს გამოქვაბულებში მუდამ ვეფხვის ტყავით მოსილს ხატავდნენ. ქართველი ხალხი, იბერიელებითა და კოლხებით, მესხებითა და მთიელებით, შავშებითა და პარხლელებით, ყველანი წმინდა მიქაელის ქვეშ დავიარებით. წმინდა მიქაელის გარდა, წმინდა გიორგი გვიცავს და გვამხნევებს, რომელიც ჩვენი სისხლის მიერი ნათესავია. წმინდა ნინო და წმინდა გიორგი ხომ კაპადოკიელი მესხები იყვნენ, ამიტომაც ჩვენში მათი სისხლია – როგორც ათონელებმა საიდუმლოდ მასწავლეს, დღეს დადგა დრო საიდუმლოების გამჟღანებისა, – მოემზადენით და უნდა გასწავლოთ ესეც... ებოთია შეჩერდა.

– რა თქვა მეფემ, რა საიდუმლოება გაანდო თავის ერისთავებს? – იკითხა ცნობისმოყვარე და ოქროსმოყვარულმა გასპარამ. სოლომონაც თვალებად და ყურებად იქცა, გუჯა აღფრთოვანებით შეჰყურებდა ებოთია ქონდრის კაცს და თვალწინ გიორგი მესამე ბაგრატიონს ხედავდა. რამდენიმე მოქალაქემაც მოიხადა თავსაბურავი და ოფლი მოიწმინდა იმის მოლოდინში, რომ ებოთია თავის სათქმელს ბოლომდე იტყოდა.

– თითო-თითო მარჩილი კიდევ დააწყვეთ და გეტყვით, რა თქვა ამის შემდეგ მეფე გიორგიმ – გაიბღინძა ებოთია და მოლოდინში მყოფმა ბრბოს წინ გაიარ-გამოიარა.

– რა ვქნათ, ხალხო, არ მივცეთ? აჰა, ჩემი კიდევ ერთი მარჩილი, ვინც არ დააგდებს მარჩილს, მაშინ წავიდეს, გნებავთ გაგება საქმისა? გადაიხადეთ, თორემ, ხომ ხედავთ, არ ლაპარაკობს – გასძახა ხალხს სოლომონა კალატოზმა და თავისი მეორე მარჩილი ებოთიას გაცვეთილ ხალიჩაზე დაადგდო. გასპარამაც დაადგდო მეორე მარჩილი ებოთიას ხალიჩაზე, რადგანაც ანისის მხარის სომეხთა მიწების გამოხსნის შესახებ ამბის გაგება ეწადა ძლიერ, რათა საბოლოოდ შემოხიზნული ცოლისძმისათვის, ანისში დაბრუნების კეთილი ამბები ეუწყებინა.

– მრავალმა დაყარა მარჩილი ებოთიას ხალიჩაზე, ზოგი კი მიტრიალდა და გინებით გასცილდა იქაურობას.

გინებაზე სოლომონა კალატოზმა ყურები ცქვიტა და აქეთ-იქით მიმოიხედა, ვიღაც მიმავალი კაცი დაინახა, რომელსაც ლაბადით ჰქონდა თავი შებურული.

– ვის აგინებს ერთი ეს მუტრუკი, იკითხა ძვალმსხვილმა და მჯიღოსანმა სოლომონამ, დამაგინებელ უცნობს გამოეკიდა, უცნობი შემოტრიალდა, ისიც ჯანმაგარი ჩანდა, სახე ყიფჩაღს მიუგავდა.

– ვის აგინებ, ნაყიფჩაღარო? – კითხა მას სოლომონამ და მისი ჯვალოს ლაბადა ისე შეათვალიერა, თითქოს ყიფჩაღის შეიარაღებას ზვერავსო. სოლომონას სიფრთხილე არ იყო უადგილო. ქართველები ნაყიფჩაღარებს მჯიღებით ჩხუბში ადვილად ჯაბნიდნენ, მაგრამ ყიფჩაღი მუდამ შეიარაღებული დადიოდა და ასე ჩხუბი ხშირად შეტაკებაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

– ჰა, გამეცი ხმა, ბიჭო, ვინ ხარ და ვის შეაგინე – კვლავ კითხა ქუჩის კუთხეში მიჩიხულ უცნობს სოლომონა კალატოზმა, როცა მის უკან მდგარმა გასპარამ იგრძნო, რომ ეს ამბავი კარგად არ დამთავრდებოდა, გაპარვა დააპირა, მაგრამ სოლომონამ აქაც გამოსდო ხელი გასპარას, გვერდით დაიყენა და ყიფჩაღს გაცეცხლებული მიაჩერდა.

– რა გინდათ, ბიჭებო, შევიგინე ისე, აი ასე – თქვა ჟღალთმიანმა, მაღალმა ყიფჩაღმა, მისთვის ჩვეული, არეულ-დარეული ქართულით და შუა თითი ჰაერში ასწია.

– მე შენ განახებ სეირს, ვინაა შენი, ბიჭო? მოიხადე ეხლავე ბოდიში – შესძახა სოლომონამ და ყიფჩაღს თვალებში ჩახედა, სადაც უკუნისი ბნელეთი დაინახა და უეცრად შედგა.

– ყიფჩაღი ბოდიშს არ მოიხდის – თუ გინდა ქალაქგარეთ გავიდეთ, შენ მშვილდი და ასი ისარი, მე კიდევ, მშვილდი და ათი ისარი და დავკოდოთ ერთურთი, იყოს? – იყოს – თქვა ყიფჩაღმა და მის უკან მდგომებს გასძახა – „შევუზრანი აღვურ, შევირან, აღმაყოი, არმანა“.

– ვააჰ, ბევრნი ყოფილან, წყეულები, – ჩაიჩურჩულა შიშისაგან გაოფლიანებულმა გასპარამ და მიმოიხედა, რომ დაეთვალა თვითონ, რამდენი იყვნენ და, უეცრად, მოისურვა სწრაფად გასცლოდა არემარეს გადარეული სოლომონა, რომელმაც უკვე 2 მარჩილი დაახარჯვინა ამ უსაქმურ მასხარას მოსასმენად.

– რაო, ბიჭო, ასი ისარიო? შენ რა, ყველაფერს ისრებით ითვლი? – არ დააცალა სიტყვის დამთავრება ყივჩაღს, სოლომონა კალატოზმა და სანამ იგი თავისიანებს მოუხმობდა, ერთი ისეთი მიცხო ნაყიფჩაღარს, რომ შეტორტმანდა და, როგორც ციხის გოდოლი, იმგვარად ჩამოიშალა.

– ვაჰ, რა მაგარი სთხლიშე, ნაყიფჩაღარს? – თქვა გაკვირვებულმა გასპარამ და ამ დროს ყიფჩაღის ერთგულმა თანამგზავრებმა, ათმა კაცმა, სამხედრო მწყობრის მსგავსი გუნდი თვალის დახამხამებაში შეკრეს და ყველას, მათ გარშემო, მათრახებით ცემა დაუწყეს.

– ვაჰ, დაიგმინა გასპარამ, რომელსაც ერთ-ერთმა წითელსახიანმა მომხვდურმა, ჯერ წიხლი ჩააზილა სტომაქში და როდესაც გასპარა იმ იმედით, იქნება დამინდონო, ჩაიკეცა, გადარეულმა ყიფჩაღმა უსასტიკესად გადაუჭირა ვირის ხლიშტისაგან, ანუ ფალოსისაგან გამოქნილი მათრახი ბეჭებსა და თავში.

გასპარა გადაქანდა და დავარდა, ყიფჩაღები წაქცეულს უფრო სასტიკად უსწორდებოდნენ, ვიდრე ფეხზე მდგომს. მისი საქმე წასული იყო, რომ არა, ქონდრისკაცი ებოთია, რომელიც თბილისელ სომეხს მხრეში მისწვდა და საყოველთაო წიოკისა და ყვირილით, თრევა-თრევით გაარიდა იქაურობას, თუმცა, ებოთიასაც მოხვდა, – მისკენ წამოსულმა ერთ-ერთმა ყიფჩაღმა ებოთიას მათრახი გადაუჭირა, რომელიც ნამასხრალს კუზზე მოხვდა. ებოთიას კუზი აეწვა, კინაღამ სულიც განუტევა, ყიფჩაღი კიდევ ერთხელ უპირებდა მათრახის გადაკვრას, რომ ებოთია უცებ წამოიმართა და ყიფჩაღს გააფთრებით ეძგერა, მეფის მიერ ნასწავლი ილეთით „ზურგულით“ წამოიღო, ნამეტანი კი ემძიმა, მაგრამ ზღართანი გაადენინა.

– ვაჰ, ებოთია, ებოთია, შენ გენაცვალე, – ყვიროდა სოლომონა, რომელსაც სამი ყიფჩაღი გამეტებით სცემდა, მაგრამ სოლომონამ ჯიღებით სადაც მისწვდა, მომხვდურებს თავ-პირი დაუნგრია და დაუსისხლიანა.

ბოლოს თავდაპირველი „შევუზრან“ ყიფჩაღი წამოდგა თუ მოასულიერეს თანამოძმეებმა, ჩხუბი შეწყვიტეს, – „იაღვურარმან“, – საკმარისიაო, – წამოიძახა ყიფჩაღმა და მისმა რაზმელებმაც მათრახები დასწიეს დაბლა.

– როგორ ხარ, ბიჭო, ებოთია, – ჩურჩულით ამბობდა გაშოლტილი და მიწაზე გაშხლართული გასპარა.

– ებოთია, მაგარი ყოფილხარ შენ, აი კაცი, – მოთქრიალე სისხლი მოიწმინდა გუჯამ და მასხარას გაულიმა.

– შევხვდებით და, გაგიპობ მაგ თავს, – მიაძახა სოლომონა კალატოზმა მიმავალ ყიფჩაღებს და მათ მეთაურს „შევუზრანს“, რომელიც შემოტრიალდა და დამარცვლით წარმოთქვა:

– „კოჯრის ტყეში ამოდი, ძმაო, იქა ვდგავართ, ციხესთან, შენ ასი ისარი, ხმალი და შუბი, მე კი ჩემი მშვილდი და ათი ისარი, თუ გინდა პირველ სისხლამდე იყოს, თუ გსურს კიდევ, მოკვდომამდის, ნება შენია...“

– წადი, შენი... ჩაილაპარაკა კალატოზმა სოლომონამ და გაავებულ ებოთიას მიუტრიალდა.

– ღირდა ეხლა 2 მარჩილად ეს დღე, – ჩურჩულებდა მიწაზე დაგდებული გასპარა, რომელსაც, გუჯა უვლიდა და თავს უხვევდა.

– რა მოგივიდა, გასპარ? – იკითხა მუდამ პირმოცინარმა სოლომონამ.

– შეხედე, რა სჭირს, ყური აღარ აქვს ცალი.

– თქვა გუჯამ და გასპარა გვერდზე გადაატრიალა. მართლაც გასპარას ყურის ადგილას დაბეჟილი, ბასტურმის მსგავსი, ხორცის სისხლიანი ნაჭერი ედო.

– ვაჰ, შე საწყალო, მე კი... მემგონი, გადავრჩი – იმეორებდა სოლომონა და ნამასხრალ ებოთიას ეხვეოდა – შენ რა კაცი ყოფილხარ, როგორ წამიქციე ყიფჩაღი, შენ გენაცვალე, მასხარავ, ჰა, ხომ არ დაგკოდეს, ბიჭო?

– არაფერია, გადავრჩი, – ჩაილაპარაკა ებოთიამ და გუჯას მიეხმარა გასპარას წამოყენებაში.

რიგითი თფილისური ჩხუბის შემდეგ, ხალხი გაიკრიფა. ებოთიას და გუჯას გასპარა ზურგზე გაედოთ და სახლში მიტანას უპირებდნენ...

– რა ვუყოთ, ახლა, ამას? გადაირევა მაგისი ცოლი, მრეცხავი გაიანე, ფული არ მივცეთ რამე? – იკითხა პირმოცინარმა ხუმარა სოლომონამ, რომლის ბრალიც იყო ეს ჩხუბი.

– მე მივცემ, – ჩაილაპარაკა ებოთიამ.

– მოიცა, მოიცა, შენ ხომ შენი სათქმელი გაქვს დასამთავრებელი, რაო, რა ბრძანა ჩვენმა ხელმწიფემ, რა საიდუმლო გაუმჟღავნა მან თავის ერისთავებს, გვითხარი ერთი და დავიშალოთ – იყვირა სოლომონამ და იქვე, მინაზე, ფეხმოკეცვით ჩამოჯდა.

– ხო, კარგი, მოვუსმინოთ, თქვას ერთი, რა ბრძანა ხელმწიფემ, – ამოილუღლუღა გასპარამ, რომელსაც გუჯამყურზე თევდორეს მიერ მოტანილი ყინულის ნატეხი დაადო და ტკივილი დაუამა.

– ჰმ, – მკაცრად ამოიოხრა ებოთიამ, რომელიც კვლავ „მეფეს“ დაემსგავსა და ხმის დაყენება დაიწყო.

– მიდი, მიდი, ცოტა გავერთოთ, თორემ ნამათრახალი სხეული ეხლა უფრო მეწვის – ამოიოხრა გუჯამ.

– სმენა იყოს და გაგონება, ვაგრძელებ მეფის ნათქვამს, კვლავ „სამეფო ხმით“ წამოიძახა ებოთიამ

– ერისთავნო, საქმე იმას კი არ გვაუწყებს, თუ რა უნდა ვქნათ, არამედ საქმე გვაუწყებს იმას, თუ რაც ჩვენთვისაა, საიდუმლოდ გაცხადებული და სახელმწიფოს მიერ აუცილებლად ყურადსაღები. ეხლა კი მოგახსენებთ მთავარ საიდუმლოს ჩემსას, ათონზე მიღებულს – ებოთიამ ხმას კიდევ აუწია და წამოიმართა, მსმენელებს თვალი მოავლო და თქვა: – სანამ მთავარს გეტყვით, რადგანაც საიდუმლო საიდუმლოა, მოსმენის უფლება ყველას არ უნდა მივცეთ. გიბრძანებთ, დაითხოვოთ დარბაზიდან თქვენი მსახურნი, ყმანი, აბჯართ-მტვირთველნი და მერიქიფენი.

– ვაგრძელებ საუბარს. დარბაზის კარნი ჩარაზეთ. ეხლა აქ ჩვენ დავრჩით მხოლოდ თორმეტი მოყმე. აი, ეხლა, შემიძლია გითრხათ ჩემი სათქმელი.

– „მეფეო“, სანამ საიდუმლოს იტყოდეთ, კიდევ ერთი მაქვს მოსახსენებელი – ამ სიტყვებით ისე ატორტმანდა ებოთია, რომ სოლომონა მიხვდა, ვისაც განსახიერებდა იგი, „სულელი ვირშელი“ – ჩაიჩურჩულა სოლომონა კალატოზმა და ებოთიას მიაჩერდა.

– „მეფეო“, თუ ჩემი მსახურნი და აბჯარმტვირთველნი დაითხოვეთ, მაშინ მანდ რომ გიზით, მარცხენა ფერხთით, შეჩვენებული ქონდრისკაცი ებოთია, რომლის ნამასხრევზე მე არც მეცინება და ვისაც ეცინება, იმან იკითხოს, დავითხოვოთ ეგეც – ვირშელის ხმით ღლაბუც-სლოკინით თქვა ებოთიამ.– ეხლა არ მითხრა, ძმაო, მასხარავ, რომ შენც გამოგაგდეს იმ კრებიდან, თორემ, იქნება, გადავირიო – შეშფოთდა სოლომონა და ნამათრახალ თავზე ხელი გადაისვა.

– ებოთიავ, ჩემო კარგო, ვირშელის რჩევა ჩემთვის მისაღებია – დატოვე დარბაზი და კრების დამთავრების შემდეგ გიხმობ! – კვლავ ომახიანად თქვა ებოთიამ და გაიტრუნა.

– ეხლა არ გამაგიჟოთ, მართლა „გიჟვრაცუებო“, დამიბრუნეთ ჩემი ორი მარჩილი – ლუღლუღებდა ცალყურახეული გასპარა, იცინოდა გუჯა და საგონებელში ჩაგდებულ სოლომონას მიჩერებოდა, რომელიც ვერცხლის ქუჩის დაღმა მიუყვებოდა გზას და იღლიაში ამოდებული შოთის პურებით მიაღლვევდა ნელ-ნელა ჩამონოლილ ბინდს.

გაგრძელება იქნება



ვაჟა ოთარაშვილი

წერილი 1
მარტოსული ტატო... 1845 წ.

აქ უშენოდ ყოფნას ჰქვია ტანჯვა,
შუბლს მიცხელებს ნახჭევანის
ჰავა...
რა შორია თბილისიდან განჯა –
აქედან კი ფიქრით წუთში ჩავალ...
კატერინა, უსასრულოდ გნატრობ,
დუელში ვთხოვ შენს მეუღლეს -
ვერანს...
ამ ლექსს გიწერს მარტოსული
ტატო,
შენთან ატანს თავისივე მერანს...

წერილი 2
საკურთხეველთან...

„შემონახულია ცნობა, რომ
პატარძალს –
ეკატერინე ჭავჭავაძეს, ქაშუეთში
საკურთხეველთან გული
შეუწუხდა...“
(არქივიდან)

საკურთხეველთან გული
შეგიწუხდა, ეკა,
თითქოს ქაშუეთის
კედლებმაც დაიგმინა...
წუთით გაირინდა ზარების რეკვა,
მხოლოდ მნათე ბუტბუტებდა:
„ღმერთო, ამინ...“
ალექსანდრე ჭავჭავაძეს სახე
გაეყინა –
სამეგრელოს დედოფალს
უმზერდა...
ჰოი, ტატო, ცხოვრებისგან
გარიყულო,
დარჩენილო საკუთარ მუზებთან...
სწორის დაკარგვა შეგრჩება
ხსოვნაში,
საყურის თამაში – იდუმალ ნანახი...
ციება შეგხვდება, განჯაში, ოღრაში
და ოხრად დაგრჩება სატრფო და
ყაბახი...
„არ დაიჯერო, თუ
ვით სატრფო ხარ...“
ეკატერინე თავადზე გათხოვდა...
და ისევ მარტო ხარ...
და ისევ მარტო ხარ...

წერილი 3
ჩინოვნიკური მზოჭავს მუნდირი...

მთავარანგელოზ რაფაელს
შევთხოვე,
რომ მომაცილოს ამ წყეულ განჯას...
კვლავ მელანდება ყაბახზე ვერხვი –
რიჟრაჟზე თრთვილის რომ
ისხამს მარჯანს...
შენ დედოფლური სევდით ირთვები,
მოვალეობის მძიმე ხარკი...
დატყვევებულა ბეჭდით თითები,
პირჯვრის წერითაც ვერაფერს
არკვევს...
შენთან შეხვედრა ისევ მწყურია
და ჩინოვნიკის მზოჭავს მუნდირი...
კატრინ, მივდივარ... დასასრულია...
და დასასრული არის... მუდმივი...

წერილი 4
ტფილისი ისევ ძილშია...

ხედავ, შენს ნახვას უკვე მიშლიან –
ეკატერინე, ჩემო კატინა...
ალბათ ტფილისი ისევ ძილშია
და ჩემმა ლექსმაც გული გატკინა...
განჯაშიც ახლა ძალიან ცხელა,
ცა აუვსიათ გვალვისფერ
ღრუბლებს...
გონჩა-ბეგუმის გამომყვა წყევლა –
ხანის მალულად რომ ვესაუბრე...
სული ობოლი უშენოდ კვნესის...
ხედავ, შენს ნახვას უკვე მიშლიან...
და იძერწება ტკივილში ლექსი,
მაგრამ ტფილისი ისევ ძილშია...

წერილი 5
ზეციური ქორწილი...

მადლობა კატინ, ჩემი ლექსები,
რომ შეუნახე შთამომავლობას...
ზეცაში ველარ ჩამოგეხსნები –
ცაში არ არის მტრობა-ჯავრობა...
აქ შეხვედრებსაც ვერვინ
დაგვიშლის,
ვერც გაგათხოვებს აქ უკვე
ვერვინ...
ნუ გეშინია რუსულ ქარიშხლის,
გქონდეს იმედი ტატოს და მერნის...
და მუდამ შენთან ერთად ვიქნები,
დიდება უფლის ღვთიურ
წყალობას...
არ დაცემული მიწას ფიფქების
მოგვეფინება ტკბილი გალობა...
აქ ჩემი ცოლი იქნები კატინ,
ზეცაში ჰქვია რადგან
ორს წყვილი...
თავს დაგვადგება მზის ათინათი
და დაიწყება ჩვენი ქორწილი...

წერილი 6
ბარათაშვილის გადმოძახილი XIX ს–დან XX–ში გალაკტიონს...

თუ გალას მუზად სულ ჰყავდა მერი
და გალაქტიკა ლექსით ეკავა...
მე კატინა მყავს – ყაყაჩოს ფერი
და სულ მეძახის: „შენი ეკა ვარ...“
უშენოდ განჯის დღეებს ვერა
ვთვლი,
რადგან დარდები შემომესია...
შენა ხარ ჩემი ფრესკა გელათის
და პარაკლისის ხარ ეკლესია...

წერილი 7
არც ჩემებრ შაეყვარები...

(ხალხურ მოტივზე)
მკერდში მიპყრია ტრფობისგან
პირგალესილი დანები...
რიყეზე ჩაველ, ვთევზაობ... ბადეს
მე თვითონ გავები...
არც თავი მახსოვს, არც ბოლო და
აღარც სახლის კარები...
სულ მელანდება კატინა...
მწვავს მისი ცეცხლის ალები...
ქამარ-ხანჯალზე მკიდია –
ნახიჭევანის ქალები...
ამინთე ერთი სანთელი –
ავაზისა მაქვს თვალები...
არც ჩემებრ ვინმეს უყვარხარ...
არც ჩემებრ შაეყვარები...

წერილი 8
წვიმაში განჯა...

წვიმამ ამიწვა ხელისგულები,
რადგან მეგონა შენი ცრემლები...
აჰა, ყაყაჩოს თაიგულები, –
მიყვარხარ, კატინ, შემოგევლები...
ჩემი ლექსები რომ მოგაბარე,
ეგ ჩემი სულის ნაპერწკლებია...
ნინო რასა იქმს? ანდა ბარბარე ?
ცას ვარსკვლავებად თუ აწვებიან...
ბარათაშვილი გიგზავნი ბარათს,
დამღალა განჯამ, სიშორის დარდმა...
.....
სიტყვა – დროსა და მანძილს
დაფარავს,
რადგან მერანი არავის გავდა...

წერილი 9
ვარსკვლავ(თ)გოგონას... კატინას...

ბავშვი ვუშლიდი როცა ცას
მკლავებს–
არა სწყდებოდა ზეცას
ვარსკვლავი...
დღეს კი მოწყვეტილს ვითვლი
ვარსკვლავებს,
შემიპყრობს სევდა ხან
გულსაკლავი...
და ამღვრეული ღრუბლების იქით,
შენი ვარსკვლავი თურმე მიცდიდა...
განჯიდან მოვქრი ლამაზი ფიქრით,
გამოქცეული ცოდვილ მიწიდან...
შენა ხარ ჩემი ვარსკვლავ(თ)გოგონა
და შენს კულულებს შევეხო უნდა...
ეს ცრემლი არა –ლექსი მოგორავს
და შეჩერდება მაგ ლამაზ გულთან...

წერილი 10
ტატო ეკატერინეს –

მეჯნურის

(პოეტური ჰიპერბოლები – ბარათები ლექსებად - „ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის სიყვარულის ისტორია...")

დალამება დიდი მოურავისა...

შენ მეკითხები: სააკაძე რისთვის
გაწირეს?
არადა იყო უშიშარი, ქველი,
უბრალო...
გოლგოთისაკენ მიდის მისი
ტანჯვის გზაწვრილიც,
რომ შეჰღაღადოს: „მომიხსენე
ჩემო უფალო!...“
განჯა-ნახჭევანს გადუარა მისმა
მერანმაც...
ფეხქვეშ გათელა ერევანიც, დელიც,
ბაღდადიც...
მაგრამ მის დიდ გულს, მხოლოდ
ქართლის ტრფობა სერავდა...
და გმირის თვალებს ალეპოში
ამოაღამდა...
ეჰ, კატერინა... ქართველობას
ბევრჯერ მოუვა
მსგავსი შეცდომა... რადგან
შური ჩვენი დალია...
განჯას ვიხსენებ შვილშეწირულ
მამაც მოურავს
და რაც ეხლა გვჭირს ივერიელთ–
ჩვენზედ ახია...

წერილი 11
განჯის ქოხიდან...

„საშინელი ქოხი – ასე უწოდა ერთმა თანამედროვემ იმ სახლს, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა უკანასკნელი ღამე გაატარა...“

არქივიდან

არცერთი ქალის შედარება
შენთან არ მოვა,
რადგანაც შემხვდი უცნაურად,
ვით მშვილდოსანი...
ეს სიყვარული, ვფიქრობ,
უფრო არის კარმული,
როცა ერთურთის გულებს კოდავს
ორი მგოსანი...
კატრინ, მიყვარხარ... ვიცი
ამას ცოდვად ჩათვლიან...
მინდა გავიქცე განჯის ქოხის
მძიმე ერდოდან...
რომ მივეახლო ქაშუეთის კედლებს –
სანთლიანს,
და მუხლმოდრეკით ღმერთს
შევთხოვო ჩვენი შენდობა...
კატრინ, მიყვარხარ... და ეს გრძნობა

ზეცაში მიმაქვს,
მხოლოდ ჩემი ხარ... არც ყოფილხარ
სხვა არავისი...
დაისხი ღვინო... შესანდობარს
უხდება ჭიქა...
წაიქცევა და... აივსება ცრემლით
სასმისი...

წერილი 12
მერანის მისტერია – ორი საუკუნის შემდეგ ...

ძინავს კატრინას... საუკუნეებს
ვერ წაუშლიათ მისი მშვენება...
ტატოც ტრფობისგან განუკურნელი
დარჩა და, აბა, რა ეშველება...
მიდის დრო-ჟამიც... ეცვლება ფერი
საყდარ-მონასტრებს, მეჩეთ-
მიზგითებს...
და სიყვარულზე ღვთიურ სიმღერით
დედა სამყარო ისევ გიზგიზებს...

ახალი გამოცემები

ცახუმის მოყვარული

(ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი)

2017 წლის გიორგობისთვის ბოლო დღეებია.

რამდენიმე მეგობართან სასიამოვნოდ საღამოგატარებული შინ დავბრუნდი. ალბათ, მიახლოებით, თერთმეტი საათი იქნებოდა.

ვაღებ კარებს. შევდივარ ოთახში, სადაც ოჯახის წევრებს მოუყრია თავი. ზოგი ტელევიზორს უყურებს, ნაწილი კერძო საუბრითაა გატაცებული. იქვე ბავშვებიც ერთობიან.

უცბად, ტელეჟურნალისტის ნაცნობი ხმა ჩამესმა:

– „ძვირფასო ტელემაყურებლებო, დღეს ჩვენი სტუმარია პოეტი და ჟურნალისტი ქალბატონი ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, ადამიანს ხელისგულზე თავისუფლად რომ დაეტევა, საკუთარი ლექსების, ისეთი ახალი კრებულით...“

მოულოდნელი სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ ეს ჩემთვის, ვინაიდან საკმაოდ კარგად ვიცნობ ქალბატონ ნანას და ვიცი, „ხმაური“ არ უყვარს, უჩუმრად ემსახურება იმ საქმეს, რაც მოსწონს, სულით-ხორცამდე გაბრჯენილია მრწამსით – *„სიკეთე ჰქმენი, ქვაზე დადე, გაიარე და წინ დაგხვდება“* და, რაც უმთავრესია, – ეთაყვანება ბრძენი ილია მართლის სხარტულას: – *„ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან“.*

მაშინვე მოვერგე ტელეეკრანს საყურებლად.

მაღალი გემოვნებით გაკეთებული სატელევიზიო, რვა-ათ წუთიანი სიუჟეტი მომეწონა.

გადაცემის დამთავრებისთანავე ტელეფონით დავუკავშირდი ქალბატონ ნანას და წიგნის ერთი ეგზემპლარის ჩუქება ვთხოვე.

მეორე დღესვე, ლექსთა კრებული – **„მკათათვის ხილვები“**, ჩემს სამუშაო მაგიდაზე დავიგულე.

მართლაც, ერთი ამოსუნთქვით წაკითხულმა კრებულმა, „მაიძულა“ რამდენიმე სიტყვა მეც მეთქვა ამ ლამაზ გამოცემაზე, რომელიც ავტორმა მიუძღვნა *სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის,* **ილია მეორის** დაბადების 85 და აღსაყდრების 40 წლისთავს.

წიგნის დასაწყისშივე, ავტორისეულ სტრიქონებში ვკითხულობთ:

– „... ამ მომცრო კრებულს ვუძღვნი ჩვენს დიდ მამას, ღვთისკენ სავალი გზის ჩირაღდანს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, რომლის სიბრძნითა და სულის სინათლით ვიკვებები ყმაწვილქალობიდან დღემდე...“

სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა, სული გამითბა და თვალებში სისველე მომეძალა... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ცრემლი გულის პატიოსანი გამონაჟურია ჭეშმარიტად დიდი აღტაცებისა და სიხარულისას!..

„სულიდან ამოზრდილი ყვავილები“ უწოდა ცნობილმა მწერალმა, ბატონმა **ემზარ კვიტაიშვილმა** ამ კარგი ლექსების წიგნს და ასე ბრძანა კიდეც:

– „... ღრმა, უშუალო განცდის გარეშე ერთი სტრიქონიც არ დაუწერია და ამიტომაა, აუღელვებლად რომ ვერ წაიკითხავ ძვირფასი ნანას ნახელავს, მის ნაფიქრ-ნააზრევში, უპირველეს ყოვლისა, უფლის, სამშობლოსა და დედ-მამის უსაზღვრო, თავგანწირულობამდე მისული სიყვარული გამოკრთის, ასევე მოყვასისადმი თანადგომა. არასოდეს დამავიწყდება, როგორი პატივი მიაგო ცნობილი ფიტოთერაპევტის, ქველმოქმედი ქალბატონის, ქართველი მწერლების დაუღალავი მოამაგის, რუსუდან ლომიძის ჯერ საქმიანობის პოპულარიზაციას, შემდგომ კი მის ხსოვნას.

სრულებითაც არ გამკვირვებია, ახლახან, შუაგულ ზაფხულში, რომ ეწვია მას ღვთის განუზომელი ძალისაგან მომდინარე შთაგონება და მზის ამოფრქვევასავით ერთბაშად დაიბადა „მკათათვის ხილვები“. ეს პატარა, თაიგულად შეკრული, მადლიანი და უგულწრფელესი წიგნი ალალი, ყოვლის დამტევი გულის ფეთქვა და შეუბღალავი, უბიწო სულის ღაღადისია...“ – ვკითხულობთ წიგნის წინა გვერდზე.

წიგნის რედაქტორია ცნობილი პოეტი ბატონი **თემურ ჩალაბაშვილი,**

ბუნებრივია, ქართული სიტყვის ორი შესანიშნავი ოსტატის, ბატონების – **ემზარ კვიტაიშვილისა** და **თემურ ჩალაბაშვილის** პოეტური ტანდემი, მკითხველისათვის თავდაპირველადვე მიმანიშნებელია იმისა, რომ ხელისგულზე დატეული მომცრო გამოცემა, უსათუოდ მოიძევს თბილ ადგილს მრავალთა „გულის ჯიბეში“.

უფლის უსაზღვროდ მოიმედება მთავარია ქალბატონი ნანასათვის, რამაც ათქმევინა კიდეც:

– მზე, ვით სამყარო,
უსასრულო, უკიდეგანო,
ირიბი მზერით დამჩერებია
და სულს მინათებს...
მთვარე კი,

➔

მისტერია

ეკა კვანტალიანი

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისათვის

წერილი 1
ჩემი საყურე...

აღარ გიხდება მანდ განჯის ჰავა,
მომნატრებიხარ ჩემო პოეტო...
აქ, უშენობით ეს წელიც გავა...
გულს ცეცხლის ალი ისევ მოედო...
იქნებ უშველო დარდს გამოწვეულს,
უშენობით რომ არ მინელდება,
ან გვინახულე ზაფხულში...
წლეულს...
თორემ ზამთარი გამიძნელდება...
თეთრი საფარი მთებს როგორ
შვენის,
გზას განჯისაკენ ისევ გავყურებ...
ჩრდილივით კრთის და ირხევა შენი
თვალშენავლები – ჩემი საყურე...

წერილი 2
პასუხი ტატოს...

მოვალეობამ მიმიყვანა
საკურთხეველთან...
მამის ოჯახის მოვალე ვარ თავს
მიტომ ვუხრი...
ეკლესიაში მაგონდება
წინანდლის ველთან –
მომართვი ლექსი და სანთლები
ლოცვაზე მწუხრის...
დამაქვს შენდამი სიყვარულის
გრძნობა მგზნებარე...
დილის მზის სხივი ეფინება
ტაძარში ფასადს –
მერე დედოფლის მძიმე
გვირგვინს ააელვარებს...
განა კი ღირდა ყოველივე ამ
ტანჯვის ფასად?...

წერილი 3
პოეზიაა შენი ხელობა...

ჩინოვნიკობა შენი ვალია,
მამულის კალთებს მოგწყვიტეს ძალით
და ჩემი გული შეუვალია,
ვარ სამეგრელოს სამეფოს რძალი...
მიჯნურობა კი წმინდა, უმწიკვლო–
გულის სიღრმეში რომ მოვათავსე,
მხოლოდ ჩემია და ერთი მწიკვიც
სხვას არ ეკუთვნის...ავწიე თასი...
ამ ტრფობის სასმისს არ
უჩანს ძირი...
შენი სიცოცხლე და დღეგრძელობა...
ძვირფასო, თუნდაც გეცვას მუნდირი–
პოეზიაა შენი ხელობა...

წერილი 4
სასახლის ტყვეობაში...

მოღრუბლულია...ისმის ქუხილი,
ბევრჯერ ყოფილა წვიმები შლეგი...
ელვამ დამალა ჩემი წუხილი–
სასახლე მექცა როგორც დილეგი...
წვიმს...ქარი წვიმის ნაკვალევს
ტოვებს...
ხეებს ტოტები გადაეღუნა...
განჯას, შენს გულში ბინა ვიპოვე –
შევეფარები, როგორც ბეღურა...

წერილი 5
წითელი ღვინო...

წინანდლის ბაღი...სტუმრები...
ლხინი...
რა მოუსვენრად ვიყავი ერთობ...
შენ მოხველ... და ვით წითელი
ღვინო –
სისხლი აჩქეფდა, გულს შემოენთო...
დამძიმებული ჩანდი ფიქრებით,
თან პოეზიის გდევდა
სურნელი...
ოდესმე, ნეტავ, შენი ვიქნები?...
ოცნების სიო ქროდა სულ ნელი...
შენი ხმის ტემბრით ივსება სმენა –
მოგონებების ალყა მარტყია...
ფურცლებს გადავშლი,
ვკითხულობ „მერანს“
და გული შენი – ლექსებს ატყვია...

წერილი 6
სახელი ერთი – ტატოს...

მე უშენობით მარტო
არა ვარ –
როცა მიდიხარ
სევდასთან მტოვებ...
გამომიგზავნი ლექსის
ქარავანს
და გამოატან რითმათა
რტოებს...
დამყვება გულში
სახელი ერთი–
ამ ცენტრის ირგვლივ
ბრუნავს ორბიტა...
გული ივსება სინათლით ერთობ,
რადგან სიყვარულს ლექსად
მომიტან...

წერილი 7
განჯის მთვარე

(ხალხურ მოტივზე)

ძალ-ღონე გამომელია,
ისე ყალბია სამყარო...
აქ, უშენობა ძნელია –
დღე-ღამე როგორ გავყარო...
ვხედავ მაგ თვალთა განთიადს
ლექსებში შეუმცდარადა...
მზე აქაც მარტო ანთია...
მთვარეც განჯაში – ცალადა...

წერილი 8
რად უნდა განსჯა ...

რად უნდა ამას ამდენი განსჯა,
ჩემთვისაც ტანჯვა რომ არის
განჯა...
ჩვენ არა გვიშავს – ნინომ, ბარბარემ –
შენი ლექსების თქმაშია ბარემ,
ერთურთს ყოველდღე
გაუმეტოქდნენ...
წვიმა კი, როგორც ძველი მედუქნე –
დარდით პირთამდე აგვივსებს
დოქებს...
თასში იღვრება ცრემლებ ნარევი–
და მტკივა გული ნაიარევი...
ეჰ...ნინოს, მამა,ტრფობას არ უშლის –
გრიბოედოვი ეახლა გუშინ...
რვეულს გადავშლი... იქ, შენი სახე –
ლექსში მალულად შემოვინახე...
შენგან სიშორე ბედის მახეა,
მაგრამ, რა ვუყოთ – ჩემზედ ახია...
ტატო... გიჭრიდეს მუდამ კალამი,
გამოვატანე ფოსტას სალამი...

წერილი 9
ვარსკვლავ(თ)მგოსანო...

ტატოს

შენ ისევ კალამს უმხელ სატკივარს,
განჯის ერდოზე გულდასეტყვილი...
აღმართავ ლექსებს როგორც
სატევარს–
არა სჩვევია მაგ გულს – ტყუილი...
შემოჯარულ მტერს, დარდებს
მუხანათს –
გულში აძგერებ გალექსილ
მახვილს...
ავდრის ღრუბლები ელავს მქუხარე –
არ ქრება ისევ სურვილი ნახვის...
ცას მოეხვიე... გაშალე მკლავი...
მოხეტიალე ხარ ლექსში მწირი...
ქართული დარჩი მაინც ვარსკვლავი –
უცხო მიწაზე გადახვეწილი...

წერილი 10
ეკატერინე ტატოს – გულისტკივილით გიორგი საკაძეზე...

ჩემო პოეტო, აღნიშნე სწორედ,
როდის ყოფილა განა მარტივი,
მამულისათვის ცეცხლში იწვოდე
და საკადრისი გეზღოს პატივი...
გამოხდა ხანი და ისევ ტატო–
ვინც დაიტირე „ბედი ქართლისა“...
საკაძეთა ვარამზე დარდობ –
ერმა სიმართლე რომ არ აღირსა...
იბრძოდა მუდამ ხმალაღმართული,
შვილიც სამშობლოს მსხვერპლად
შესწირა!...
გულში უჩქეფდა სისხლი ქართული,
ვით სვეტიცხოვლის ლოცვა და
წირვა...
გადაგვიხვეწეს დიდმოურავი, –
როგორც ქართველებს ხშირად
სჩვევიათ
და თუ დროება დაგვიდგა ავი –
ჩვენივე შურის ანარჩევია...
ორგულობაა ჩვენი დამყოფი…
არ იშურებდა სულსაც არადა...
რა იქნებოდა განა მარტყოფი–
უ-მოურავოდ... ანდა – მარაბდა...
სამშობლოსათვის
იწყვეტდა ილაჯს,
ხმლით სურდა ქვეყნის მტრისგან
წამლობა,
ვალად გვედება მის ჯიშს და
ჯილაგს–
სიმართლე ვუთხრათ
შთამომავლობას...
საკაძის გვარს დიდებას მატებს
დრო... გამოიტანს სანდო
განაჩენს...
ვინ გმირი იყო... ვინ მოღალატე –
ქართველი ერი იტყვის
დანარჩენს...

წერილი 11
ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის გარდაცვალება განჯაში...1845 წ.

„ღმერთო პოეტის სიკვდილია ნუთუ საჭირო,
რომ დაინახონ ქმნილებათა
უკვდავებანი?“
ვაჟა ოთარაშვილი

საყდარში იყო ჩუმი გალობა,
განჯაში ქროდა ქარი, ძლიერი.
ესვენა... ტაძარს სთხოვდა
წყალობას,
ნეშტი პოეტის და ღვთისნიერის...
ვერ დაიტირა სატრფომ ობოლი,
რეკავდა ზარი ქაშუეთს მწუხრის...
უერთდებოდა ცრემლები რბოლით,
სამშობლოს გარეთ ქართველთა
წუხილს...
იწვა პოეტი... უკვე ციოდა,
ლექსი იწვოდა სანთლის
ცვილებად...
წვიმას ცრემლები მიტომ ცვიოდა,
უცხო მიწაზე მიაცილებდა...
შორს, სასახლეში – ტიროდა ქალი...
პოეტის სული მზისფერ ალებად,
ცაში მიჰქროდა თავისუფალი
და საქართველოს დასტრიალებდა...

წერილი 12
მერანის მისტერიის გაგრძელება...

არ გვაქვს უფლება ტატოს და
მერანს
ეკატერინეს – მის უკვდავ სატრფოს,
ლექსში არ მივსცეთ კვლავ
გულის ძგერა
რომ გარდასული წლები გაათფოს...
დღეს ჩვენ გვიმზერენ
აჩრდილნი მათნი –
პასუხსაც ჩვენგან ელოდებიან
და დაგვთამაშებს თავს ათინათი...
თუმცა გულს სევდის აკორდებია…
ალბათ იწვოდნენ, ვით მზე ციური –
ცეცხლი მათშია – რად უნდა ძებნა...
ასე იწყება ეს ზეციური –
უკვდავი ტრფობის გამოღვიძება!...

შემოქმედება

მთვარე – გულცივი და
გულსევდიანი,
სულ სევდით მავსებს...
ჩემი ცხოვრება ასდევნებია
ღრუბელთა ფარებს,
იქ უფალია,
ის შემიფარებს!..

უფლისადმი დიდი რწმენაა ამ ლექსის „ანი და ჰაე“...

კრებულში წარმოდგენილი ლექსების გულისყურით გაცნობისას, შეუძლებელია არ დაგეუფლოს ნაღდი პოეზიით გამოწვეული აღმაფრენა-სიხარული, წუთისოფლის თანმდევი მწუხარება-ტკივილი, მომხდარის შეცნობისა და ყოველივე მოსალოდნელის სწორად გაგების უნარი; დიდი უმრავლესობა სტრიქონებისა *„მოქნეულია ნედლი ტოტივით“* და გაუტეხავი, ღრმაშინაარსიანი... და ამას აღწევს ქალბატონი ნანა, რადგან წერს მხოლოდ მაშინ, როცა ეწერება, წერს იმაზე, რაც მის გულამდე აღწევს, წერს მოჩვენებითი აღფრთოვანება-წუხილის გარეშე, პატიოსნად, ოსტატობითა და გულწრფელად აღიარებს: – „მკათათვის ხილვები“ ერთი კალმის მოსმით დავწერე 2013 წლის მკათათვეშიო.

ქალბატონი ნანას დარი შემოქმედნი იშვიათად და მოზომილად გაიელვებენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, კანტი-კუნტად უშვებენ წიგნებს, ნაკლებად ჩნდებიან ტრიბუნებზე, მაგრამ ესენი არიან ნამდვილი პოეტები, – მათ ხშირად ბედი არ სწყალობთ და ტაშითაც არ არიან განებივრებულნი, თუმცა, როგორც სანთელ-საკმეველია ერთიანი, ისეთივე კავშირი მყარდება საბოლოოდ მათსა და ლექსის გამგებ ადამიანებს შორის. მისი ლექსების კითხვისას, წარმოუდგენელია ვერ შეიგრძნო მართალი პოეზიით მიღებული სიხარული და ტკივილი. თითოეული ლექსი კამკამა ნაკადულივით სუფთა, მართალია და საბოლოოდ ერთვის პოეზიის წყალუხვ ზღვას – უძიროსა და ბოლომდე ფიქრმიუწვდომელს...

ნანა ბაგრატიონის ლექსები ხშირად მცირე ზომისაა, მაგრამ, ძირითადად, სიუჟეტური და მნიშვნელოვანის მთქმელი; აი, თუნდაც ეს ლექსი:

ჩემგან თუ რამე სხივი გამოკრთის,
ჩემში თუ რამე სანთლად ანთია,
ჩემი არ არის, ჩემგან არ მოდის,
ღვთის წყალობაა, უფლის მადლია.

ან კიდევ:

მოჩვენებაა, მითია
თმაში მბრწყინავი ვერცხლი,
მე ისევ გულში მინთია
ყაყაჩოების ცეცხლი...

აქ წერტილი მინდოდა დამესვა, მაგრამ ვერაფრით შევძელი ამ ლექსის გვერდის ავლა, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ:

ისევ დაბრუნდნენ
ჩვენი მერცხლები
და ჩვენი ნუშიც
ისევ აყვავდა,
გულში შეყუჟულ
ძველ სანახებს კი
დრო-ჟამმა ფერფლი
გადააყარა.

უყვარს და ეფერება პოეტი ლექსს, ელოლიავება და უმძიმეს დანაკლისად თვლის მასთან განშორებას. ამიტომაც ქმნის აგრერიგად ლამაზ და გულიან სტრიქონებს:

ლექსი დავკარგე –
გლოვისფერი
ჩავიცვი ტანზე –
ძლიერ განვიცდი...
ასე მგონია,
ჩამომაჭრეს გულის ნაწილი,
და რითმებს სულში
თავს ვერასდროს
ველარ მოვუყრი...
ლექსი დავკარგე –
რა მძიმეა ეს დანაკლისი!..

მე კი, ვიტყოდი, – ამ მოხდენილი წიგნის გამოქვეყნებით, ნიჭიერმა პოეტმა ქალმა მრავალი დიდებული ლექსი აჩუქა მკითხველს!..



ლევან გვეტაძე,
მწერალი. საქართველოს ეროვნული
აკადემიის წევრი

სამცხე-ჯავახეთი „ივერიის" ფურცლებზე

XIX საუკუნის მეორე ნახევარი უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ახალმა თაობამ, – **ილია ჭავჭავაძემ** და მისმა დასმა, რომლებიც წინა თაობას უმოქმედობას უწუნებდა, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ახალი გეგმა ჩამოაყალიბა და ამ გეგმის განხორციელებას აქტიურად შეუდგა. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ეფუძნებოდა ილია ჭავჭავაძის სამ თეზისს: **„ენა, მამული, სარწმუნოება"**. ეს იყო ის სამი საუნჯე, რაც ქართველებმა წინაპრებისაგან მიიღეს და მათი დაცვა და განვითარება ეროვნულ აღორძინებას უნდა დადებოდა საფუძვლად. ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკი, თეატრი და ა. შ. მაგრამ განსაკუთრებული როლი ამ დიდ საქმეში მაინც ჟურნალ-გაზეთებს ეკუთვნოდა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე იწყებს ბრძოლას ბეჭდვითი ორგანოს შექმნისათვის. 1863 წლის იანვარში გამოსცა ყოველთვიური ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომელმაც 1864 წ. მარტში დაასრულა საქმიანობა. ამ ჟურნალმა გარკვეული როლი ითამაშა ქართველი მკითხველის გემოვნების ჩამოყალიბებაში. თვითონ ილიას ამ ჟურნალის ნაკლად მიაჩნდა ის, რომ თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებს არ აშუქებდა.

საეტაპო მნიშვნელობა, როგორც ქართული საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ისე ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისათვის ჰქონდა გაზეთ „ივერიის" გამოცემას. „ივერიასთანაა" დაკავშირებული მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი და ჟურნალისტურ-პუბლიცისტური საქმიანობა. სწორედ „ივერია" გახლდათ წლების მანძილზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშე, – სათავეში ედგა ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობისათვის, მშობლიური ენის დაცვისა და ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის ზრუნვის საქმეს.

1877 წლის 3 მარტს გამოვიდა მეცნიერულ-ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთის – „ივერიის" პირველი ნომერი. წინასიტყვაობაში ილია ასეულად იყო განსაზღვრული პრესის დანიშნულება: *„ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს: ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა, მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა, მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა."*

გაზეთი „ივერია" ჯერ ყოველკვირეული ორგანო იყო, 1879 წლიდან ყოველთვიური ჟურნალი, ხოლო 1886 წლიდან 1902 წლამდე, ყოველდღიური გაზეთი გახდა, რომელსაც ერთპიროვნულად ი. ჭავჭავაძე ედგა სათავეში. გაზეთს თავისი წარმომადგენლები რეგიონებშიც ჰყავდა.

სამცხე-ჯავახეთში „ივერიის" კორესპოდენტები იყვნენ: **ივანე გვარამაძე, კონსტანტინე გვარამაძე, ილია ალხაზიშვილი, ვასილ კოპტონაშვილი, ივანე ბარიკალაშვილი, გიგო შატბერაშვილი** და სხვები. თავიანთ კორესპოდენციებში, წერილებსა და პუბლიკაციებში ისინი ობიექტურად ასახავდნენ ჩვენი კუთხის ზოგად მდგომარეობას, მის წარსულსა და აწმყოს, ყოველდღიური ცხოვრების ავ-კარგს, საგანმანათლებლო თუ ყოფით პრობლემებს. მათ გარდა საქართველოს ამ კუთხის სპეციფიკურ მდგომარეობასაც წარმოაჩენდნენ. სწორედ აქ, ისტორიული მესხეთის ამ ნაწილში – სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებული სიმწვავით იდგა ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის, მშობლიური ქართული ენის დაცვისა და ქართველი ერის კონსოლიდაციის პრობლემები. მესხთა ერთ ნაწილს სარწმუნოება ჰქონდა შეცვლილი, მეორე ნაწილს – სალაპარაკო ენაც და ისინი რეალური გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგნენ. თავგზააბნეული მესხი კაცის გათვითცნობიერება და ერთიან ქართულ სივრცეში მისი დაბრუნება იყო დროის ყველაზე მწვავე პრობლემა. მისი გადაჭრა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქართველ ინტელიგენციაზე, რადგან ეს პრობლემა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი არ გახლდათ. ეს კარგად ესმოდათ ჩვენს კორესპონდენტებს და ყველაფერს აკეთებდნენ ამ მდგომარეობის წარმოჩენისა თუ გადაჭრისათვის.

ახლა გავეცნოთ გაზეთ „ივერიის" სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე კორესპონდენტებს და მათ კორესპონდენციებს **ილია ალხაზიშვილისა** და **ივანე ბარიკალაშვილის** მაგალითზე.

ილია ალხაზიშვილი – ფარმაცევტი, განმანათლებელი, ჟურნალისტი, ლექსიკოგრაფი, მწერალი. 1875 წლიდან 1918 წლამდე მოღვაწეობდა ჯავახეთში. მან თავისი საქმიანობით ფასდაუდებელი ამაგი დასდო საქართველოს ამ კუთხეს განათლების გავრცელების, ეროვნული გათვითცნობიერებისა თუ კულტურის დაცვის საქმეში. იგი აქტიურ ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ საქმიანობასაც ეწეოდა. „ივერიის" 1882 წლის IV-V ნომრებში დაიბეჭდა ი. ალხაზიშვილის წერილი „ნახული და გაგონილი, ანუ მგზავრის შენიშვნები". წერილი მრავალმხრივ საინტერესო გახლავთ. ავტორი მთელი სიმძაფრით წარმოგვიდგენს მესხთა გადაგვარების პრობლემებს და მისი გამომწვევი მიზეზების გარკვევასაც ცდილობს. მასში აღწერილია მგზავრობა ბორჯომიდან ასპინძამდე. იმ სხვადასხვა ფიქრებს შორის, რაც ზოგადად მგზავრობას ახასიათებს, მწერალს ეროვნული საკითხიც ახსენებს თავს, რადგან ამ გზაზე მიმავალ ადამიანს შეუძლებელია მესხეთის დიდი პოლიტიკური და კულტურული წარსული არ წარმოუდგეს წინ, შემდეგ შეხედავს მის მეტად ჭრელ მოსახლეობას და თავი „ქურთისტანში" ეგონება. ამიტომ, ბუნებრივია, ებადება კითხვა **„ვისი იყო სამცხე-საათაბაგო და ვისია ახლა. ამ კუთხის წარსულისა და აწმყოს შედარება საოცარ სევდას აღუძრავს მნახველს. ეს ძველისძველი ქართველების ქვეყანა, დიდებული სამშობლო დიდებული რუსთაველისა, ეს ქრისტიანების სისხლით მორწყული ნიადაგი, ახლა ქურთების სადგურად ქცეულა... რუსთავი... ეს არის ახლა პატარა, ნეხვით სავსე სოფელი, რომელშიც ათიოდე ნახევარზედ ველური ქურთი დგას. ასპინძა... ეს არის გათათრებული ქართველების ბუდე."** მაშასადამე, არსებულ რეალობაში, ქართველების სათაყვანო რუსთაველის სამშობლოს ან უცხო ჯიშის ხალხი ეპატრონება, ან სარწმუნოება შეცვლილი ქართველების შთამომავალი, რომელთაც **„სახეზე ეტყობათ, რომ ესენი სწორედ ქართველის სისხლისანი არიან"**. ავტორი შეძრწუნებულია იმ ცვლილებით, რაც სარწმუნოების შეცვლას მოჰყვა: **„რაკი სარწმუნოება შეეცვალა, შეეცვალა ენაც, ჩვეულებაც, ზნეც. შეეცვალა, ერთის სიტყვით, ყოველისფერი, რაც ერთს მეორისაგან განარჩევს, გარდა სახის მეტყველებისა, რომელიც შეეცვლება აგრეთვე დროთა ვითარებისაგან. სარწმუნოება მრავალსაუკუნე ომგადახდილი ხალხისათვის შეადგენდა უმთავრეს ბურჯს ეროვნებისას. იმ ბურჯზე სხვა კოშკები იყვნენ აშენებულნი, მაგრამ ნება-უნებლიედ უმთავრეს ბურჯთან ერთად უნდა დამხობილიყვნენ."** რატომ მოჰყვა ამდენი ცვლილება სარწმუნოების შეცვლას? ავტორს მოჰყავს **რენანის** სიტყვები: – *„ეროვნების დედა აზრი სარწმუნოებაზე არ არის დამყარებულიო"*, მაგრამ იქვე აზუსტებს რა შემთხვევაშია ეს ასე, და რა შემთხვევას აქვს ადგილი ქართველთა სინამდვილეში: *„დიალაც ასეა, სადაც სარწმუნოება ერს უომრად რგებია, და უომრადვე აქვს დაცული, მაგრამ რომელ ერსაც იმდენი ხანი დასჭირდება სარწმუნოებისთვის ბრძოლა, რა ხანიც ქართველობა იბრძოდა, ამ ერისთვის სარწმუნოების შეცვლა და შეცვლა ეროვნებისა, ერთი და იგივეა."* ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ქართველი კაცი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა რა სარწმუნოებისათვის, ამით თავის ეროვნებასაც იცავდა. როდესაც ამ ორიდან ერთი – სარწმუნოება შეიცვალა, ის თავს ქართველად ვეღარ თუ აღარ თვლიდა. თავს მუსულმანს ან „იერლის" (ადგილობრივს, აბორიგენს) უწოდებდა. ამიტომ იყო მაჰმადიანი მესხების გათვითცნობიერება მეტად მძიმე და ხანგრძლივი პროცესი, მას საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცნობიერება უნდა შეეცვალა, რომ სარწმუნოება და ეროვნება ორი სხვადასხვა ცნებაა.

ამავე წერილში ავტორი ძალიან საინტერესო ცნობებს იძლევა ახალციხის მოსახლეობისა და მათი სალაპარაკო ენის შესახებ: *„ახალციხეში, ისე როგორც ყოველს საქართველოს ქალაქში, არეული მოსახლეობაა: სომხები, ფრანგები (ქართველი კათოლიკები), ებრაელები. თითქმის ყველანი ქართულად ლაპარაკობენ, გარდა უკანასკნელად ერზრუმიდან გადმოსახლებული სომხებისა, რომელნიც კალიასავით მოსდებიან მთელ მხარეს და მთელი ვაჭრობა ხელთ ჩაუგდიათ. ახალციხეში კიდევ ეტყობა ვისი ყოფილა უწინ ეს ქვეყანა, მაგრამ გარშემო სოფლები რომ მოიაროს კაცმა, ასე ეგონება ანის ქალაქის არემარეში დავდიავარ ან კიდევ ქურთისტანშიო. აქ წმინდა ქართველობა ნაკლებად არის, უფრო შეხვდებით გათათრებულ ქართველებს, სომხებს და თარაქამებს, რაღაც უცხო ხალხებს, რომელთა დასაწყისი მეცნიერთ ჯერაც არ გამოუკვლევიათ."* მოსახლეობის სიჭრელე კი ორი იმპერიის მემკვიდრეობა გახლდათ, რა თქმა უნდა.

ილია ალხაზიშვილი ძალიან კარგად ხედავდა და აფიქსირებდა კიდეც, თუ როგორ განსხვავდებოდნენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართველები ერთმანეთისაგან როგორც ფიზიკურად, ისე თვისობრივად. ეს განსხვავება გამოიწვია ხანგრძლივი დროის მანძილზე აბსოლუტურად განსხვავებულ მდგომარეობაში ყოფნამ. ამ წერილში ეს განსხვავებაც და მისი გამომწვევი მიზეზებიც ნათლად არის წარმოდგენილი. ავტორი მიგვანიშნებს, რომ ახალციხის საფაშოში გამაჰმადიანებული ქართველი თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად თვლიდა, ითავისებდა ყოველივეს, რაც საუკეთესო იყო ამ მხარეში, ხოლო ქრისტიან ქართველს ძალიან დაჩაგრულ და დამთრგუნველ მდგომარეობაში უწევდა ცხოვრება, ყველა ჯურის მოთარეშე და ყაჩაღი მას ანიოკებდა. ამიტომ ისინი საცხოვრებლად მიუვალ და ხრიოკ ადგილებს ეძებდნენ. ავტორი საუბრობს შემთხვევაზე, სადაც ირკვევა, რომ წყლის ნაპირზე მცხოვრებმა ქართველებმა ცურვაც კი არ იციან. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ თავის დროზე ისინი მდინარეში თავისუფალ ბანაობასაც ვერ ბედავდნენ. მოვუსმინოთ ავტორს: *„მარტო სიმარჯვით არ სჯობნის გათათრებული ქართველობა ქრისტიანებს. ვერც სახით, ვერც ტანით ქართველები არ არიან მოხდენილნი, მაგრამ გათათრებულები სილამაზით ზოგიერთ სოფლებში ქვეყნიერებაზედ ულამაზეს ხალხს უკან არ ჩამოუვარდებიან. რას უნდა დაბრალდეს ეს მოვლენა? რასაკვირველია იმას, რომ გათათრებულებს უფრო მეტი ძალა და გავლენა ჰქონდათ ამ მხარეში და საცა კი ლამაზი ქალი გაჩნდებოდა, თავისთვის მიჰყავდათ. ამ გვარად, როგორც ახლა პარიჟში გროვდება რაც კი რამ მშვენიერია მთელს საფრანგეთში, ისე რაც კი რამ სახარბიელო იყო სამცხე-საათაბაგოში, ყოველივე გათათრებულ სოფლებში გროვდებოდა. ამით აიხსნება, რომ ხერთვისისთანა ლამაზი ხალხი, ეხლა ვგონებ გურიაში და სამეგრელოშიც არ მოიპოვება. იქაური ქალები სინაზით და პირისკანის გამჭვირვალობით განთქმულ შაჰალმის ვაშლს მოგაგინებენ".* მაშასადამე, ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, განსხვავებულ მდგომარეობაში ცხოვრებამ გამოიწვია საგრძნობი ფიზიკურ-თვისობრივი განსხვავება ერთი ეროვნების ადამიანებში – ქრისტიან და გამაჰმადიანებულ ქართველებში. მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულები გავიდა, რაც მდგომარეობა შეიცვალა, ამ კუთხის ქრისტიან ქართველებს ჯერ კიდევ დაღად ეტყობოდათ საფაშოს მძიმე მემკვიდრეობა.

ი.ალხაზიშვილის ეთნოგრაფიულ წერილებში მეტად საინტერესო ცნობებს შეხვდებით სამცხე-ჯავახეთის ქალაქებსა და სოფლებზე, მის მოსახლეობაზე, ამ მოსახლეობის წეს-ჩვეულებებზე და ა.შ. მაგალითად, თუ როგორ გამოიყურება ქ. ახალციხე XIX საუკუნის 90-იან წლებში, როგორ მიიღო და შეითვისა ქალაქმა „ახალი მოსახლეები", რა საშიშროება დაემუქრა ქალაქის მშვენიერ ისტორიულ სახელს XIX საუკუნის 30-იან წლებში, ნათლად გვიხატავს ი. ალხაზიშვილი კორესპოდენციაში „წერილი ახალციხიდამ" (84-ე ნომერი, 1897წ.): *„ძველი ან ნამდვილი ახალციხე, სადაც ქართველობა სცხოვრობს, ციხის ზემოთ მთაზეა გაშენებული და უფრო დაბასა ჰგავს. ახალი ახალციხე ახლად არის სომხებით დასახლებული (1830) მდ. ოცხეს (მდ ფოცხოვი მ.გ.) მარჯვნივ მთის ფართო კალთაზედ. კავკასიის სამაზრო ქალაქთა შორის სიდიდითა და სიმდიდრით ახალციხე საუკეთესო (ევროპული) ქალაქად ითვლება, სადაც 25 ათასი მცხოვრებია, რომელთა შორის 80% მეტი ერზრუმიდან გადმოსახლებული სომხობაა. პირველშივე, სომხობას განცალკევება სდომებიათ: რუსის მთავრობისთვის უთხოვიათ ახალციხე კი არა „ნოვი ერზრუმი" უწოდოთ ჩვენს ქალაქსაო. მთავრობამ ამის ნება არ დართო და მას აქეთ ახალი ახალციხე მამინაცვლად გაუხდა თავის ობოლ გერს – ძველ ახალციხეს."* ილიას მეტად დაღვრემილად და მინისფრად ეჩვენება ახალციხე და, მიუთითებს, რომ ქართველებისთვის შეურაცხმყოფელია ასე გამოიყურებოდეს მათი ძველი ქალაქი.

ერთადერთი, რაც ავტორის მოწონებას იმსახურებდა ქალაქის ძველ ნაწილში, რაბათში, გახლდათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო. იგი სიხარულს ვერ მალავს იმ ფაქტის გამო, რომ, თურმე, *„აქაურ ქართველებს რა რიგ სწყურებია და სჭირებია გონებრივი საზრდო"*. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას მას აძლევს მკითხველთა ის რაოდენობა, რომელიც ამ ბიბლიოთეკაში დადიოდა. ავტორი მადლიერებით მოიხსენიებს ამ ბიბლიოთეკის სულისჩამდგმელებს **კ. მეფისაშვილსა** და **გრ. ბურჭულაძეს.** ილია ალხაზიშვილი შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, მკითხველს კიდევ ერთხელ მიუთითოს, განათლების დიდ შესაძლებლობებზე, რომ ერმა თავის სიცოცხლისუნარიანობა განათლებით უნდა განამტკიცოს და მტერს გაუცრუოს იმის იმედი, რომ ჩვენ გადაშენების გზაზე ვდგავართ: *„დიაღ ბატონებო, ჩვენი მეზობლები გვიკიჟინებენ:* **ВЫ ВЫМИРАЮЩИЙ НАРОД, А МЫ ДОЛЖНЫ ЗАНЯТЬ ВАШЕ МЕСТО-***ო. აბა სხვა რით დავუმტკიცებთ მთელს ქვეყანას, რომ მოსპობის, სიკვდილის გზას არ ვადგავართ, თუ არა იმით, რომ განათლების ხმლით და ფარით ვებრძოლოთ ჩვენს დაუძინებელ მტერს – საღათას ძილს და დაუდევრობას".* საერთოდ, ილია თვლიდა, რომ, თუ ქართველმა კაცმა თავი აქამდე ხმლით და ფარით მოიტანა, ამის შემდეგ, თავის ადგილის დამკვიდრებას მხოლოდ განათლებით შეძლებდა. ახალციხის ბიბლიოთეკა, ისევე როგორც სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამ მისიას ემსახურებოდა. საერთოდ, ილია ალხაზიშვილი ქვეყნის ნათელ მომავალს თითქმის მთლიანად განათლებას უკავშირებდა.

„ივერიის" პუბლიკაციაში „დაბა და სოფელი" (მოწერილი ამბები) ილია მეტად დამაჯერებლად და ნათლად ხატავს ჯავახეთის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ სოფელს – ხიზაბავრას, მის მოსახლეობას, ჩაცმულობას, კილოს, მდიდარ ზეპირსიტყვიერებას: *„სოფელი ხიზაბავრა მთელს ჯავახეთში ერთად-ერთი სოფელია, სადაც სხვა ტომთან შეურევლად 163 კომლი 1700 სული ქართვე-*

ხიზაბავრელები სოფლის წყაროსთან. 1901 წელი. ჟურნალ „მოგზაურიდან"

ლობა სცხოვრობს, ხიზაბავრელებს წმინდად დაუცავთ ნამდვილი ქართული ენა მესხური კილოთი და იმდენი ლეგენდა, შაირი, ლექსი და ხალხის თქმულებანი შეუნახავთ, რომ მთელი ტომები დაიწერება. ჩაცმულობითაც სრულებით განსხვავდებიან, ნამდვილად ისე აცვიათ ტანთ, და თავზეც ისე ახვევიათ ჩაბალახი, როგორც ზიჩის მიერ დასურათებულ „ვეფხისტყაოსანშია“ ტარიელი და ავთანდილი“. ავტორი იმასაც გვატყობინებს, რომ ამ სოფელში ჯავახეთის მრავალი სოფლიდან გამოქცეული ხალხია თავმოყრილი, რადგან *„ჯავახეთში ოსმალთა ცეცხლი და მახვილი შეუწყალებლად გრგვინავდა, მაშინ ვინც მაჰმადის რჯული უარყო, სცდილობდა თავის მერჯულეს შეჰკედლებოდა.“* კიდევ ერთი, ქართული ხასიათისთვის მეტად დამახასიათებელი თვისებით და საქმით გამოირჩევიან ხიზაბავრელი და საროელი ქართველები: *„მოგეხსენებათ, რომ ქართველი კაცი უვენახოდ ძნელი წარმოსადგენია და ამიტომაც მთელს ჯავახეთში მხოლოდ ხიზაბავრელები და მათი მეზობელი საროელი ქართველები, ძველადვე მისდევდნენ მევენახეობას. უნდა ნახოთ რა წვალებით და ტანჯვით გაუკეთებიათ კიბეები (ტერასები მ. გ.) მტკვრის მხარეს და როგორ დაურგავთ ამ კიბეებზე ვაზები. ღვინო, თუმცა მჟავე გამოდის, მაგრამ ისეთის ხალისითა და გულდადებით უვლიან ამ ვაზებს, თითქო ვეჯინის და წინანდლის ღვინო გამოიწურება მათის მტევნებიდანო.“* ამგვარად, მწერალი მეტად ლაკონურად და მხატვრულად გვაცნობს ჯავახეთის ერთი სოფლის მოსახლეობას *„მეტად ქართული“* თვისებებით. ყველაფერი ამის დაცვა და შენახვა კი გმირობის ტოლფასი იყო, რადგან, როგორც იგი მიუთითებს: *„რამოდენა ტანჯვა-წამება უნდა გამოეარა ამ გაბნეულ ქართველებს, ცალკე თავიანთი გათათრებული მეზობლისგან, ცალკე ოსმალეთის მთავრობისგან, ცალკე თავიანთი მუბატონეებისაგან, ამ ჭირში და წვალებაში გაუტარებიათ მთელი ორი საუკუნე ხიზაბავრას, ქილდას, ბარალეთს და სხვა კიდევ ბევრ სოფლებს.“*

ი. ალხაზიშვილი, როგორც გამაჰმადიანებული მესხების გულშემატკივარი, ეხმაურებოდა ისეთ პრობლემას, როგორიც იყო მუჰაჯირობა. რუსი და თურქი მოხელეების მიერ შეგულიანებული და მოტყუებული, თათრებად და თურქებად მონათლული გამაჰმადიანებული ქართველები თურქეთში ეძებდნენ თავშესაფარს, სადაც მათი განმკითხავი არავინ იყო. „ივერიის“ 1892 წლის 185-ე ნომერში გამოქვეყნდა ფელეტონი: „ქართველი მაჰმადიანი მესხების დაბრუნება ოსმალეთიდგან. „ამ წერილის გმირი მესხი რაჯაბა ყვება, თუ რა განსაცდელი გამოიარეს მუჰაჯირებმა თურქეთში და, ბოლოს და ბოლოს, როდესაც გაწამებულები უკან, საქართველოში დაბრუნდნენ (ესეც საუკეთესო შემთხვევაა, რადგან მათ უკან დაბრუნების უფლება აღარ ჰქონდათ), დარცხვენილი და გულაჩუყებული აღიარებს: *„აჭარის მთებიდან მესხეთის არე-მარეს რომ გადმოვხედეთ, სწორედ რომ სამოთხედ გვეჩვენა. მაინც ბატონო, ამ ჩვენი საქართველოსთანა მშვენიერი ქვეყანა დუნიაზე ჰეჩ არ არის!“* ამ წერილით ავტორი აფრთხილებდა გამაჰმადიანებულ ქართველებს, არ წასულიყვნენ სამშობლოდან, რადგან *„ქვა თავის ალაგასაა მძიმე“,* რადგან *„ქართველი თავის მამაპაპეულ ადგილს, მის წმინდა სისხლით გაპოხიერებულს, უნდა ებღაუჭებოდეს“.* ი. ალხაზიშვილის შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მუჰაჯირების ნასახლარებს ქართლისა და იმერეთის გლეხობა არ ეტანებოდა – *„აქაურობა ჯერ ისევ სათათრეთი ჰგონიათ“-ო,* სანაცვლოდ უცხო ტომელები დაუბრკოლებლად ეპატრონებოდნენ ყოველივეს.

ილია ალხაზიშვილს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ეროვნულ ტკივილად მიაჩნდა გამაჰმადიანებულ მესხებთან დამოკიდებულება, მათი ქართული ცნობიერების აღდგენა და ამ მიზნის მისაღწევად დაუღალავად იბრძოდა როგორც კალმით, ისე პრაქტიკული საქმიანობით.

„ივერიასთან“ აქტიურად თანამშრომლობდა **ივანე ბარიკალაშვილი,** დამსახურებული მასწავლებელი და მესხური ხალხური სიტყვიერების შემკრები. იგი დაიბადა ახალციხეში 1862 წელს. დაამთავრა ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელი, შემდეგ კი გორის საოსტატო სემინარია. იგი მასწავლებლობდა როგორც მშობლიურ, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში და აქტიურ საგანმანათლებლო და ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. მისი ინტერესების სფერო ფართო გახლდათ, რაც განაპირობებდა მისი სტატიების თემატურ მრავალფეროვანებას. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ფელეტონზე – *„წერილი ქვაბლიანითგან. მცხოვრებნი და მათი გვარ-ტომობა. სწავლა-განათლება, ჩვეულებანი, აჭარელნი და მესხნი. გარდმოცემანი.“* როგორც სათაურიდან ჩანს წერილი საინტერესო თემებს ეხება.

ავტორი ქვაბლიანის ხეობას და მის მოსახლეობას XIX ს-ის ბოლოს ასე წარმოგვიდგენს: „ქვაბლიანის საბოქაულოში, რომელიც ახალციხის მაზრაში შედიოდა, ოთხი სამამასახლისო ყოფილა გაერთიანებული: ადიგენის, უდის, ვარხანისა და ვალის. საბოქაულოს მოსახლეობა 2200 კომლს შეადგენდა, ყველა „ქართველის ტომისა.“ მხოლოდ ვალეს უცხოვრია 170 კომლ სომეხ კათოლიკეს და 75 კომლ სომეხ გრიგორიანს. ეს სომხური მოსახლეობა აქ მხოლოდ პასკევიჩის დროს, 1829 წელს გამოჩენილა, მანამდე აქ სხვა ხალხის „ჭაჭანებაც“ არ ყოფილა. ადიგენის საზოგადოებაში 650 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობდა. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ „ქართველთა გვარისანი“ იყვნენ, თვითონვე ამბობდნენ თურმე, „გურჯიდგანა“ ვართო, ქართული ენა კი დავიწყებული ჰქონიათ, თურქულად საუბრობდნენ, თუმცა, მოხუცთა მოწმობით, ქვაბლიანში ჯერ კიდევ 80 წლის წინ, თურმე, მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ. იმ დროს ადიგენის საზოგადოების მხოლოდ დასავლეთ ნაწილში მდებარე სოფლები საუბრობდნენ თურმე ქართულად. უდის საზოგადოების მცხოვრებთა ნახევარი – 300 კომლი, ქართველი კათოლიკე ყოფილა, ისინი უდესა და არალში ცხოვრობდნენ და ქართულად საუბრობდნენ, ხოლო დანარჩენი – 15 სოფელი თურქულად მოსაუბრე ქართველი მაჰმადიანებით ყოფილა დასახლებული. ქართველ მაჰმადიანებს ივანე ბარიკალაშვილი ასე გვაცნობს: *„აქაური ქართველ-მაჰმადიანნი საზოგადოდ წარმოსადეგნი, ზრდილნი, დინჯად მოლაპარაკენი, პურადნი და გულოვანნი არიან“.*

კიდევ ერთ, მეტად საინტერესო თემაზე ამახვილებდა ყურადღებას წერილის ავტორი, ეს გახლდათ აჭარლებისა და ქვაბლიანელი მაჰმადიანი მესხების ურთიერთდამოკიდებულება. აი როგორ გვამცნობს ამ დამოკიდებულებას იგი: *„აჭარლები თავიანთ თავს „გურჯი ოღლის“ ეძახდნენ თურმე, ე. ი. ქართველის შვილს, ქვაბლიანელებს კი – „მესხებს“, აჭარლებს არ მოსწონდათ აქაური ქართველი მაჰმადიანები, „ბლაყვებს“ უწოდებდნენ, სამაგიეროდ ძალიან ყვარებიათ ქრისტიანი ქართველები. მაჰმადიანი მესხებიც „სამაგიეროს“ უხდიდნენ აჭარლებს – „თხუკიანებს“ უწოდებდნენ მათ. ასეთი დამოკიდებულების მიზეზად აი რას ასახელებდნენ: „ადრე ჩვენს მხარეს ოსმალოს თათრები ქრისტიანები ვიყავით, ძლიერ ვიბრძოდით სარწმუნოებისთვის... მესხებმა კი მიიღეს მაჰმადიანობა და თავზე სარული (ჩალმა) მოიხვიეს, ჩვენ კი არც ტანისამოსი შევიცვალეთ და არც დედა ენა დავივიწყეთო“.* აი რას გაუჩენია უნდობლობა მათ შორის! აჭარლები ქვაბლიანელ მაჰმადიანებს ვერ პატიობდნენ მშობლიური ენისა და ეროვნული ტანსაცმლის ღალატს, თუმცა სარწმუნოება მათაც შეცვლილი ჰქონდათ, მაგრამ ეროვნული ნიშნები, ამ შემთხვევაში ენა და სამოსი, მაინც შეუნარჩუნებიათ. ამ ნიშნებით ისინი ოსმალოს თათრებს ემიჯნებოდნენ და ხაზს უსმევდნენ თავიანთ ეთნიკურ წარმოშობას.

რაც შეეხება წეს-ჩვეულებებს, ივანე ბარიკალაშვილი ჩამოთვლის რამდენიმეს, რომელიც პოპულარული ყოფილა როგორც ქვაბლიანის ხეობაში, ისე მთელ საქართველოში. მაგალითად „ჭიაკოკონობა“. ამ წესს, თურმე, ერთობლივად ასრულებდა ქვაბლიანის ხეობის როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი მოსახლეობა. კიდევ ერთი ჩვეულება – „ჭოჭონაკობა“ სცოდნიათ მესხეთში, ან „ჭონა“, როგორც მას ქართლში ეძახდნენ. ამ წესის შესრულებაში მაჰმადიანების მონაწილეობაზე არ მიუთითებს ავტორი, მაგრამ იმას კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ *„მთელი ქვაბლიანელი მაჰმადიანნი, ქრისტიანებთან ერთად, წითელ პარასკევს წითლად ჰღებავენ კვერცხებს“–ო.* ასე, რომ ქვაბლიანელ მაჰმადიანებს, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებაც, ენაც და ტანსაცმელიც შეუცვლიათ, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გაწყვეტილი ყველა ძაფი თავიანთ წარსულთან და ქართველობასთან.

ისტორიულ ძეგლებზე საუბრისას ი. ბარიკალაშვილი აღნიშნავს: **„არა მგონია მთელს საქართველოში იმდენი ციხე-საყდრები იყოს, რამდენიც ქვაბლიანშია და საზოგადოდ ახალციხის მაზრაში“.** მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო ზარზმის ტაძარი და სწორედ ამ ტაძრის შესახებ თქმულებას აცნობს მკითხველს. ავტორი იმასაც გვაუწყებს, რომ მესხეთში ყველაზე მეტი ლეგენდები და თქმულებები მეფე თამარს უკავშირდებოდა და, საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანი მესხები ქართველთა სათაყვანო მეფეს მიაწერდნენ ყველა იმ ეკლესიის, ციხის, კოშკის, ხიდის მშენებლობას, რომლითაც მოფენილი იყო მესხეთი. ყურადღებას იქცევს აგრეთვე გამაჰმადიანებულთა წარმოდგენა საქართველოს საზღვრების შესახებ, რომელიც, თურმე, შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე (კასპიის) ვრცელდებოდა და მოიცავდა 10 საფაშალიკოს (საერისთავოს), საქართველოს 50 ქალაქიდან კი ყველაზე დიდი თბილისი და ახალციხე ყოფილა. ამგვარად გამაჰმადიანებული მესხების მეხსიერება სამშობლოს ისტორიას თქმულებებით და გადმოცემებით ინახავდა. ყოველ წვრილმანს და დეტალს ჰქონდა მნიშვნელობა გამაჰმადიანებული ქართველების ყოფაში და ურთიერთობაში, რათა მათთან დამოკიდებულება ამ ყველაფრის გათვალისწინებით წარმართულიყო.

განხილული წერილები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის როგორც იმ მდგომარეობაზე, რაც სამცხე-ჯავახეთში იყო შექმნილი, ისე ჩვენი კორესპოდენტების მუშაობაზე. სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე „ივერიის“ კორესპონდენტები ცდილობდნენ ქართველი მკითხველისათვის ობიექტურად, მიუკერძოებლად გაეცნოთ ამ რეგიონში არსებული საზოგადოებრივი მდგომარეობა, თავისი შუქ-ჩრდილებით, თავისი დიდი თუ მცირე პრობლემებით. და, რაც მთავარია, ხშირად თვითონაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მათ გადაწყვეტაში, ამისათვის მათ უხდებოდათ ბრძოლა ქართული ენის, განათლებისა და კულტურის დაცვისთვის. ისინი ერთგულად იცავდნენ იმ პრინციპებს, რასაც დიდი ილია ქართველი ჟურნალისტებისაგან მოითხოვდა – პრესაში, როგორც სარკეში, ასახულიყო საზოგადოების რთული ცხოვრება.

მელანო გოგოლაძე

ღიღი სიყვარულით ჯავახური ნიჯნი

ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე საუკუნეებია იწერება და, ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება, ამ ორი ერის ბედი ხომ განუყოფელია და მჭიდროდ დაკავშირებული ერთნაირი სისხლიანი ისტორიებით. ღმერთმა ჩვენ ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხოვრება გვარგუნა და იმის შანსი მოგვცა, კეთილმეზობლურად და მეგობრულად ვიცხოვროთ ამ უკიდეგანო სამყაროში.

თუ ერთი წუთით გადავხედავთ ჩვენს ისტორიებს, თვალში გვხვდება ორივე ქვეყნის კულტურათა თავისებურებანი, თუმცა, საერთოც ბევრი გვაქვს. სამწუხაროა, რომ უკანასკნელი ათწლეულებია უნებლიედ, თითქოს დავშორდით ერთმანეთს, კარჩაკეტილობამ გაგვაუცხოვა და, ახლა, კულტრულ ურთიერთობათა მცირე გამოვლენაც კი გვიზიდავს ერთმანეთისაკენ და კეთილმეზობლური დამოკიდებულების მივიწყებულ გრძნობებს გვიმძაფრებს. ამის ნათელი დასტურია თუნდაც, სულ ახლახან, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული მეტად საყურადღებო წიგნის – „ჯავახეთი, ახალქალაქი – ჩვენი სიხარულის სულები“ გამოცემა, რომლის ავტორი ახალქალაქის მკვიდრი, ჯავახეთში კარგად ცნობილი ადამიანი, სლავა მელიქიძეა, რომელმაც ცხოვრების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო, – ერთხანს რაიონის ერთ-ერთი მაღალჩინოსანიც იყო, ქართულ-სომხურ ურთიერთობების განმტკიცებაში ბევრი კეთილი საქმე გააკეთა და დიდი ენერგიაც შეალია მას.

ამ ორი ერის ურთიერთობაში სლავა მელიქიძის განსაკუთრებული დამოკიდებულება წიგნის თავფურცელში თავისი შვილიშვილების – ქართველი ნათია მელიქიძისა და სომეხი არტურ ამბარცუმიანის, ასევე ნინოწმინდის ცენტრში დადგმული ჰაოსისა და ქართლოსის ქანდაკებების სურათებითაც გამოხატა, რითაც ეს წიგნი იხსნება.

ამ სურათების წინა პლანზე წამოწევა სწორედ იმას მანიშნებელია, რომ ორი ერის შვილთა მეგობრული თანაცხოვრება ჭეშმარიტი გზაა მომავალი წარმატებული ურთიერთობისა.

წიგნი ხუთი თავისაგან შედგება. პირველი თავი მთლიანად საქართველოს სხვადასხვა მხარეებს, მათ თვალწარმტაც ბუნებას, წარსულის სიდიადეს, თა-



ნამედროვე განახლებულ საქართველოს მოიცავს და მთლიანობაში წარმოდგენილია ისტორიული ძეგლების უნიკალური ფოტოები, ამ ორი ერის მეგობრობის მებეირახტრეთა – საიათნოვას, ფიროსმანის, სოფიკო ჭიაურელის, ფარაჯანოვის, აშუღ შივღას (ლუკა ბერიძის), ვაჰან ტერიანის დიდი სითბოთი და სიყვარულით გამთბარ წერილებს, ლექსებს, ნახატებს ...

წიგნის მეორე ნაწილი მთლიანად ეძღვნება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, მის აწმყოსა და წარსულს, მხარის ისტორიულ ძეგლებს, სხვადასხვა რაკურსით გადაღებულ ხედებსა და პეიზაჟებს.

მესამე ნაწილი უფრო ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი, სადაც ახალქალაქში მოღვაწე იმ ადამიანთა ფოტო სურათებსა და ბიოგრაფიებს წარმოგვიდგენს, ვინც დიდი ხნის წინ განსაკუთრებული ამაგი და თითო აგური მაინც დადო რაიონის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, ისინი დღეს აღარ არიან, თუმცა მათი კეთილი საქმენი დაუვიწყარია ჯავახელებისათვის.

დღესაც მრავალი ადამიანია ისეთი, რომლებიც თავიანთი შრომით, ინტელექტით, საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ და თავიანთი ქალაქის, სოფლის ამაგდარ ადამიანთა რიგებში დგანან. ბატონ სლავას არც მათი სახელები დავიწყებია და წიგნში სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის თავი, სადაც მთლიანად მისი სამეგობროა წარმოდგენილი – თანაკლასელები, რომელთა გვერდით გაიზარდა და დავაჟკაცდა, ესენი ძირითადად სომხები და ქართველებია, რომელთა მეგობრობა თითქმის 60-65 წელს ითვლის.

კითხულობ ამ წიგნს და გრძნობ, რაოდენ მტკიცედაა გამჯდარი ამ ჯავახ კაცში დიდი სიყვარული ორი ძირძველი ერისა, როგორ სათუთად ეკიდება იგი მათ ურთიერთობებს და საილუსტრაციოდ თვითონ ხდება მაგალითი იმისა, სამომავლოდ როგორ უნდა ვიღვაწოთ, რათა ქართულ-სომხურ ურთიერთობებში ბზარი არ გაჩნდეს და განვამტკიცოთ ამ ორი ერის მეგობრობა, რომლებიც ქართული მიწის მადლით იკვებებიან.

ავთანდილ მესხი

ბიეთის ქვიტკირა ხუაშაქის

რომან გოგოლაური

სამცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფერსათის ქედის სამხრეთი კალთის ერთ-ერთ განშტოებაზე, მდინარე წინუბნის წყლის (აბანოს ხევი, გურკლის ხევი) მარცხენა მხარეს, მაღალ, გაშლილ გორაკზე, წიწოვანი ტყის შუაგულში, მდებარეობს **ბიეთის** გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც **ვ. ბერიძის** შენიშვნით – *„მეოთხე მნიშვნელოვანი ძეგლია სამცხისა“,* იგი საფარა, ზარზმა, ჭულესთან ერთად, ჯაყელთა სამცხის კულტურულ-რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. როგორც **ე. თაყაიშვილი** ფიქრობს, ვახუშტი სწორედ ბიეთის ტაძარს გულისხმობს, როცა წერს: *„ამ ხევზედ არს წნის ზეით, მონასტერი, მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი გუმბათიანი და აწ უქმი“ (ვახუშტი, 1973: 663).* მაგრამ აქ არც სახელწოდება და არც ტაძრის მდებარეობაა სწორად ნაჩვენები, ასევე იგი მაღალ კლდეზე არ დგას, – შენიშნავს ვ. ბერიძე (ბერიძე, 1955: 155). მართალია ეს ჩვენთვის საინტერესო საკითხს ცოტა სცილდება, მაგრამ დავძენთ, რომ ვახუშტის ზემოთ აღწერილი ტაძარი, წნისის ხევში, არის **ხომის** მონასტერი.

როგორც ჩანს, ვახუშტი არ იცნობს სამცხეში მდებარე ბიეთს და თავის გეოგრაფიულ აღწერაში ბიეთს არ უთითებს. *„ჩრდილოდამ მოერთვის მტკვარს წინუბანს აბანოს ხევი, გამოსდის ფერსათს და მოდის სამხრით“ (ვახუშტი, 663).* სახელოვანი მეცნიერი მხოლოდ შიდა ქართლში მდებარე ბიეთს იცნობს: *„არს მონასტერი მეჯვიდის მდინარის დასავლეთად, მთის ძირში, ბიეთს, მონასტერი კეთილს მშვენიერს ადგილს“* (ვახუშტი, 368).

სამეცნიერო თვალსაზრისით, პირველი ცნობა ბიეთის შესახებ **დიმიტრი ბაქრაძეს** ეკუთვნის. ვახუშტი ბატონიშვილს – „საქართველოს ისტორიის“ I წიგნის შენიშვნებში, მკვლევარი წერს: *„ბიეთის საყდარი თუმცა მდებარეობს ოთხ ვერსზე, აწყურიდან, მაგრამ იმაზე ორ-სამ წლამდე სრულებით არა ვიცოდით რა, ვიდრე შემთხვევით არა ვცანით მისი არსებობა. ახლა ჩვენ გვაქვს იმისი ფოტოგრაფიული სურათი, ერმაკოვისგან ჩემის თხოვნით გადმოღებული და ვინც ნახავს იმას, იმედი გვაქვს დარწმუნდება, რომ ეს დიდი გუმბათიანი ეკლესია ერთი უკეთესთაგანია ახალციხის მაზრაში“ (ბაქრაძე, 1885).* მონასტრის შესახებ დიმიტრი ბაქრაძისათვის **ივანე გვარამაძეს** უცნობებია, მასვე გამოუგზავნია ეკლესიის წარწერიანი ქვა, რომელიც აჟამად დაკარგულად ითვლება. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ **ერმაკოვის** მიერ გადაღებული სურათი ტაძრის პირველყოფილი სახის წარმოსადგენად და მისი ხუროთმოძღვრების ანალიზისთვის, პრაქტიკულად, ერთადერთი წყაროა, რაც მის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის.

ვინაიდან ჩვენთვის საინტერესოა ბიეთის აღმშენებლის ვინაობა, პირველ რიგში საჭიროა ჯერ გაირკვეს მისი აშენების თარიღი.

პირველი მკვლევარი, ვინც ბიეთის მონასტრის მეცნიერული აღწერილობა მოგვცა იყო **ექვთიმე თაყაიშვილი.** მან ბიეთი 1902 წელს მოინახულა და მონასტერს პატარა ნაშრომიც მიუძღვნა, სადაც იგი *წერს:„...О Биетской церкви досихьпорь малоч тознали. Мы имели только фотографический снимокь Ермакова и одно упоминаниеу Д. Бакрадзе, что ему доставлена свяшеникомь Гварамадзе надписьизь... Биети, вькоторой собственныя имена неразбираются, акорониконь 215, если онь верноснять соответствуеть 995 г. Такого короникона на Биетской церкви как мы виделинеть“ (ჭუმბურიძე, 1975).* მართალია ბიეთის სამშენებლო წარწერა თარიღს არ შეიცავს, მაგრამ წარწერაში მოხსენიებული დაქარაგმებული სახელი „[“yb“ ე. თაყაიშვილმა წაიკითხა, როგორც „ხუაშაქი“ და იგი თამარის თანამედროვე ხუაშაქი ცოქალად სცნო და, ამდენად, ტაძრის აგება XII-XIII სს-თა მიჯნას მიეკუთვნება (Такаишвили, 1909: 3-5).

1932-33 წლებში სამცხე-ჯავახეთში, სიძველეთა შესწავლის მიზნით, იმოგზაურა ისტორიკოსმა **გიორგი ბოჭორიძემ.** მისმა ჩანაწერებმა მზის შუქი მხოლოდ 1992 წელს იხილა, როდესაც წიგნად გამოიცა (ბოჭორიძე, 1992). წიგნი გამოსაცემად მოამზადეს **დ.ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა** და **ლ. ხუციშვილმა.** წიგნი აქტუალურია ქართველოლოგიის ბევრი დარგისათვის, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხს - ხუაშაქის ვინაობას და მისი მოღვაწეობის ხანას მკვლევარი არ შეხებია.

1946 წელს ბიეთი მოინახულა ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ძეგლის ცალკეული ხუროთმოძღვრული დეტალები და მოგვცა მისი სრულყოფილი მეცნიერული ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა ძეგლის აგების თარიღის დასადგენად (ბერიძე, 1955). ძეგლის დათარიღებისას ვ. ბერიძისათვის სწორედ ნაგებობის არქიტექტურული იერსახის ანალიზი იყო ამოსავალი: გუმბათის ყელის ექვსი ნამდვილი და ექვსი ცრუ სარკმელი, მისი თქმით, *„საკმარისია ძეგლის დასათარიღებლად“.* მეცნიერის დასკვნით, ტაძრის აგების თარიღი XIII ს-ის მიწურულში თავსდება. *„ბიეთი შესრულების დონითა და ტრადიციით ემსგავსება XIII-XIV საუკუნის საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლებს.“* ბიეთის ტაძარი, საფარა, ზარზმასა და ჭულესთან ერთად, კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიმუშია ჩვენი ხუროთმოძღვრების ევოლუციისა XIII-XIV ს-თა ეპოქაში (ბერიძე, 164). ვ. ბერიძის ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი ფუნდამენტური გამოკვლევაა ბიეთისადმი მიძღვნილი, რომელსაც ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

1974 წელს ჟურნალში – „საბჭოთა ხელოვნება“, დაიბეჭდა **ვაჟა სამსონიძის** ნერილი „სამცხის ხუროთმოძღვრება“, რომელიც სამცხის ისტორიულ ძეგლთა მეტად მძიმე მდგომარეობას ასახავს. თუმცა ავტორი ძეგლის ქტიტორის შესახებ არაფერს გვამცნობს და ისმის მოწოდება ძეგლის გადაუდებელი რესტავრაციისათვის (სამსონიძე, 1974). ჩვენი მხრიდან დავსძენთ, რომ სამწუხაროდ, ძეგლი დღესაც იგივე მდგომარეობაშია, უნიკალური ფრესკები ჩამოშლა-ჩამორეცხვის საშიშროების წინაშეა და მისი აღდგენა-რესტავრაცია დღეისათვის საშურ საქმეს წარმოადგენს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო პროფ. **შ. მესხია** ნაშრომში – *„საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში“* (მესხია, 1979). მისი აზრით, **ავაგის** ასულს **ხოშაქს** უნდა ეკუთვნოდეს ბიეთის ტაძრის აშენება სამცხეში, რომელიც XIII ს-ის მიწურულს უნდა მივაკუთვნოთ (მესხია, 262).

2007 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა მკვლევარ **გურამ კუტალაძის** წიგნი „ბიეთი“ (კუტალაძე, 2007), სადაც, გარდა აღნიშნული ძეგლისა, განხილულია ხეობაში არსებული თითქმის ყველა ისტორიული ღირსშესანიშნაობა. აღნიშნული ნაშრომი, ბიეთისა და მთლიანად ხეობისადმი მიძღვნილი, დღემდე ერთადერთი სრულყოფილი აკადემიური შრომაა. ჩვენი სტატიის გარკვეული ნაწილი ამ ნაშრომს ემყარება. ძეგლის დათარიღებაში გ. კუტალაძე ეთანხმება მკვლევარ ვ. ბერიძეს და მას XIII-XIV ს-ის ძეგლად მიიჩნევს (კუტალაძე, 2007: 25).

აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი, ამჯერად გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“, რომლის 2016 წლის მაისის N209-ე ნომერში **თამაზ ჩიკვაიძემ** გამოაქვეყნა წერილი სათაურით – *„მნიშვნელოვანი სიახლე ბიეთის ეკლესიის შესახებ“.* ავტორი სავსებით იზიარებს პროფესორ შოთა მესხიას მოსაზრებას ბიეთის ამშენებელ ხუაშაქის ვინაობის შესახებ (ჩიკვაიძე, 2016) და ამ ვერსიის გასამყარებლად მოჰყავს **გიორგი კალანდიას** მიერ 2006 წელს **ქობერში** *(სომხეთი)* ახლად აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ოთხი სტრიქონისაგან შედგება და შემდეგნაირად იკითხება: *„ესე ს(ა)ფლ(ა)ვი ივ(ა)ნე მ(ა)ნდატ(უ)რთ(უ)ხ(უ)ც(ე)სისა ას(უ)ლისა და გურკენელისა ს(უ)ლას მეუღლისა თამ(ა)რისი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“ (კალანდია, ასათიანი, 2012:173).* ე.ი თ. ჩიკვაიძის ვარაუდით, მანდატურთუხუცესს, **ივანე მხარგრძელის ასულის – თამარის,** გათხოვება **სულა გურკელზე** საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ **ხუაშაქ მხარგრძელს** ყოფილ გურკლელთა ფეოდალურ მამულში მონასტერი აეგო. სამწუხაროდ, ჩვენ ამაში ვერანაირ ლოგიკას ვერ ვხედავთ და ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

დღეისათვის ბიეთის ტაძარს ორი სამშენებლო წარწერა შემორჩა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკურთხეველში გამავალი კარის თავზე ორ ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც ბოჭორიძეს ასე აქვს წაკითხული.: *„ქრისტე ადიდე ხოშაი, რომელმან ესე საყდარი აღაშენა“. „ქრისტე, წმინდაო ღმრთისმშობელო მეოხეყავ ხოშასა შვილითურთ ორთავე შინა ცხოვრებასა“ (ბოჭორიძე, 37).* ვ. ბერიძეს, რომელიც ასე კითხულობს წარწერას: *„ქრისტე ადიდე ხ“ში, რომელ ესე საყდარი აღაშენა. წმიდაო ღვთისმშობელო მეოხ ეყავ ხ“შ-სა შვილითურთ ორსავე შინა ცხოვრებასა“.* არც კი ეეჭვება, რომ „ხ“ში“ სხვა პირის სახელს ფარავს, **„დასანანია,** –წერს ის, რომ – *ჩვენ ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვს ამ ქარაგმის სწორად ამოხსნისათვის და ამგვარად, ამ წარწერის საფუძველზე ვერც თარიღის საკითხს გადაწყვეტთ სასურველი სიზუსტით“ (ბერიძე, 163).*

მეორე სამშენებლო წარწერა მინაშენის კარის თავზე ჩასმულ ორ ქვაზეა შესრულებული. წარწერის სრული ტექსტი ასე იკითხება: *„ქწ. მე თოხასძემან ზაალ აღვაშენე წმინდა ესე ეკვტერი შესავედრებლად მშობელთა და ჩუენთა მიცვალებულთათვის, ქორონიკონსა რპა“.* ეს დრო კი წარწერის ქორონიკონის მიხედვით 1493 წელს (181-1312=1493) უდრის. გ. კუტალაძის შენიშვნით, აღნიშნული თარიღი, მხოლოდ ამ მცირე მინაშენის აგების ამბავს გვამცნობს და არა მთელ ეკლესიისა. სამწუხაროდ, ეკვტერის მაშენებლის შესახებ რაიმე დამატებითი ინფორმაციის მოძიება ჯერჯერობით არ ხერხდება. მხოლოდ იმის აღნიშვნითღა შემოვიფარგლოთ, რომ ის თავისი დროისათვის სოციალურ იერარქიაში დაწინაურებულ პირად გვევლინება (კუტალაძე, 30).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიეთის ტაძრის აღმშენებელია ვინმე **ხ“ში,** რომელსაც ერთი შვილი ჰყავს და, რომელიც, საერთოდ, არ იხსენიებს მეუღლეს. ამასთან ერთად, მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ „ხოშა“ ქალის სახელია. ბუნებრივად ისმის კითხვა, მაინც ვინ უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი ხოშა?

პროფესორ შ. მესხიას ცნობით, XII- XIII საუკუნე იცნობს სამ ხოშაქს: **1). რატი სურამელის დედა ხვაშაქ ცოქალი, 2). ხოშა (ხოშაქი) ივანე მხარგრძელის მეუღლეა 3). ხოშაქი (ხოშა) ივანე მხარგრძელის შვილიშვილი, ავაგ სარგისის ასული** *(მესხია, 261).* პროფესორი **ვ. სილოგავა** გარდა ხვაშაქ ცოქალისა მარტო მხარგრძელთა გვარში ოთხ ხვაშაქს ასახელებს: **1). ივანე მხარგრძელის მეუღლე ხუაშა, 2). ივანე მხარგრძელის შვილიშვილი, ავაგ სარგისის ასული, 3). შანშე ზაქარიაძეს მეუღლე ხვაშა, 4) ივანე შანშეს ძეს მეუღლე ხუაში** *(სილოგავა, 1990:117).* გარდა ზემოხსენებული ისტორიული პიროვნებებისა, XII- XIII ს-ის ისტორია კიდევ იცნობს რამდენიმე ხოშაქს. ესენია:

1. გიორგი III-ის (1156-1184) სამეფო კარის მსახურთუხუცესის **აფრიდონის მეუღლე ხოშა,** რომელიც თრიალეთში ქვემო ჯინისში წმინდა გიორგის ეკლესიის მაშენებელია. წარწერა ასე იკითხება: *„სახელთა ღვთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა მომმადლა ღმერთმა მე, ხოშაქს ერისთავ-ერისთავისა მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმას ასულსა, აღშენებაი წმინდის ამის ეკლესიისა ვარძიისა ღმრთისმშობლისა სამსახურებად...“*

2. ქართლის ერისთავის **ბექა სურამელის ასული ხვაშაქი,** მეუღლე **ბედან დადიანისა,** რომლის შესახებ ცნობა დაცულია ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერებში. ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: *„ღვთისმშობელო დედოფალო, შემწე, მეოხ და მფარველ ეყავ გულსმოდგინედ მამკობსა წმიდისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ერისთავთ-ერისთავისა მანდათურთუხუცესისსა ბედანსა დადიანსა და დიოფალთ-დიოფალსა ხვაშაქსა, რომლისა შემოწირვითა მოიჭედა ზურგი ესე“ (ჟორდანია, 1897:129).*

3. **აღაპი სილხან ხვაშაქის** გაზრდილისა, რომელიც XIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება (მეტრეველი, 1962: 142).

4. სახელი ხვაშაქ ასევე გვხვდება უშგულის თემის სოფელ ჩაჟაში მაცხოვრის ხატის XII- XIII საუკენეების წარწერაში: *„წახანელიძე ვახტანგ და მისი მეუღლე ხუაშაქი“.* როგორც მკვლევარი **რ. თოფჩიშვილი** ფიქრობს, ასეთი გვარ-სახელი სვანეთში დადასტურებული არაა. ხატი აქ ალბათ გარედან უნდა იყოს შემოტანილი. გვარ-სახელი ორი სუფიქსითაა (-ელ+ძე) ნაწარმოები და ტოპონიმ წახანს უკავშირდება (თოფჩიშვილი, 2015:59).

ამრიგად, ზემოთ დასახელებულ ამ ცხრა ხოშაქთაგან, არცერთი არ შეიძლება მივაკუთვნოთ ბიეთის აღმშენებელ ხოშაქს, ვინაიდან არცერთ მათგანს, აქამდე არსებული პირდაპირი თუ ირიბი ცნობებით, არავითარი შეხება არ ჰქონია სამცხესთან. როგორც ვნახეთ, ჩამოთვლილ ხოშათა შორის ოთხი მხარგრძელთა გვარის წარმომადგენელია.

ჩვენი აზრით, ბიეთის აღმშენებელი უნდა იყოს **შანშე I** მანდატურთუხუცესის შვილი – **ზაქარია ამირსპასალარის** ქალიშვილი **ხოშაქი,** რომელიც თავისი ბებიის შანშე I-ის მეუღლის ხოშაქის მოსახელე უნდა ყოფილიყო. ამდენად, საინტერესოა მხარგრძელის მოხსენიება გურკლელთა სოფელში. რა ხელი ჰქონდა მას სამცხის ჩრდილო-დასავლეთ განაპირა სოფელში? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მოკლედ შევეხოთ მხარგრძელთა საგვარეულო ისტორიას.

მხარგრძელთა წინაპრები წარმოშობით ქურთები იყვნენ, რომელთაც ჯერ კიდევ თავიანთ პირველსაცხოვრისში მიიღეს ქრისტიანობა-მონოფიზიტობა. ამიტომ იძულებული გახდნენ გაცლოდნენ, გამოყოფოდნენ ქურთულ ტომებს და თავი შეეფარებინათ სომხური მონოფიზიტური ეკლესიისათვის. ასე იქცნენ მხარგრძელთა წინაპრები **„სჯულით სომხებად“.** მაგრამ მათი გადმოსახლება ამიერკავკასიაში ისეთ დროს დაემთხვა (მე XI ს. შუანლები), როცა სომხური პოლიტიკური ერთეულები ან მოშლილი იყო, ან დაცემის გზაზე იდგა. **ძორაკერტის, ლორე-ტაშირის** სამეფო, სადაც მხარგრძელთა წინაპრებმა პირველი თავშესაფარი ჰპოვეს, სულ მალე (XII ს-ის დამდეგი) საქართველოს შემოუერთდა და ამ ყოფილ სომხურ სამეფოს ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, გაბატონდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია თავისი სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ენით. ასე, რომ მხარგრძელთა წინაპრები, თითქმის მაშინვე, მოექცნენ ქართული სახელმწიფოსა და ქართული ფეოდალების სამსახურსა და გარემოში. მხარგრძელთა „სჯულით სომხობას“ არ დასცალდა ენითა და კულტურით გასომხებამდე მისვლა – უკეთ რომ ვთქვათ, მათი გასომხების პროცესის დამთავრება. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ, ქურთული წარმოშობის საგვარეულო მხარგრძელთა ქართულ საგვარეულოდ აქცია. მალე გაქრა მათი „სომხობის“ ერთადერთი ნიშანიც – სარწმუნოებრივი კუთვნილება.

მხარგრძელთა წინაპრები, ლორე-ტაშირის **კვირიკიანთა** ყოფილი სამეფოს შემოერთების შემდეგ, საქართველოს მეფეებისა და ქართველი ფეოდალების სამსახურში დგებიან. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს თამარის მეორე ისტორიკოსის, **ბასილის,** თავისთავად საინტერესო მითითება **სარგის მხარგრძელის** წინაპრების „შეყვარების“ შესახებ თამარის მამა-პაპათა მიერ. მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს სამოხელეო ასპარეზზე დაწინაურების პირობები **გიორგი III-ის** დროიდან შეექმნათ. სწორედ გიორგი III-ის დროიდან დაიწყეს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლის შესრულება საქართველოს სამეფო კარზე. პირველი ამ მხრივ სარგის მხარგრძელი იყო.

მკვლევართა უმეტესობა, სარგის მხარგრძელის გამოჩენას საქართველოს სამეფო კარზე და მის დაწინაურებას გიორგი III-ის მიერ, 1161ნ. ანისის აღებას უკავშირებს. თამარის მეფობის დროს კიდევ უფრო დაწინაურდა მხარგ-

ვინ ვოზის საკითხისათვის

←

რძელთა საგვარეულო. ამ დროს ასპარეზზე გამოდიან **ზაქარია** და **ივანე მხარგრძელები.**

მხარგრძელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **გიორგი რუსის** წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი რუსის აჯანყებამ მხარგრძელებს კიდევ უფრო დიდი წარმატება მოუტანა: ივანე მხარგრძელს, **ვარდან დადიანის** სახელოსთან, მსახურთუხუცესობასთან ერთად, მისი ყოფილი სამფლობელო – **კაენი** გადაეცა და დადიანთა სხვა სამფლობელოც – **კაეწონიც** მიემატა. ზაქარიას ამირსპასალარობა ებოძა და ლორესთან ერთად რუსთავიც მას გადასცეს. **ზაქარია ვარამის ძეს გაგი** და მისი მიმდგომი ტერიტორიებიც ებოძა. **სარგის ვარამის ძეს** უბოძეს **თმოგვი**. ამრიგად, გიორგი რუსის აჯანყებამ თამარის წინააღმდეგ ისეთივე როლი შეასრულა მხარგრძელთა დაწინაურების საქმეში, როგორც **ორბელთა** აჯანყებამ მხარგრძელთა გამოჩენასა და საქართველოს სამეფო კარზე მათი პოზიციების განმტკიცებაში (მესხია, 1979: 298).

ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ყველა მისი ადგილ-მამული – ლორე-ტაშირი, ანის-შირაკი და ამ დიდი ქონების შესაბამისი ატრიბუტი – სახელოები, მანდატურთუხუცესისა თუ ამირსპასალარის სათანადო წოდებებითურთ, მხარგრძელთა საგვარეულოს კუთვნილებად დარჩა. ზაქარიას შემდეგ თამარ მეფემ ამირსპასალარის სახელო მის ძმას მსახურთუხუცეს ივანეს გადასცა. ჩანს, რომ ივანემ „უღირსად ჩათვალა“ თავი ასე „დიდად დიდი“ პატივის მიღებისა, ასევე მისი სახელგანთქმული ძმის შემდეგ ამ თანამდებობით მოხსენიებისა და მეფისაგან ახალი თანამდებობის შემოღება და მისთვის ბოძება მოითხოვა (მესხია, 1979: 309). ეს ახალი თანამდებობა **ათაბაგობა** იყო, რომელიც გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროში და მეფეთა აღმზრდელის ფუნქციას წარმოადგენდა.

მხარგრძელთა საგვარეულოს პირველი შტოს წარმომადგენელთა სახლებში კი ზაქარიას გარდაცვალების შემდეგაც სამი მაღალი თანამდებობა იყრიდა თავს – **ათაბაგის, მანდატურთუხუცესისა** და **ამირსპასალარის**. ივანე სპასალარი, რომელიც ამჯერად ერთადერთი იყო მხარგრძელთა ამ ორ სახლში, რომელსაც შეეძლო რეალურად გაძღოლოდა ამ თანამდებობებს, ყოველნაირად ცდილობდა მათ შენარჩუნებას და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ყველას, ვინც კი შეიძლებოდა ამა თუ იმ თანამდებობის რეალური პრეტენდენტი ყოფილიყო. სწორედ ეს იყო **მხარგრძელთა** და **ახალციხელთა** შუღლის მიზეზი და სწორედ ამიტომ დაღუპა ივანე მხარგრძელმა **შალვა ახალციხელი** – ამირსპასალარის თანამდებობის ყველაზე უფრო შესაძლო კანდიდატი (მესხია, 314).

საქართველოს სამეფო კარის დიდმოხელე იყო აგრეთვე ივანე მხარგრძელის მემკვიდრე **ავაგ-სარგისი.** იგი განსაკუთრებით დაწინაურდა მამის, – ივანეს გარდაცვალების შემდეგ. ჟამთააღმწერელი მას ათაბაგად და ამირსპასალარად მოიხსენიებს. ავაგი 1250 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა მცირეწლოვანი ქალიშვილი ხოშაქი, ასევე თავისი ბებიის მოსახელე. ავაგის ქვრივი, რაჭის ერისთავის, კახაბერიძის ასული, გვანცა, დავით ულუმ შეირთო ცოლად. **„... ხოლო ქალი იგი ავაგისი** (ხუაშაქი - რ.გ) **დაუტევა მამულსა თვსსა ზედა, და შეავედრა** ***მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო, კაცი ბრძენი და გონიერი და კეთილისგანმზრახავი და ჰაეროვანი. ძალითა ფრიად ძლიერი და მორკინალი რჩეული... ესე შეყუარებულ იქმნა ყაენ ულოსაგან*** (ჰულაგუ - რ.გ) ***და იწყო განდიდებად და გონიერებითა მისითა მეფემანცა დავით პატივ-სცა და შევედრა სახლი ავაგისი“.*** ე.ი. **სადუნ მანკაბერდელს,** რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა **ჰულაგუ** ყაენის წინაშე, მეფემ **დავით ულუმ** ავაგ ათაბაგის სამფლობელო უწყალობა. ხოშაქი ჯერ ჰულაგუ ყაენს (1256-1265), ხოლო შემდეგ **აბაღა ყაენის** (1265-1282) ვაზირს, **საჰიბ დივანს, ხოჯა შამსედინს** მისთხოვდა (ქართლის ცხოვრება, 2008: 593). ეს **სტეფანოზ ორბელიანის** მიხედვით, 1269 წელს მოხდა (მესხია, 262). **ხოჯა შამსადინი** არღუნის გაყაენების (1284წ.) დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამით აიხსნება, რომ არღუნმა ***„სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბ დივანს“*** მისცა დემეტრე მეორეს. პროფესორ შ. მესხიას ვარაუდით, საჰიბ დივნის მეუღლე ხოშაქი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დემეტრე მეორის ურდოში წასვლის წინ – ***„მივიდა ქუეყანასა ხუაშაგისა ავაგის ასულისა, მუნ დახვდა ძე მისი დავით, რომელი იგიცა წარიტანა“*** (ქართლის ცხოვრება, 2008:625). მისივე ცნობით, ხვაშაგ ავაგის ასულის ხსენება ჟამთააღმწერელის თხზულებაში წყდება. როგორც ჩანს, იგი XIV საუკუნის დამდეგისავის უკვე ცოცხალი აღარ უნდა იყოს (მესხია, 262). სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან, არათუ XIV ს-ის დამდეგისათვის აღარაა ცოცხალი ხუაშაგი, არამედ სათუოა მისი ცოცხლად მოხსენიება XIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოსთვისაც. რადგანაც წყაროში მოხსენიებული – ***„მივიდა ქუეყანასა ხუაშაგისა ავაგის ასულისა“***, ჩვენი აზრით, უფრო გეოგრაფიული პუნქტის განმარტებისთვის არის ნახმარი და არა ხუაშაგის ცოცხლად აღნიშვნის გამო.

სწორედ ავაგის ასულ **ხუაშაგს (ხოშა)** მიიჩნევს პროფესორი შ. მესხია ბიეთის მონასტრის ამშენებლად, ხოლო **გიორგი ბრწყინვალეს** გამეფებასთან დაკავშირებით ჟამთააღმწერლის ტექსტში საქართველოს მთავართა შორის მოხსენიებულ ***„ზაქარია, ავაგის ასულის ხუაშაგის ნაშობი (ქართლის ცხოვრება,652) მის შვილად“.***

კვლავ გვებადება კითხვა: რა ხელი ჰქონდა ლორე-ტაშირის დიდი ფეოდალისა და საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარის ქალიშვილს ხუაშაგს (ხოშა) სამცხეში, ნუთუ ქვემო ქართლში არ მოიძებნა შესაბამისი ადგილი მონასტრის ასაგებად? სამწუხაროდ, ჩვენ არანაირი საბუთი არ გაგვაჩნია კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, ბიეთის აღმშენებელი უნდა იყოს ზაქარია ამირსპასალარის ქალიშვილი, რომელსაც თავისი ბებიის, შანშე I-ის მეუღლის ხოშაქის სახელი უნდა რქმეოდა. ამის შესაბამისი ცნობა დაცული არ არის არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში. ეს არის ჩვენეული ვარაუდი, რის ახსნასაც ქვემოთ შევეცდებით.

ზაქარია შანშეს ძემ ამირსპასალარობა ავაგის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ამირსპასალარად მოიხსენიებს მას ჟამთააღმწერელი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ზაქარია აჯანყებულ **დავით ულუსა** და **სარგის ჯაყელს** მიემხრო, რის გამოც **ჰულაგუ ყაენმა** იგი სიკვდილით დასაჯა 1261 წელს. შვილის დაღუპვამ დიდად იმოქმედა შანშეზე და ისიც იმავე წელს გარდაიცვალა. სომეხი ისტორიკოსის **კირაკოს განძაკეცის** ცნობით ზაქარია დაქორწინებული იყო უხტიაცის (ოლთისი) მფლობელ სარგისის ასულზე (განძაკეცი, 1976: 236), რომლის სახელსაც იგი არ უთითებს.

სარგის ჯაყელის სახლობიდან მხოლოდ სამი წევრი ჩანს: ესაა თანამეცხედრე **თეკლა**, ასული უსახელოდ და **ძე ბექა** (სიხარულიძე,1975:36).

შეეხო რა **პ. მურადიანის** მიერ გამოქვეყნებულ **ქობერის** (ქობაირი) მონასტრის XIII- XIV სს-ის საფლავის ქვების წარწერებს, პროფ. ვ. სილოგავამ გამოთქვა ვარაუდი, ***„რომ გარდა პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებული ეპიტაფიებისა, ქობერის მონასტრის ეზოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ეს წარწერები აღმოჩნდა კიდევ არის მოსალოდნელი სხვა დღემდე უცნობი საფლავის ქვების ქართული წარწერების გამოვლენა“*** *(სილოგავა, 111).*

2012 წელს „საისტორიო კრებულში“ გამოქვეყნდა **გიორგი კალანდიას** და **ქეთევან ასათიანის** მასალები ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შედეგებისა, სადაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა უცნობი საფლავის ეპიტაფიამ. წარწერა ასე იშიფრება: ***„[სა] რდლისა ჯაყელისა ასულსა რუსუდანს შეუნდოს ღმერთმან“*** *(კალანდია, ასათიანი, 2012:179)*. წარწერა XIII საუკუნის II ნახევრით შეიძლება დავათარიღოთ. მკვლევარი გ. კალანდია ხაზს უსვამს შემდეგ მოსაზრებას: „XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XIV ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდატურთუხუცესობა, ათაბაგობა და სამცხის სპასალარობა ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ხელში აღმოჩნდა. სწორედ ამ ფაქტორით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ჯაყელის ასული ქობერში იკრძალება? ანუ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ტაძარი მოცემულ პერიოდში საქართველოს მანდატურთუხუცესთა საძვალე იყო? ჯერ მხარგრძელებისა, შემდეგ კი ჯაყელებისა (კალანდია, ასათიანი, 180). ჩვენ აქ ამაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ დავსძენთ, რომ სარგის I ჯაყელის ასულის ვინაობა აქამდე უცნობი იყო, მაგრამ ქობერში აღმოჩენილმა ზემოაღნიშნულმა ეპიტაფიამ, რომელსაც **კირაკოსის** ცნობაც ამყარებს, საშუალება მოგვცა, გაგვერკვია, რომ ის იყო ზაქარია ამირსპასალარის მეუღლე **რუსუდან ჯაყელი.** რუსუდანი ქობერშია დაკრძალული. ჩვენი აზრით, სწორედ ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის ასული უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი ხუაშაგი (ხოშა). მის შესახებაც ისმის ანალოგიური კითხვა: რა ხელი ჰქონდა მხარგრძელთა შთამომავალს სამცხის ამ განაპირა სოფელში? როგორც ჟამთააღმწერლის ცნობებიდან ჩანს, იგი, ერთ დროს, გურკლელთა ფეოდალური სახლის სამფლობელო იყო. როგორც ჩანს, ეს მამული, მოგვიანებით, ჯაყელებმა ჩაიგდეს ხელში. ჯერ კიდევ XIII ს-ის 60-იან წლებში გურკელი **მურვან მახუნჯაგის ძე გურკლელის** სამფლობელოა (ქართლის ცხოვრება, 594), ხოლო ყაენისაგან სამცხის **„ხან-ინჯუდ შეწყალების შემდეგ ეს მხარე მთლიანად ჩამოსცილდა საქართველოს. გურკლელთა მამული სოფ. გურკელთან ერთად კი გაძლიერებულმა ჯაყელთა სახლმა შეიერთა“** *(გოგოლაური, 2015).* ეს უნდა მომხდარიყო 1266 წელს. ამ დროიდან, ჩვენი აზრით, გურკელი უნდა გადაქცეულიყო სამზითვე მამულად, რომელიც **სარგის ჯაყელმა** ქალიშვილს – რუსუდანს უბოძა. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მისი ქალიშვილი ხოშაქი თავის შვილთან (ასეა ბიეთის წარწერაში) გადმოდის სამზითვე მამულში – გურკელში და აქ აშენებს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას. შესაძლებლად მიგვაჩნია, ხოშაქიც ბიეთის მონასტერში იყოს დაკრძალული. ამას მომავალი კვლევა-ძიება გვიჩვენებს. ყურადღებას მივაქცევთ ჟამთააღმწერლის თხზულების ერთ ადგილს, კერძოდ, **გიორგი ბრწყინვალეს** მეფედ დამტკიცების შემდეგ, მასთან ვხედავთ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას **ზაქარიას**, რომელსაც უცნობი მემატიანე ***„ავაგის ასულის, ხუაშაქის ნაშობს“*** უწოდებს. ჩვენი აზრით, აქ ნახსენები ავაგი არ უნდა გავაიგივოთ *ივანე ათაბაგის ძე ავაგ სარგისში.* თუ წყაროში ნახსენები ხუაშაქი მართლა ავაგ სარგისის (ათაბაგ ამირსპასალარი შვილია თანაც ერთადერთი), მაშინ რატომ არ უნდა დაერქვა თავისი შვილისათვის პაპის სახელი ავაგი, ან, თუნდაც, დიდი პაპის ივანეს (ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, სპასალარი) სახელი. მეორე და უმთავრესი აქ ის არის, რომ პროფ. შ. მესხიას მიერ ბიეთის აღმშენებლად დასახელებულ ხუაშაქს, არანაირად ხელი არ შეუვიდოდა სამცხის ამ განაპირა სოფელ გურკელზე და, შესაბამისად, ვერც ტაძარს ააშენებდა. რაც შეეხება ჟამთააღმწერელთან მოხსენიებულ ზაქარიას, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის შვილიშვილი, ბიეთის აღმშენებელ ხოშაქის ვაჟი, რომელიც ტაძრის სამშენებლო წარწერაში ხოშაქთან ერთად მოიხსენიება. ზაქარია, რომელმაც ჩვენი ვარაუდით აღზრდა მიიღო სამცხეში პაპის სარგის ჯაყელის კარზე, თანშეზრდილი უნდა ყოფილიყო ასევე სამცხეში აღზრდილ გიორგისთან (გიორგი V) და, როგორც ჯაყელთა და მხარგრძელთა გვარის წარმომადგენელს, არ უნდა გასჭირვებოდა სამეფო კარზე რაიმე თანამდებობის მოპოვება. ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს ეწინააღმდეგება ჟამთააღმწერლის მიერ ხუაშაქის მოხსენიება ავაგის ასულად. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, საქმე უნდა გვქონდეს გარკვეულ ხარვეზებთან, რომელიც ან ჟამთააღმწერლის ან, კიდევ, გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე. „ასწლოვანი მატიანე“ მართალია ძირითადად მაინც ისტორიული წყაროების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ სავარაუდოა მას ზეპირი გადმოცემებითაც ესარგებლა, რისი კვალიც აშკარად ჩანს თხზულებაში. მაგრამ ნარატიულ წყაროთა მონაცემების საფუძვლიანი შესწორება და შევსებაც შესაძლებელი ხდება ეპიგრაფიკული მონაცემებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია ქობერში აღმოჩენილმა უცნობი საფლავის ეპიტაფიამ, რომელიც რუსუდან ჯაყელს ეკუთვნის. სწორედ ამ წარწერამ საშუალება მოგვცა გადაგვეფასებინა ბიეთის ტაძარზე არსებული წარწერის შესახებ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ავაგის მოხსენიებას, ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს არა ათაბაგ-ამირსპასალარ ავაგ-სარგისის, რომელიც 1250 წელს გარდაიცვალა, არამედ ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესის – **ავაგ სარგისი შანშეს ძის,** რომელიც ბიძა იყო ხუაშაქ ზაქარიას ასულისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზაქარია და მისი მამა შანშე ერთსა და იმავე წელს (1261წ) გარდაიცვალნენ. ცხადია, მცირეწლოვანი ძმიშვილის (ხუაშაქის) აღზრდა ავაგ სარგისს უნდა ეკისრა და მისი ეს მამობრივი მზრუნველობის ანარეკლი ჟამთააღმწერელთან აისახა კიდეც, საინტერესოა, ვინ იყო ხოშაქის მეუღლე? შესაძლოა ის იყო რომელიმე მონღოლი მოხელე ან ნოინი, რომელიც მიზეზთა გამო ვერ მოხვდა ბიეთის წარწერაში.

მაშასადამე მხარგრძელთა ფეოდალურ სახლში წყაროებისა და ჩვენი ინტერპრეტაციის მიხედვით სახელი ხუაშა შემდეგ პოზიციებში დასტურდება:



როგორც ჩანს, სახელი ხუაშა მხარგრძელთა ფეოდალურ სახლში ხუთჯერ დადასტურდა – ერთხელ რძალ-დედამთილის და ორჯერ ბებია-შვილიშვილის სახელად. აქედან ქრონოლოგიურად უკანასკნელი ხუაშა უნდა იყოს ბიეთის ამშენებლი, რომელიც XIII- XIV სს მოღვაწე ჩანს.

ამრიგად, ქობერში აღმოჩენილმა უცნობმა საფლავის ეპიტაფიამ, რომელიც ყველა მონაცემის მიხედვით, სარგის I ჯაყელის ასულს, რუსუდანს ეკუთვნის, საშუალება მოგვცა მეტი დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ბიეთის მონასტრის ამშენებელია ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის ასული, რომლის სახელი უცნობი იყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ვივარაუდეთ, რომ მას ხუაშა ერქვა, ისევე როგორც მის ბებიას – ზაქარიას დედას. პირდაპირი წყაროების უქონლობის გამო, საბოლოო ჭეშმარიტების დასადგენად აშკარად იგრძნობა ახალი წყაროებისა და არგუმენტაციის მოპოვების საჭიროება.

ნუგზარ კობერიძე

„უ“

ხშირად ვყოფილვარ უფულო,
არასდროს – უსიყვარულო,
„უ“-ზე დაწყილი დასწყევლოს,–
ყველა უშნო და უგულო.
უჯიშო, უნდო, უმსგავსო,
უსიყვარულო, უსტუმრო,
არ მინდა და ნუ დამძრახავთ,
უარით გამოვისტუმრო.
უპრიანია, რომა ვთქვათ:
ლაღი, გულუხვი და ზრდილი,
ყველას სიკეთე ვასწავლე,
ვინც კია ჩემი გაზრდილი.
არა მგონია ჩემზე თქვან:
უპურმარილო, უღვინო,
„უ“ არ მიხსენონ, თორემა
იქნებ გამჩენიც ვუგინო.

ასი წელი

მშვენიერია უფლის განგება:
არავინ ვიცით, ვინ როდის წავალთ,
უფალმა იცის, ვის რა უბრძანოს,
და მის გარეშე გზას ვერ გადავალთ.
დავუშვათ – ყველამ იცოცხლა ას წელს,
რა მოხდებოდა ნეტავი მაშინ?
უინტერესოდ გაიჯირითებს
ჩვენი ცხოვრების ერთგული რაში.
ჩვენი ცხოვრების დროის განსაზღვრას
მაღალი ღმერთი თვით განიკითხავს,
ჩვენთვის არც მოსვლა უკითხავს ვინმეს
და არც აქედან წასვლას არ გვკითხავს.

ვის გავეჯიბრო

ვის გავეჯიბრო, არ ვიცი,
ჩემი ლექსით და რითმებით,
ჩვენ, პოეტები, უბრალო,
ვიცი, რომ ბევრნი ვიქნებით.
როგორ ვადარო ერთმანეთს
მუნჯი, ენაბლუ, მეტყველი,
ლექსის ენაზე გალობდა
ბევრი ნინასწარმეტყველი.
რითმებით სცადა ყოველმან
მოეთხრო გულისტკენანი,
ლექსის ენაზე ჯირითობს
ბარათაშვილის მერანი.
მე ვის ვედარო, არ ვიცი,
ვიცი, რომ სანთლად დავდნები,
ჩემს სიტყვას ვიტყვი ყოველთვის –
უფალი იყოს თავდები.

ვალი

მე ამქვეყნად მიცხოვრია ისე,
არ მაქვს ვისმეს შერჩენილი ვალი,
მევალე ვერ მომადგება კარზე,
სულერთია – კაცია თუ ქალი.
შენ კი ჩემთან, სულ ვალში ხარ უკვე,
ვგრძნობ, ვერ შეძლებ შენ მის გასტუმრებას,
მე არ მოგთხოვ, გწამდეს, მაშინაც კი,
თუ სიკვდილი ჯიქურ მესტუმრება.
– „რა ვალი გაქვს“ – გაიკვირვებ ალბათ,
ვერ მიმიხვდი შენზე მუდამ მლოცავს,
რა და, ვიცი, უეჭველად გმართებს
ღიმილი და უთვალავი კოცნა.

ვერცხლისფერი

გარდასულის აღმრიცხველი
დათოვლილი თეთრი ფერი,
მატიანე მრავლის მთქმელი:
ფერთა მეფე ვერცხლისფერი.
თმაშევერცხლილს და მთლად თმათეთრს,
ჭკუაბრძენს და დამრიგებელს,
სიყვარულის მოამაგეს,
სიძულვილის ამრიდებელს.
ყველა მოხუცს კარგს ვუსურვებ,
არ ეტკინოთ არაფერი,
დიდხანს, დიდხანს ეარსებოს,
თვალს არ მომჭრის ვერცხლისფერი.

კუ

მეუღლისადმი ნაჩუქარი კუს ბალიშს

ყველა ცხოველი ლამაზი არის,
კუზე შეჩერდა ჯერი ამრიგად,
შუამავალი იყო მოდელი –
მე და შენ მაშინ რომ შეგვარიგა.
ჯინიანი ხარ, ასეა ნაღდად,
და თუ გაჯიქდი, შენსას არ იშლი,
ყველა ნივთებზე სათუთი შენთვის
არის მოდელი იმ კუს ბალიში.
რა ნივთი არის ნეტავ ასეთი,
დღესაც ინახავ და თავს ევლები,
და რომ გაჭირდეს, გაყიდი ყველას
იმ კუს არაფრით არ შეელევი.

უსასრულობა

უსასრულობა ფართო ცნებაა,
არავინ არის მისი გამგები,
უსასრულობას ეყრდნობა ყველა,
ფილოსოფოსი თუ გზის გამგნები.
რა არის ნეტავ ეს იდუმალი,
გამტანჯა ფიქრმა მძაფრმა, ულევმა,
არც მყოოფადში, არც მომავალში,
ამის ამხსნელი არ მეგულება.
უსასრულობა ჯერ სამყაროსი,
მერე სულის და სიყვარულისა,
ჩუქნის ცხოვრებას მარადისობას,
და არა ნებას სინანულისა.
თუნდაც სასრული ვინ ახსნა ქვეყნად,
ვფიქობ, ღიაა აქაც საკითხი,
ერთ მნიშვნელოვანს ვერ გაგცემს პასუხს
რაც უნდა იყოს კაცი ნაკითხი.
აქ ურევია, ვფირობ – ღვთის ხელი,
ჩვენ უნდა შევძლოთ ამის გაგება,
უსასრულობის და დასასრულის
აზრთა გამრიგე არის განგება.

„შემოქმედება თურმე ჯვარცმაა“



გასული საუკუნის ქართველი კაცის ცხოვრებაში, ვფიქრობთ, ერთ ყველაზე მღელვარე და მოვლენათა სიუხვით დატვირთულ საუკუნედ აღინიშნება, ვინაიდან, ამდენი სიახლე, ამდენი გარდატეხა, ისტორიისათვის ასეთ მცირე მონაკვეთში, ხშირად როდი ხდებოდა. მიუხედავად ამისა, დროის მსვლელობის კანონი უცვლელია, ანუ ყოველივე ახალი რამ, თავისთავად, ახალს ბადებს, ახალ კვალს ტოვებს. იმ არაერთმა პოლიტიკურმა თუ სოციალურმა ძვრებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-20-ე საუკუნეში, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა ქართველი ერის კულტურისა და, განსაკუთრებით, ლიტერატურის განვითარებაზე, რადგან ჭეშმარიტი შემოქმედის, მხატვრული სიტყვის ოსტატის მიზანი ხომ ისაა, პირველმა ამცნოს საზოგადოებას ქვეყანაში მინდინარე სასიკეთო თუ ცუდ-უბრალი ცვლილებები.

ყველა თაობისათვის საყვარელი პოეტის, შოთა ნიშნიანიძის (1929-1999) პირველივე პოეტურ თხზულებაში (პირველი კრებული გამოსცა 1956 წ. *ს.გ.*) გაცხადდა ქართველთა სანუკვარი იდეალები და სულიერი მისწრაფებანი, გმირული სულისკვეთება და მაღალმოქალაქეობრივი პათოსი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეისათვის შოთა ნიშნიანიძის პოეზია მთლიანად გამართლებაა მისი პირველი პოეტური, ჯერ კიდევ გაუბედავი ნაბიჯებისა. ცნობილი რუსი ფუტურისტი **ვლადიმერ მაიაკოვსკი (1893-1930)** ერთგან აღნიშნავდა, რომ **„მე ყველგან ვარ, სადაც კი ტკივილიაო“.** ეს სიტყვები, ჩვენი შეხედულებით, შეიძლება შოთა ნიშნიანიძის მთლიანი პოეტური სამყაროს ეპიგრაფად გამოვიყენოთ, ვინაიდან, მართლაც, ძალიან დიდი მიწიერი ტკივილი, სიყვარული და სითბო იგრძნობა მის ლექსებში. შოთა ნიშნიანიძის მხატვრული სიტყვა ქართული მზითაა გაჯერებული, კეთილი და თბილი მზით, რომელიც ცხოველმყოფელი სხივებით გვხიბლავს. დიახ, მზისფერი დაჰკრავს მის ყოველ სტროფსა თუ ტაეპს, მის ყოველ სიტყვას თუ, უბრალო პოეტურ ფრაზას. ისეთი ხატოვანი თქმა, როგორიცაა – **„კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მაგ, მომავლიდან“**? – მხოლოდ ნიშნიანიძეს შეეძლო ეთქვა, ვისაც გულწრფელად სწამდა, რომ მომავალი უთუოდ ლამაზი იქნებოდა, ვიდრე დღევანდელი დღე.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის გმირი ჩვენი მარადიული თანამედროვეა, იგი ჩვენ გვერდით არსებობს, ჩვენთან ერთად ტკივა და უხარია, ესმის და ხედავს.

„ზოგჯერ ცხოვრება მეც თქვენსავით მაჩეჩებს ნიღბებს, ვსწავლობ, ვჯახირობ, ვწვრილმანდები და ვალებს ვიღებ“ – ამბობს იგი. საიდან მოდის პოეტი? – რა ენერგია ასაზრდოებს მის შემოქმედებას? რამ შთაბერა მასში ასეთი მტკიცე და, ამავე დროს, ფაქიზი სული? – აქ პასუხი ცალსახაა – ეს ყოველივე მისი მშობლიური იმერეთიდან, უნივერსიტეტის კედლებიდან, სამშობლოს, ქართველი ხალხის, ხვალინდელი დღის სიყვარულიდან მომდინარეობს. შოთა ნიშნიანიძე და მისი ლექსი ***„ნაიალალარი ხარივით“*** შემოიჭრა ჩვენს ეროვნულ ლიტერატურაში, მისი ***„ხარივით გამწევი სიტყვა“*** მუდამ ერთგულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. კითხულობ პოეტის ლექსებს და გრძნობ, რომ მათში გაზაფხულის სუნი ტრიალებს, ვარდობისთვის ყაყაჩო ჰყვავის და პაპანაქება ზაფხულის ხვატი ტრიალებს. ნიშნიანიძის პოეზიაში ეროვნული თემატიკა მასშტაბური ხასიათისაა. ერისკაცი ხარ მაშინ, თუ მამული გხიბლავს მისი გაჩენის დღიდან, ფესვებიდან ვიდრე კენწერომდე, ნამდვილი მამულიშვილი საუკუნეების წიაღშიც უნდა ჭვრეტდეს სამშობლოს ავ-კარგს. ისტორიული წარსული, ეპოქალური გმირები, ქართული ზღაპრიდან გადმოსული პერსონაჟები, ჩვენი დღევანდელობა, ქართული ბუნების საოცარი სურათები და, რაც მთავარია, ქართველი ხალხი – აი, რა არის პოეტის საფიცარი, მისი ადამიანად, პოეტად ყოფიერების დედააზრი. შოთა ნიშნიანიძის ეროვნულ ლირიკაზე საუბარი შეიძლება დავიწყოთ მისივე ლექსებით, ისეთი სტროფებით, რომლებიც მათი ავტორისათვის თითქოს ცხოვრებისეულ დევიზად ქცეულა:

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ
მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის
გამოვიპარე,
რომ გემსახურო და
გიერთგულო.
შენი უღელი მემჩატოს
აგრემც,
ქედზე რომ მადგას
განაჩენივით,
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ
გაჩენილი.
და თუ გქონია რამე ტკივილი,
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს,
ამილოკია ქვამარილივით,
და ხარის ცრემლით
დამიტირია“.

ნიშნიანიძე განადიდებს ქართულ ვაზს – ქართველთა ქვეყნის ერთ-ერთ საოცარ სახე-სიმბოლოს:

„ბუნების ღერბია ჩანგი
და უბანი,
მერცხლის ბუდესავით
შეკრული მტევანი,
ქალღმერთის ძუძუა და
განა შემშლია,
წყურვილის მომკვლელი
უფლის პეშვია“.

პოეტს ქართული ვაზი სამშობლოს ალეგორიით აქვს წარმოდგენილი, ხოლო ჭიგოები კი – როგორც ჩვენი ხალხი. საქვეყნო სამსახურს, ოღონდ უანგაროს, ადარებს იგი ქედმაგარი ხარის დაუღალავ შრომას. თუ ვაზი ჩვენი მამულის სიმბოლური ხატებაა, ხარი კი შოთა ნიშნიანიძისათვის სამშობლოს სიყვარულში დახარჯული ერისკაცის ლამაზი სიმბოლოა. პოეტი ძალიან ხშირად თავის თავს ხარს ადარებს, რომლის მიზანია ერისა და ქვეყნის სამსახურში გალიოს მთელი სიცოცხლე, უანგაროდ ემსახუროს თავის ხალხს და მშობელ მიწა-წყალს, შეუმსუბუქოს ცრემლი და გაუადვიოლოს ჭირი, იხაროს ლხინში და პირველი ამოუდგეს გვერდით განსაცდელში, ქვამარილივით ულოკოს, მოწმინდოს ცრემლი და იარა. ერთ-ერთ საინტერესო ლექსში, რომლის სათაურია ***„ოსტატო, ბერო, მხედარო“*** – მთელი სისრულით გამჟღავნდა თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით. აქ მისმა ავტორმა სიამაყითა და თავმოწონებით გვიჩვენა ქვეყნისა და ერისკაცის მოვალეობა, დაგვანახა ცხოვრების საზრისი, საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. ლექსში მკვეთრად ჩანს ესთეტიკური ფენომენი, მრავალსახეობრივია სინამდვილის ამსახველი სიმბოლოებიც, მაღალმხატვრული განცდითაა აღბეჭდილი ლირიკოსის პოეტური ნააზრევი:

„ოსტატო, ბერო, მხედარო,
როცა კი მტერი გეკვეთა –
გაგიღეჭია სიკვდილი,
შეგიმტვრევია ლეგენდა.
რა გრჯიდა, შე ღვთისნიერო,
ვითომ გზა გამიიოლე?
ჩემს მაგივრადაც იმღერე,
ჩემს მაგივრადაც იომე...
რა სული გელომებოდა
ანდა რა გული გიცემდა,
შენ ჩემთვის რადა კვდებოდი,
ხომ მოვკვდებოდით ისედაც.
ვალად დამადე სიცოცხლე,
ვალად დამადე სიკვდილი,
შენთან, ჩემთან და
ღმერთთანაც,
სამმაგად მიწევს ჭიდილი“.

მრავალთაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ლექსი **„ბროწეულა“,** რომელშიც, თითქოს, მისმა ავტორმა, მთელი საქართველო ჩაატია, მასში უხვად იჭრება ხალხური ელემენტები. იგი მთლიანად აგებულია სიზმრის სიმბოლიკაზე – პოეტს ესიზმრება მშობლიური მხარე, კარგად ჩანს მისი ლირიკული სული, საგრძნობია მშობლიური კუთხის სიყვარულის საოცარი განცდა. თითქოს და ლექსის ავტორი ყოველღამ მოიპარება თბილისიდან მშობლიურ სოფელში, მოდის ნისლად და წვიმად, რათა დაეფინოს ტყე-ველს, ჭალას და მდელოს. ჩვენ თვალწინ იხატება იმერული სოფლის ლამაზი იდილია: **„რამდენჯერ გნახავ, მუდამ მოიცებ, თითქოს ეს არის პირველად გხედავ!“** – ამბობს შოთა ნიშნიანიძე. ჩვენი ქვეყნის წარსულის თემაზე შექმნილი ლექსებიდან ვიგებთ, რომ პოეტი, ამავე დროს, თანამედროვეცაა. წარსულისა და დღევანდელობის სინთეზი სრულად ახლებური გააზრებით წარმოგვიჩენს ქართული მწერლობისათვის მართლაც საყურადღებო, საგულისხმო თემას. შ.ნიშნიანიძე ერთგან წერდა: **„წარსული უფრო მეტია თუ მომავალი? ალბათ, პირველი, რადგან მომავალიც წარსულად იქცევა“.** როდესაც ვმსჯელობთ ისტორიული შინაარსის მქონე ლექსების ირგვლივ, პირველ რიგში, თუ გავიხსენებთ ლექსს ***„ხევსური“,*** რომელიც სამასი გმირი არაგველის ხსოვნას ეძღვნება, მართლაც რომ უპრიანი იქნება. **„ხევსური“** საოცრად ლამაზია პოეტური ევფონიით, სახეთა მხატვრული სრულყოფით. ლექსში ტროპული მეტყველების სახეები და თვით გმირთა პორტრეტები თითქოს ფართო პლანითაა წარმოდგენილი. ვკითხულობთ მის სტროფებს და დასაწყისშივე ვიხიბლებით მისი ორიგინალური ხელწერით:

„ზაფხულში, არაგვზე სალუდე
დუქანთან
უკრავდა დაირა და დათვი
ბუქნავდა,
ფიცხობდა, სხიოდა მზის
ცხელი დაირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად
დათვისნაირად.
ღრეობდნენ ხევსურნი...
და ზორბა ხინკლები
პეშვიდან სხლტებოდნენ,
როგორც თხის ჯიქნები,
დაჩეხილ ცხვირ-პირზე
ეფინათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ
ისხამდნენ ხახაში“.

ხევსურთა ქეიფი პირდაპირ დახატულია შეუდარებელი ოსტატის მიერ, აქ არაფერია ზედმეტი და არც რაიმეა ნაკლები. მართლაც რომ საოცარია მოცემული ლექსის პოეტური გამომსახველობა:

„და სიკვდილს სიმწრისგან
ყელზე რომ დაადგა,
ხევსურის ფარია სხვა მრავალ
ფართაგან,
ე მაგის სისხლია,
ე მაგის ძვლებია,
ჩვენს ქართულ ციხეებს
რომ ჩაფიცხებია“.

შოთა ნიშნიანიძის ლირიკაში პოეტური ხედვით ასევე ყურადსაღებია ლექსი „მამელიკები“, სადაც ავტორი ხელახლა აცოცხლებს საუკუნეების წინათ დამარხულ სურათებს, საუკუნეთა მიღმიდან აღწევს ჩვენამდე მამლუკთა და მათ გულშემატკივართა მოთქმა, კვლავ გვესმის მეგრული შეცხადება, ტყვედპყრობილთა ბორკილების ჟღრიალი, ოსმალურ მონათა ბაზრობების ყაყანი. ჩვენ თვალწინ გაიქროლებს მამელუკთა მთელი ბიოგრაფია, მათ ხომ **„ჯიშიანი არაბული ბედაურივით გახედნეს თვითონ არაბული მზე“...** ისინი ომობდნენ, ხმალს იქნევდნენ უცხო ქვეყნების დასაპყრობად უცხო ქვეყანათა გამდიდრებისა და გაბატონებისათვის, მაგრამ **„შორს კი პატარა საქართველოს აკლდა ჯარი და მტერი არბევდა ქართულ ციხეებს...“** ლექსში ერთხელ კიდევ გაცხადდა ნიშნიანიძის ორიგინალური ხედვა და ახალი პოეტური მიგნებები. მწერალმა დაგვანახა თუ რამხელა ვაებად და ტანჯვის ფასად უჯდებოდა ქართველ ხალხს თავისი შვილების მკერდიდან მოგლიჯა და უცხოთა, გადამთიელთა მიწაზე გადახვეწა-გადაკარგვა. ისტორიული წარსულისადმი მოკრძალებითაა დაწერილი ერთი ლექსი – ***„საგვარეულო ხე“,*** სადაც პოეტი აწმყოდან გაჰყურებს საუკუნეებს, მის მზერაში ტკივილი მოჩანს, მაგრამ საგრძნობია სიამაყეც, ვინაიდან იმ საგვარეულო ხის ერთი შტოა, რომელსაც დახოცილი მამულიშვილები ფოთლებივით ცვიოდა დაჩეხილი, მაგრამ ძლიერი ტანიდან.

შოთა ნიშნიანიძემ ჩვეული პოეტური მომხიბვლელობით საინტერესო სახეები შექმნა ცნობილ ლექსში ***„მონღოლები“,*** სადაც კარგად გამოჩნდა პოეტისეული აზრის სიმაღლე. ქართულ მწერლობაში მონღოლთა სტიქიური, გამანადგურებელი თავდასხმები, მათი უხეში ძალადობა არაერთხელ ასახულა პოეტურ თუ პროზაულ თხზულებებში, თუმცა ზემოაღნიშნული ლექსის ავტორმა საკუთარი, მძაფრი თვალთახედვით დაგვანახა ყოველივე – პოეტისთვის ის დრო ძალიან მწარეა გასახსენებლადაც კი და შენიშნავდა:

„ცხენის ძუაზე გამოაბეს
მთელი აზია,
და ველურ სტვენით მიათრიეს
ქვეყნის კიდემდე,
მათ ნატერფალებს სიკვდილი
და ყვავი ასხია,
სამრეკლოებზე ზარებს
ხსნიან, ჭიხვინს ჰკიდებენ“.

კვლავ ლამაზი პოეტური ხედვითა და სისადავით ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ ლექსი ***„დიოსკურია“,*** სადაც ავტორი უმღერის და ამავე დროს მიმართავს ზღვაში ჩაძირულ ქალაქს. აქაც პოეტური ხერხების მრავალსახეობა ხიბლავს მკითხველს, თუმცა ლირიკული განწყობა, ჩვენი აზრით, სევდიანია. საუკუნეები გვაშორებს ანტიკურ ეპოქას, რომელიც ოდითგანვე დიდი ცივილიზაციის კერა ყოფილა. კითხულობ ლექსს და გგონია, თითქოს ცხადად დგახარ ზღვის ფსკერზე ჩაძირული ქალაქის წინაშე, ცხადად ხედავ ქვიშადაქცეულ ციხე-ნაგებობებს, გუმბათებსა და ტაძრებს.

სოსო გიძოშვილი

გაგრძელება იქნება

მურჯახეთისა და განძის სვეტები

სულ სხვა დროს და სხვა კულტს (რჯულს) ეკუთვნის სვეტები მურჯახეთისა და განძისა, რომელთ სურათები მოყვანილია მე-9 გვერდზე. ეს ორი სვეტი ეკუთვნის იმ უხსოვარ დროებას, როდესაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიცოცხლის მომცემს ემბლემას. სიმაღლე მურჯახეთის სვეტისა არის 4, სიგანე 1 და სიგრძე თვით სიცოცხლის მომცემის ემბლემისა 1 არშინი. სვეტი ამართულია სოფელ მურჯახეთის დასავლეთის განაპირას, ხოლო თვით სოფელი მურჯახეთი ძევს ქ.ახალქალაქიდან 4-5 ვერსზედა. ვურჩევთ ყველას, ვინც კი მოხვდება ამ მხარეს, უთუოდ ინახულოს მურჯახეთის სვეტი. სოფელში ამ ჟამად ცხოვრობს 30 კომლამდე მეკომური, მათში 12 კომლი მართლ-მადიდებელი ჯავახია, ხოლო დანარჩენი არიან გამაჰმადიანებული ქართველები და რამდენიმე კომლიც სომეხი. მურჯახეთი ცნობილია ჩვენს ისტორიაშიც: აქ მოხდა საშინელი სისხლის ღვრა, ერთი მხრით, იმერეთის მეფის ბაგრატ მე-3-ის (1510-1548) და მეორეს მხრით სამცხის ათაბაგის ყვარყვარე მე-4-ეს შორის (1516-1535); ბაგრატს შველოდნენ გურიელი და დადიანი, ხოლო ყვარყვარე მარტო იყო თავისი მესხებით. თუმცა მესხებმა გამოუთქმელი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ამ ბრძოლაში, ყვარყვარე მაინც დამარცხებულ და დატყვევებულ იქმნა და წაყვანილ იმერეთში, სადაც გარდაიცვალა საპყრობილეში 1535 წელსა[1]).

მურჯახეთის სვეტს სოფლელები ეძახიან ძეძუს ქვას, რადგანაც, მათის სიტყვით, ამ ქვას აქვს ძალა, მისცეს რძე იმ დედებს, რომლებსაც რძე არ აქვთ შვილების საწოვებლადაო. ეს არის მიზეზი, რომ ადგილობრივის სოფლების დედები ხშირად მოდიან აქ ამ ქვის სათაყვანოდ, მოაქვთ თან ერბო ან ქონი და უსმენ სვეტის თავს, რის გამო სვეტი მარად შავად გამოიყურება. ეს ჩვეულება, ვგონებ, იმავ უხსოვარ დროს უნდა ეკუთვნოდეს, რათა ქონისა თუ ერბოს წასმით სვეტი დაცული ყოფილიყო წვიმისა და წახდენისაგან. ერთი ასეთი სვეტი მოიპოვება მურჯახეთშიც 150-200 ნაბიჯზე მოშორებით აღწერილ სვეტიდამ, მაგრამ იგი წაქცეულია და ამიტომ თქმა რისმე მის შესახებ, სანამ ააყენებდნენ, შეუძლებელია. ურიგო კი არ იქნებოდა, რომ ვისმე გაემეტნა საამისო ხარჯი და სვეტი აეყენებინა და აეწიათ, მით უმეტეს, რომ ამ საქმეს დიდი ფული და მუშა არ დასჭირდება.

განძის სვეტი უდიდესია ამათში. სიმაღლე განძის სვეტისა უდრის 5-სა და სიგანე 1 1/5 არშინასა, როგორც სურათიდამაც სჩანს, ამ სვეტზედაც არის სიცოცხლის მომცემის ემბლემის ქანდაკი, აგრეთვე დასავლეთის მხარეზე მიმართულს გვერდზე. ეს სვეტიც სდგას დასავლეთის განაპირას სოფელ განძისას, რომელიც მდებარეობს მდ. თაფარავნის მარცხენა კიდეზე, 20-22 ვერსზე, აღმოსავლეთით ქ.ახალქალაქიდამ.

საზოგადო ისტორიიდამ ვიცით, რომ ნაყოფიერების დასაბამის თაყვანისცემა გავრცელებული იყო მთელს აღმოსავლეთში ძველის-ძველად და არც ეხლაა იგი იშვიათი. ნაკვთები და ქანდაკები ამ ემბლემისა არ შეურაცხებდნენ თვალსა და არც სირცხვილად მიაჩნდათ იგი, რადგანაც გამოჰხატავდნენ ნაყოფიერებისა და გვარის გაგრძელების იდეასა. ასეთი იყო ზნე და ჩეულება იმ დალოცვილს დროში!

ინდიელები, მაგალითად, დიდის ამბით და ზეიმით დღესასწაულობენ ეგრედ წოდებულ ნაყოფიერების დღესასწაულსა. მათი მექანდაკენი და ხელოსნები ათასობით აკეთებდნენ ლითონიდამ და ქვიდამ ერთი-ერთმანეთზე მაცდურ ნაკვთებსა სიცოცხლის დასაბამის ემბლემისას და ჰყიდდნენ საჯაროდ, რადგანაც იგი ითვლებოდა უმთავრეს სამკაულად ყოველის ქალისათვის. თვით ტაძრებში დაცული ჰქონდათ უშველებელი ქანდაკნი ამ ემბლემებისა, რომლის წინაშე ერთხმობდნენ უშვილო ქალები და ცრემლითა და ვიშითა შესთხოვდნენ მას შვილიერებას. მოგზაურთა აღწერილობიდამ ვიცით, რომ ჯერ ჩვენს დროშიაც, ბევრგან ხდება ეს ამბავი ინდოეთში.

ესევე ითქმის მეორე უძველეს ხალხებზე _ ეგვიპტელებზე. ესენი სჭრიდნენ და ჰხატავდნენ სიცოცხლის მომცემ ემბლემებსა ყოველ-გვარ ძეგლებზედა. ამასვე სჩადიოდნენ ასირიელები, ბაბილონელები და სპარსელები. არ ჩამორჩა აღმოსავლეთს განათლებული ძველი საბერძნეთი და რომიცა, რომელთ ეგრედ-წოდებული „ვაკხანალები“ (ლოთობანები) სავსე იყო წრეს გადასულის დროს გატარებითა და გარყვნილობითა. გაიხსენეთ განათლებულის ათინა-ქალაქის და რომის ეგრედ წოდებული პრიაპის ძეგლები, გაიხსენეთ ყველა მოსწავლისაგან ცნობილი ამბავი, თუ რა დამართეს ათინელებმა ლაღს ალკივიადსა, როდესაც მან ერთის ასეთის „ვაკხანალიის“ შემდეგ, მოისურვა მასხრად აგდება ხალხის ცრუ-მორწმუნოებისა და ამ აზრით, ერთად თავის ამხანაგებთან, სულ მილეწ-მოლეწა ძეგლთა ის ნაწილები, რომლებიც გამოჰხატავდნენ ამ იდეას. ამ ამბავმა ისე ააღელვა ხალხი, რომ ალკივიადსა სიცოცხლედ დაუჯდა იგი! ასე ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი ამ უზნეო რწმენასა! აი ამ დროს ეკუთვნის ჩვენი ჯავახეთის შესანიშნავი სვეტებიცა, იმ დროსა, როდესაც კულტი (სჯული) სულის მსახურებისა ჯერ კიდევ შორს იყო ადამიანის გულისაგან და იგი მხოლოდ ხორციელს ვნებათ ეთაყვანებოდა. ქრისტიანობამ სამუდამოდ დაჰგმო იგი და ქართველი ხალხიც დაადგა სულისა და მის სათნოებათა მსახურებასა.

ჟურნალი „მოგზაური“ N 4, 1901 წელი. გვ. 31-34

1 „ქ.-ცხ.“ 2, გვ. 159

ფოლკლორი

სულთან მურადი ხიდროთან მიდრეკილი

სასმისის დუქნის კუთხეში წოლილხარ?
სულთან მურადი სიზმრათ გზმანებია?
მთარგმნელისაგან

სულთან მურადმა მოისურვა ფარულათ დაევლო თავისი სახელმწიფო, რომ შეატყო გაჭირვება და დალხინება თავის სახელმწიფოს მცხოვრებთა.

მოიხმო თავისი აღმზრდელი ლალა, მას გაანდო თავისი სურვილი და დაავალა _ წადი, დაიარე ქვეყანა, მონახე ისეთი ადამიანი, რომ მე მგვანდეს: სახით, ტანით, წარმოსადგენობით, იერით. ვინც გინდა იყოს, სულ ერთია, მომიყვანე, ისე საიდუმლოთ, რომ ვერც თვით გაიგოს და ვერც სხვამ.

ლალა წავიდა მოსანახათ. ქვეყანა მოიარა, ვერ ნახა. დაღონდა...

ერთ დღეს, მახლობელ დაბაში, ქუჩის კუთხეში, ნახა მეჯღანე-ფინაჯი, რომელიც აკერებდა ძველ ფეხსაცმლებს. ეს კაცი ისე ძრიელ გავდა ფადიშაჰ სულთან მურადს, რომ ლალა განცვიფრდა: ნუ თუ ასე მსგავსება შეიძლება ორი ადამიანის?! გუნებაში შეეკითხა თავის თავს:

ცაში დავეძებდი,
ქვეყანა ვპოვე.

სალამი მისცა მეჯღანეს: „სალამ ალეი ქუმ“ ოსტატო! თქვენი სახელი?

_ „ალეი ქუმ, სალამ“, _ უპასუხა ფინაჯმა. მე მქვიან უსტა მურადი.

ლალა შეეკითხა: ოსტატო მურად, სასმელს სვამ? ხომ კარგად ეწყობი?

_ ძაან, ოსტატი ვარ სმის.

_ უსტა მურად, წამობრძანდი, თითო რამ სასმისი ვხუხოთ, დავმეგობრდეთ.

უსტა მურადმა რა გაიგო სასმისზე პატიჟობს, იმავ წუთს გააგდო ხელიდან საქმე. წავიდნენ.

ლალამ უბძანა მედუქნეს: მოგვართვი კაი მაგარი სასმისი! დაიწყო სმა. მასლაათში და ოხუნჯობაში საღამომდის სვეს. ლალა, რაც შეეძლო, აძალებდა სასმისს მეჯღანეს, რომელიც ისე დათვრა, რომ გონება დაკარგა, ძალ-ღონიდან დავარდა. სრულიად მოწყდა. თვალები ებლანდებოდა. თავი გულზე ჩამოქინდრა, ვერაფერს გრძნობს, გაილეშა.

ლალამ მისცა ნახარჯი მედუქნეს. თავის ერთგულ თანამხლებელ შინაყმას ზურგზე მოჰკიდა და უგრძნობი მეჯღანე უსტა მურადი ღამით, ფარულათ, საიდუმლო კარებით, შეიტანეს სასახლეში ისე, რომ ვერავინ შეამჩნია. სულთან მურადმა რა ნახა მეჯღანე, განცვიფრდა, რომ მიტანილი, სიმთვრალისაგან უგრძნობი მეჯღანე, ნამდვილათ გავს მას. სულთან მურადმა მისცა რჩევა-დარიგება ლალას: როგორ უნდა მოიქცეს, რომ ყოველივე წესი, რიგი, ადათი, ბრძანებულება, შესრულებულიყო მეჯღანე „სულთან მურადის“ სახელით, ოქმით, ვითომც, ნამდვილად მე ვარ. არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს: არც ჩემს ცოლს, სულთანს, არც ნაზირ-ვეზირებს და არც ამალას. რა მისცა ასეთი ბრძანება ლალას, გამოეწყო „საშვალო“ გლეხის ტანისამოსში, ფარულათ გავიდა სასახლის საიდუმლო კარებიდან.

მეჯღანე უსტა მურადს ლალამ გააძრო ტანისამოსი, გაწმინდეს მწვირიანი ჭუჭყისაგან ისე, რომ სიმთვრალისა გამო ვერა იგრძნო რა. ჩააცვეს მეფის თეთრეული, ჩაანცვინეს სულთან მურადის ლოგინში, ხელმწიფის ტანისამოსი იქვე დაუწყეს.

ვითომც, სულთნის სურვილისამებრ, ჰარამხანიდან გამოიწვია მხეკალი, ერთი მრავალცოლთაგანი სულთან მურადის საწოლ ოთახში, რომელმაც მოისვენა დიდებულს ლოგინში და მოლოდინით, რომ სულთან მურადი მოისურვებს ჩემთან „სურვილს“, მიმიხმობს თავის საწოლში. ჩვეულებისამებრ, ამ ქალს თან ახლდა მეთვალყურე-მცველი საჭურისი... დილის რიჟრაჟზე გაიღვიძა უსტა მურადმა, თვალი გადაავლო ოთახს, ეუცხოვა. არ ერწმუნა თვალებს. შერცხვა. გაახსენდა: „ვიღაცასთან“ კაი საამო სასმელები რომ სვა, დათვრა... „ჰამა“, აქ სადა ვარ? სჩანს „მაჯლაჯუნა“ მაწევს გულზე, ვერ გამოვრკვეულვარ, ამიტომ ასე მეჩვენება ჩემი ჯღანი დუქნის საწოლი?.. შერცხვა, თავი ლოგინში ჩადო, საბანი მაგრა დაიფარა თავზე... ჩაეძინა. სიზმრად ეზმანა: ვითომ თვით მბრძანებელ სულთან მურადის ჰარამხანაშია, ქალებს ექილიკება, ზოგი უღიმის, ზოგს ყურადღებას არ აქცევს, ნორჩი, ცქრიალა, ტურფა მხევალნი თავს ევლებიან. უცებ გამოეღვიძა, საბანი გადიხადა თავიდან, სიზმრათ ნახულის შთაბეჭდილებით სქესობრივი ხურუში აღეძრა, _ თვალი შეაჩერა ჭერს. ათვალიერებს ჩუქურთმებს, მხატვრობას კედლებზე, საცა ცოცხლად, ნათელი სიცხადით, ვნებათა ღელვით, აღფრთოვანებული თავ დავიწყებით ეტრფიან, ეალერსებიან ერთმანეთს ქალ-ვაჟნი. ჩახვევიან, ჩაწმანულან, ჩაკვრიან, შერწყმულან, თითქოს ორნივ ერთ არსებათ ქცეულან... უცებ თავის პირდაპირ შეამჩნია მეორე ლოგინი, შიგ წევს გაფოფინებული ლამაზი ქალი, მის მახლობლად, ძირს, მუხლებზე დაყუნტულa საჭურისი. უცებ აღეძრა ხოში. ბრძანების მუქარით, თითის გაქნევით უბძანა _ საჭურისი გათრეულიყო გარეთ.

საჭურისმა სასწრაფოდ ძურნა, უჩინარი გახდა... ლოგინში მწოლარე „დედოფალს„ანიშნა „სულთან მურადმა“, მისულიყო მასთან, რაც მორჩილებით შეასრულა ჰარამხანიდან მოწვეულმა „დედოფალმა“. მზე რომ კარგა გადაიწვერა, ქალთან ხვევნა-სურვილით ნასიამოვნები მეჯღანე „სულთან მურადი“ ადგა, მაგრამ თავის თვალებს არ ერწმუნება, გონება არ ემორჩილება, გაოცებაშია. ფიქრობს: ეს როგორ მოხდა? ნუთუ სასწაულია, რომ სასახლეში ვარ, ვწევარ ხელმწიფის საწოლში, დედოფალი დამმორჩილდა სურვილზე? შენიშნა, რომ იქვე, საწოლზე, აწყვია ძვირფასი ტანისამოსი, სხვა არა სჩანს. ჩაიცვა, მეფურად გამოეწყო. ამ დროს მას ეახლა ლალა, მოწიწებით „სალამთაყვანი“ სცა მურადს. მიესალმა ისე, როგორც შეჰფერის ხელმწიფეს: რას მიბძანებ, ჩემო მბრძანებელო, ფადიშაჰ?

მეჯღანე „ფადიშაჰი“ შეეკითხა ლალას: გონს ვერ მოვსულვარ, სადა ვარ? ვხედავ კი, რომ სასახლეში ვარ, მაგრამ აქ რა მინდა? ან ფადიშაჰი სად ბძანდება.

ლალამ დაარწმუნა მეჯღანე, რომ ფადიშაჰი შენ თვითონ ბძანდები, სულთან მურადი, რომ სიზმრად დაგზმანებია, უსიამოვნო სიზმარია და მის შთაბეჭდილებით ბძანდებით. ახლა ვერ გამორკვეულხარ სიზმრისაგან... ამ დროს ლალამ მიინვია მეორე ოთახის დიდ დარბაზში, სადაც სუფრაზე დალაგებული იყო ბროლის, ოქროს და ვერცხლის ჭურჭლით ნაირნაირი საუზმე, საამო სასმელები, რომელსაც კარგათ შეექცა და ბოლოს ერთი თასიც გადახუხა, რამაც გავლენა იქონია მურადის უბადრუკ ტვინზე, თავში ოფოფები აუჩუჩუნდა. გაისაზრა, _ ალბათ, ღმერთის ბძანებით და წინასწარმეტყველ საბდის თანხმობით გავხდი ხელმწიფე-ფადიში! რა დარწმუნდა, მოილხინა. გაახსენდა, რომ, ერთი მედუქნე, სასმელებით მოვაჭრე, არ ენდობოდა მას _ ნისიად არაყს არ აძლევდა, ღანძღვით გამოაგდებდა დუქნიდან გარეთ და კაი კაის წაარტყამდა ქიმუნჯს ზურგში და კინჩხოში... ისიც გაახსენდა, რომ ერთი კეთილი მეფურნე ნისიად ანდობდა პურს. მოისურვა დაესაჯა ურჩი მედუქნე, რომელიც ვაჭრობს სასმელებით, ხოლო მეფურნე დეესაჩუქრებინა. ბძანა: მავან მოედანზე სასმისით ვაჭრობს მავანი, იმას გამოუცხადეთ ჩემი წყრომა და სიშველ საჯდომზე დაარტყით ასჯერ ზოპა (ჩოგანი). იქვე, იმავე მოედანზე, მეფურნეა, „მავანი“. მას უბძანეთ ჩემი წყალობა და ათასი ბაჯაღლო ოქრო მიეცით ხაზინიდან.

ეს ორივე ბძანება იმავე დღეს სისრულეში მოიყვანეს.

შვიდი დღე იმეფა მეჯღანე „სულთან მურადმა“.

ქვეყნის დათვალიერების შემდეგ მობძანდა ნამდვილი სულთან მურადი. ფარულათ შევიდა სასახლეში, ინახულა თავისი ერთგული აღმზრდელი ლალა, რომელსაც გამოკითხა ყოლიფერი. ლალამ ყველა შეკითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მოახსენა სულთან მურადს. იმავ ღამეს მეჯღანე უსტა მურადა დაათვრეს ისე, რომ ვერაფერს გრძნობდა სიმთვრალისაგან, გალეშილს გახადეს ხელმწიფის ტანსაცმელი, ჩააცვეს თავისი უწინდელი მეჯღანის ტანისამოსი. შინაყმას მოკიდეს ზურგზე გრძნობა დაკარგული მეჯღანე, ფარული კარებით გაიტანეს, წაიღეს, მის ბინაზე დატოვეს. მეორე დღეს, შუადღის ჟამს, სიმთვრალისაგან დაოსებულ მეჯღანეს გამოეღვიძა, გამოფხიზლდა... გაოცდა. გაუკვირდა. არ უჯერის თვალებს. გონება დაეღრუბლა. ფიქრთა წყვდიადმა ჩაიხვია, ვერ გამორკვეულა... თავის თავს შეეკითხა: _ ჯანუმ, წუხელ ხელმწიფე ვიყავ, სასახლეში როგორც ფადიშაჰი, ვიწექ ლოგინში, გავიღვიძე, გამოვფხიზლდი მეჯღანის სახით, იერით, ეს რა გადამხდა? ხომ არ გავგიჟდი? შეითანი (ეშმაკი) ხომ არა მცდის?!

ამ ფიქრში რომ იყო გართული, მასთან მივიდა მჭედელი რეჯაბა, სალამი მისცა უსტა მურადს: სად იყავ ამდენ ხანს, რომ არა ჩანდი, _ ავად იყავი? ეკითხება რეჯაბა. რო იცოდე, რა ამბები მოხდა, ნუთუ არ იცი? ფადიშაჰ სულთან მურადის ბძანებით მავან „მეჰანაჯას“, სასმელით რომ ვაჭრობს, შენ რომ ნისიათ არ გენდობა და დუქნიდან

გაგრძელება მე-12 გვ. ▶

მატიანე

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში, 1988 წლის 11 ივლისს. სურათი მოგვაწოდა ლალი ბერიძემ

თუჩქი დეიდა სალვია

სოფელ ღრელში ორი თურქული ოჯახი ცხოვრობდა. მეზობელ დეიდა სალვიას ჩემი ტოლი ორი გოგონა ჰყავდა. ის წყნარი, კეთილი ადამიანი იყო. ჩემს მშობლებს კი შვიდი შვილი ვყავდით, მე მეექვსე ვიყავი დედმამიშვილებში.

დეიდა სალვია მეტად კეთილშობილი და გულთბილი ქალბატონი იყო. ხშირად მეზობლის ბავშვებს სუფრასთან დაგვსვამდა და გვიმასპინძლდებოდა.

1937 წლის ახალი წელი მოდიოდა. სოფელში უცნობ ქალსა და კაცს გასაყიდად სხვადასხვა საქონელი მოეტანათ, მათ შორის ჰქონდათ ფერად-ფერადთვლიანი საყურეები, ზოგი ლალისფერი, იისფერი, ფირუზის, ზურმუხტის და სხვა ფერები.

დეიდა სალვიამ თავის გოგონებს თითო წყვილი ლალისფერი და ზურმუხტისფერი თვლიანი საყურეები თითო ცხრილ ხორბალში გაუცვალა. გახარებულმა გოგონებმა იმწამსვე ყურებზე ჩამოიკიდეს, ისედაც ლოყებლაჟღაჟა სახეები ფერადთვლიანმა საყურეებმა უფრო გაალამაზეს და გახარებულები სიხარულით ადგილს ვერ პოულობდნენ. მეც სიხარულით შევყურებდი მათ ბედნიერ სახეებს.

გამყიდველებმა წასვლა რომ დააპირეს, დეიდა სალვიამ შეაჩერა ისინი და გოგონებს უთხრა – გაიქეცით და ერთი ცხრილი ხორბალი კიდევ გამოიტანეთ, პატარა შუშანაც საახალწლოდ გავახაროთო.

გოგონები ცეკვა-ხტუნვით გაიქცნენ ხორბლის გამოსატანად, დეიდა სალვიამ კი მითხრა, – აირჩიე, რომელი საყურეც მოგეწონება, შენი იქნებაო. მე მეტი სიხარულით ვერც კი ვახერხებდი რომელი ფერის თვლიანი საყურე ამერჩია, ბოლოს იისფერთვლიანზე დავადე ხელი. დეიდა სალვიამ თვითონვე გამიკეთა ყურის ბიბილოებზე ჩემ მიერ არჩეული საყურეები. გამყიდველებმაც დამლოცეს და – მშვიდობაში მოიხმარეო, – მითხრეს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მადლობა გადავუხადე და გახარებული გავიქეცი დედასთან. მას შემდეგ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გავიზრდები, დეიდა სალვიასავით კეთილი და გულთბილი ვიქნებიო.

მეორე თურქის ოჯახიც არ დამავიწყდება – შააჰანდუხტრა ბებოს ორი ვაჟი ჰყავდა, რომლებიც, იმ დროს, სახლში არ იყვნენ და შააჰანდუხტა ბებომ მთხოვა – გაიქეცი, მაღაზიიდან ასანთი და საპონი მომიტანეო. მეც გამოვართვი ფული და მაღაზიისკენ გავიქეცი, დანაბარები შევიძინე და გამყიდველმა ხურდაც დამიბრუნა. შააჰანდუხტრა ბებოს ასანთთან და საპონთან ერთად ხურდაც გადავეცი, მან კი ხურდა ფული არ გამომართვა – შენი იყოსო, – მითხრა, მადლობაც გადამიხდა და მეც გახარებული დავბრუნდი სახლში.

დედას მაშინვე ვუთხარი – შაანდუხტრა ბებომ ხურდა მომცა-მეთქი. ძალიან გამინაწყენდა დედაჩემი, ისეთი დღე დამაწია, რომ არასოდეს დამავიწყდება, – ფული რატომ გამოართვი, მორბედი რისთვის ხარ, პატარა დასაქმებაზეც ფული უნდა გადაგიხადონო?

დღემდე მახსოვს, როგორ დამტუქსა დედამ ამ საქციელისათვის.

მთქმელი **შუშანა იაძე**, 78 წლის, სოფელი მინაძე, ჩაიწერა **გუგული ელიზბარაშვილმა** 2005 წელს

ოიუნდელი სოფლიან მურადმე

◀ დასაწყისი გვ. 11

გამოგაძევებს ხოლმე, ასი „ზოპა“ დაარტყეს სიშველ საჯდომზე. მეორე შესანიშნავი ამბავი, კიდევ ის არის, იმავ მოედანზე რომ პატიოსანი, გულკეთილი მეფურნეა, ათასი ოქრო უწყალობა ფადიშაჰ სულთან მურადმა.

ამ ამბის გაგონებაზე გაახსენდა მეჯღანე მურადს: რომ ამ ორივე ბძანების მიმცემი თითონ მე ვიყავიო... მაგრამ, ახლა, რათ ვარ მეჯღანე?

ფადიშაჰის ჰოქმი აღარა მაქვს, ვერ ვბძანებლობ! რათ შევიქენ ისევ ღატაკი მეჯღანე? ეს რა სასწაულია? რაშია საქმე? მრავალჯერ ეკითხებოდა უსტა მურადი თავის თავს.

ჩაწერე თათრულ სიტყვებით და ქართულათ ვთარგმნე **ნიკო ასათიანმა** 1930 წლის 2 თებერვალს;
ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი. მოგვაწოდა **გრიგოლ ჯვარიძემ** და **ლევან ლაფაჩმა** 2017 წელს

მადლობა

„ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის შპს „არალის“ დირექტორს ბატონ **ოთარ თათეშვილს** გაზეთის ამ ნომრის აწყობა-დაკაბადონების საქმეში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის და სულითა და გულით ულოცავს შობა-ახალ წელს.

წეს-ჩვეულებები

ახალი წელი

ახალ წელს, მაშინ, ასე იყო. ბასილესავით პურს გამოაცხობდა ბაბუაჩემი. პატარა ცომს ამოიღებდა. იმ ცომს მიაღებინემდა კაცის ფორმას. თვალებს გაუკეთებდა ქიშმიშისას, ან კაკლისას და ეს იყო წმინდა ბასილი და ის იყო ყველა სუფრის დამამშვენებელი ატრიბუტი პირველი.

იყო კიდევ, აი, ჩვენ პირუტყვს უკეთავდნენ ძველად მოხუცი ხალხი ასეთნაირად: წმინდად გააკეთებდნენ ცომსა, წამოაცმევდნენ ხეზე და უძახდნენ წელებს ამასა და რო შევიდოდნენ ოჯახში, ამას გამოაცხობდნენ რამოდენიმეს ფურნეში. ასევე აცხობდნენ ნაზუქებს. ისეთ რაღაცას აკეთებდნენ, რომ ვერ აღუწერავს ენასა იმათი გემო, იმას უბრალო ფქვილისაგან აკეთემდნენ, ახლა ათასნაირი ფქვილია, ათასნაირი მარგარინია და ის ხალხი აკეთებდა მართლა ნორმალურად. რო შევიტანდით, ოჯახის უფროსი ადგებოდა ფეხზე პატივისცემის ნიშნად. თაფლი კი ყველაზე დიდი ატრიბუტი იყო მაგიდაზე საახალწლოდ. შევიდოდა ოჯახის უფროსი, პირუტყვს ამით დააპურებდა, თვითონ ლუკმა არ ჰქონდა გატეხილი; ცხვარი იყო, პირუტყვი თუ, რაც იყო, გაუგორებდა კაკალს, რამოდენიმე კამფეტს საცხვარეში შეყრიდა, ან ვაშლს დაუყრიდა პირუტყვს პირველს. ჩვენ ეხლა ადამიანები ერთმანეთს ისე არ ვულოცავთ, რაც ის ხალხი პირუტყვს ულოცავდა. დღესაც თვალწინ მიდგია ბაბოჩემის და დედაჩემის გაკეთებული ტკბილეული, მაგათ რო გააკეთებდა, გვეტყოდა, რომე, შვილო, ჯერ თქვენ არ შეხვიდეთ პირუტყვთან, ჯერ მამათქვენი შევიდეს, შემდეგ თქვენ შედით და მიულოცეთ პირუტყვს ყველაფერი და ჩაუტარეთ ეს ცერემონიალი, თანაც სანთლით. პატარა ტაბლასავით გააკეთებდნენ და ასე მიუტანდნენ. სანთლით დაჰქონდათ ეს ყველაფერი.

მთქმელი **ლევან ბერიძე**, 56 წლის, სოფელი ჩუნჩხა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ჩაიწერა **თეა თოთაძემ** 2016 წელს

ირონინე

არ მელოდი, უცბად გნახე, თამრო შენ,
რონინებდი ბაღ-ბოსტანში, ლამაზო,
შემომხედე, დამწვი ოფლით გამთოშე,
ირონინე ბაღ-ბოსტანში, ლამაზო!

სამოთხეს ჰგავს შენი ბაღჩა, ბაღითა,
შიგ კარგი, მოქარგული თაღმია,
საამბოროდ მიხმობ სინარნარითა,
ირონინე ბაღ-ბოსტანში, ლამაზო!

თმების დალალს არხევ ტურფა მხარეში,
შორით მშანთავ თვალთ ისრების თარეშით,
ერმონ ქალი იყოს შენი ფარეში,
ირონინე ბაღ-ბოსტანში, ლამაზო!

ვინ არ გეტრფის, ვინ არ შემოგციცინებს,
გნატრულობენ, გევლებიან, ვიცი მე,
უსიფათოდ იხარე და იცინე,
ირონინე ბაღ-ბოსტანში, ლამაზო!

სანდრო მქვია, შენი ეშხით ვიწვი მე,
გვალვამ მომკლა, შემიწყალე, მიწვიმე,
როგორ გითხრა დასაჯერი ფიცი მე,
ირონინე ბაღ-ბოსტანში, ლამაზო!

მთქმელი **სანდრო ყავრელიშვილი**, 85 წლის, ახალქალაქის რაიონი სოფელი კოთელია, ჩაწერილია 1965 წელს **არსენ კარაპეტიანის** მიერ. მოგვაწოდა **ნარცის კარაპეტიანმა**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ პრესის გარე გამავრცელებლებთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com